ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№209
(12 279)

5 სექტემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

8 სექტემბერი. თბილისი, ეროვნული. 19:00. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო-უკრაინა

# ტოპმიოლერი კოკოითი არ არის

დავით ცაბაძე

**გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ვიცე-პრეზიდენტებმა, გოგი ქავთარაძემ და რევაზ არველაძემ პრესკონფერენცია გამართეს. მასმედიასთან მათი შეხვედრა საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების უახლოეს მატჩებსა და სხვა საინტერესო თემებს შეეხო.**

ნოდარ ახალკაცი – 7 და 8 სექტემბერს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებს მნიშვნელოვანი მატჩები ელის. უკრაინასთან მატჩის ბილეთების გაყიდვა ეროვნულ სტადიონზე ხვალ დაიწყება. ყველა გულშემატკივარს მოვუწოდებ, თეთრ ან წითელ მაისურებში ჩაცმულები მოვიდნენ სტადიონზე და ამ მნიშვნელოვან მატჩში მხურვალედ ვუქომაგოთ ეროვნულ ნაკრებს. 8 სექტემბერს უკრაინასთან მატჩის დაწყებამდე ეროვნულ სტადიონზე "დიადორას" წარმოების ნაკრების მაისურები და სხვა ატრიბუტიკა გაიყიდება.

ბუნებრივია, ტრადიციულად მერიაში თათბირი შედგება მატჩის ორგანიზებისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, 7 სექტემბერს რუსთავში საქართველო-უკრაინის მატჩზე დასწრება თავისუფალი იქნება. ეროვნულის დარად, ახალგაზრდულ ნაკრებსაც მნიშვნელოვანი მატჩი ელის და იმედი მაქვს, ჩვენს გუნდს ქომაგობა არ მოაკლდება.

ხვალ, 5 სექტემბერს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ვარჯიშები დახურული იქნება, დანარჩენ წვრთნებზე კი დასწრება შესაძლებელია.

საქართველო-უკრაინის მატჩის მსვლელობისას მხოლოდ ტელეკომპანია "იმედის" ვიდეოკამერები იმუშავებს. სხვა ტელეკომპანიებს შეუძლიათ, მატჩის დაწყებამდე და დამთავრების მერე იმუშაონ. მათ შეუძლიათ აპარატურა სპეციალურად გამოყოფილ საცავში შეინახონ.

2



# ითამაშებს თუ არა კობიაშვილი? შევჩენკო?



გუშინ 15 საათზე ეროვნული ნაკრები ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეიკრიბა. 18 საათზე კი გლდანში, "ამერის" სტადიონზე ივარჯიშა პირველად უკრაინასთან მატჩამდე. წვრთნა, რომელსაც ასზე მეტი გულშემატკივარი ესწრებოდა, თითქმის ორ საათს გაგრძელდა. ნაკრების მწვრთნელების, **კლაუს ტოპმიოლერის, რალფ მინგეს, ჰაინც ტოპმიოლერის, ბესიკ ფრიდონაშვილისა** და **მამუკა აბუსერიძის** განკარგულებაში ოცი ფეხბურთელი გახლდათ:

**გიორგი ლომაია, ნუკრი რევიშვილი, გიორგი მაკარიძე, გიორგი შაშიაშვილი, ლაშა სალუქვაძე, ალექსანდრე კვახაძე, ილია კანდელაკი, მათე ღვინიანიძე, ჯაბა კანკავა, ლევან ყენია, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი, გიორგი მერებაშვილი, ალექსანდრე კობახიძე, გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, ლაშა ჯაკობია, დავით სირაძე, ოთარ მარცვალაძე.**

საამმატჩოდ გამოძახებულთაგან ნაკრებს გუშინდელ ვარჯიშში 5 მოთამაშე აკლდა. **კახა კალაძეს, მალხაზ ახათიანს, ოთარ ხიზანეიშვილს, ზაალ ელიავასა** და **ზურაბ მენთეშაშვილს** ლამით ელოდნენ.

2

# სროლის არმცოდნე მსროლელი




## ანუ ხელი გაასწორე, ბიჭო!

დღეს, საქართველოს დროით 22:15, შვეიცარიის ნაკრები რუმინეთისას უმასპინძლებს, ალბათ დაამარცხებს და ორივე გუნდი გავა A ჯგუფში გადასასვლელ პლეიოფში, საქართველოს ნაკრები კი მეორედ ჩარჩება B დივიზიონში. ჩვენი ხსნა მხოლოდ რუმინელთა გამარჯვებაშია, ამ შემთხვევაში ჩვენი გუნდი საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით გააგრძელებს ბრძოლას.

შანსი მიზერულია, თუ როგორიც არის, დღეს გაირკვევა, იქამდე კი, საქართველოს ნაკრებზე ვისაუბრებთ.

## ბოისა და ცქიტიშვილი

### რატომ ათამაშეს ერთი და უარი უთხრეს მეორეს?

## ფაჩულია და ფედერაცია

### ერთის ჭირვეულობა თუ მეორის ბედოვლათობა?

მთავარი მიზეზი ამ წარუმატებლობისა, რაოდენ ბანალურადაც უნდა ჟღერდეს, ჩვენს მენტალიტეტშია. არაფერში არ ვართ პროფესიონალები და ყველაფერს ზერელედ ვუდგებით. ფეხბურთელები იქნებიან თუ კალათბურთელები, შეკრებაზე დროის უმეტეს ნაწილს ისევე ატარებენ, როგორც ნებისმიერი თქვენგანი გაატარებდა, მთელი წლის მომქანცველი მუშაობის შემდეგ უახლოეს მეგობრებთან ერთად კურორტზე. ანუ, ჩვეული ქართული ლაზღანდარობა, "ლადაობა", პრანჭვა, "მარიაჟობა" გვღუპავს. ნაცვლად იმისა, კონცენტრირება უშუალოდ მატჩზე მოახდინონ, თამაშის დროს იმაზე უფრო მეტად ფიქრობენ, რომ საკუთარი უბნელები, ძმაკაცები და გოგოები უყურებენ...

ირაკლი ჯაფარიძე

მე-11 გვერდზე

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოდარ ახალკაცი და გოგი ქავთარაძე

პრესკონფერენცია ფედერაციაში

# ტოპმიოლერი კოკოითი არაა

## რუსთაველში ყაზახებთან მატჩი უფასოა

*პირველი გვერდიდან*

სამწუხაროდ, წინა პრესკონფერენციაზე ჩემს ნათქვამს არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთეს. მოღალატეებად არავინ შემირაცხავს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პატრიოტობას არავის ვუწუნებ. ფეხბურთელებს მონდომებისკენ მოვუწოდე, ფედერაცია მოთამაშეებს მხოლოდ პროფესიონალიზმს სთხოვს და ეს გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს.

ეროვნული ნაკრების სამომავლო გეგმებსა და საკონტროლო მატჩების ორგანიზებაზე ვმუშაობთ. ვნახავთ ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილ კალენდარს. მიმდინარე წლის 25 ნოემბერს სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა შედგება, ჩვენი ჯგუფის მეტოქეები გაირკვევა, სათამაშო კალენდარი შედგება და ამხანაგური მატჩების დაგეგმვაზე მერე უფრო კონკრეტულად ვიმუშავებთ. ამასთან, წლეულს 17 ნოემბერს შეგვიძლია ამხანაგური მატჩის ჩატარება და ამაზეც ვმუშაობთ.

**გოგი ქავთარაძე** – ამ ბოლო ხანს ქართულ სპორტულ პრესაში დამკიდრდა სიტყვა "ფანდარასტი". თუ ვინმეს ნოდარ ახალკაცი, კლაუს ტოპმიოლერი და კოკოითი ერთმანეთში ერევა, ეს, რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა. დიდ პატივს ვცემ კოტე გოგიშვილს, კარგად წერს, განათლებული, ჭკვიანი პიროვნებაა და თავისი აზრი გააჩნია, მაგრამ ეს შედარება, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილისმომგვრელია. იგივე ავტორი წერს ტოპმიოლრის ჩამოყვანას სჯობდა ერთი "ტაბურეტკა" დაედოთ ეროვნულ სტადიონზეო. მინდა, ამ წერილის ავტორს შევახსენო, რომ ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივითა და ნაწილობრივი დაფინანსებით (1.5 მილიონი დოლარი) ეროვნულ სტადიონზე არაერთი "ტაბურეტკა" დავდეთ. ამასთან შეგახსენებთ, რომ ფედერაცია ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად არაერთ გრანდიოზულ პროექტს ახორციელებს, რომელიც რეგიონებში სტადიონების რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ პრესაში გამოქვეყნებული არასწორი წერილები და ფაქტების დამახინჯება გულდასაწყვეტია. გაზეთ "ჯორჯიან თაიმსში" ეწერა, რომ ჩვენ, თურმე, მილიონებით გავისქელეთ ჯიბეები და გამძვინვარებული ქომაგი ამას ვერ აიტანს. თუ ვინმეს უნდა, რომ ყოველივე ამას ჩვენს წინააღმდეგ მიმართული კამპანიის სახე მიეცეს, მათ მინდა მივმართო, რომ ტყუილად ირჯებიან.

ფედერაცია მუშაობს პრინციპით "ჩვენ ერთი გუნდი ვართ". თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენ უკვე ერთი გუნდი აღარ ვართ, ძალიან ცდება. ეს აზრი საფუძველსმოკლებულია. უახლოესი სანაკრებო მატჩების შემდეგ ჩვენ პრესკონფერენციას ჩავატარებთ და დაწვრილებით ვისაუბრებთ, თუ რა გააკეთა ფეხბურთის ფედერაციამ და რა გეგმები გვაქვს. ჩვენს მიერ დღემდე გაკეთებულით ფედერაცია მართლა ამაყობს. ამ პრესკონფერენციის შემდეგ ისინი, ვისაც ჩვენს საქმიანობაში ეჭვი შეაქვთ, პასკვილების წერით თავს აღარ დაიღლიან.

**რევაზ არველაძე** – ვითარების დრამატიზება საჭირო არაა და ეს არც იქნება მომგებიანი. უკრაინასთან მატჩისთვის ზოგიერთი ფეხბურთელის არგამოძახებას თავისი მიზეზი აქვს. არასწორი იქნება ისეთი ვარაუდების გამოთქმა, რომელიც საერთო საქმეს ავნებს. მწვრთნელებს თავიანთი მოსაზრება გააჩნიათ და შესაბამის გადაწყვეტილებასაც იღებენ.

ნაკრებ გუნდებს მაღალი დონის პირობების შექმნა ესაჭიროებათ და ჩვენ საამისოდ არაფერს ვიშურებთ. გლაზგოში სათამაშო მოედანი არ მოგვეწონა და "რეინჯერსის" ბაზაზე ვიქირავეთ მოედანი. მერწმუნეთ, ამას სატრაბახოდ არ ვამბობ, ეს ჩვენი ვალდებულებაა, მაგრამ ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყველამ იცოდეს და მერე ფაქტები აღარ დამახინჯდეს.

რაც შეეხება ჩემს ძმას შოთას, მას მუხლში წყალი ჩაუდგა, ხვალ ექიმთან მიდის ჰოლანდიაში. ალბათ, კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდება. ასეთ შემთხვევაში მას სარეაბილიტაციოდ 4-6 კვირა დასჭირდება და ოქტომბრის ბოლოს შეძლებს მოედანზე დაბრუნებას. ახლახანს ვიყავი ესპანეთში შოთასთან. სამი დღის წინათ, მასთან სახლში "ლევანტეს" მთავარი მწვრთნელი იყო და შოთა მოინახულა. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. მწვრთნელმა უთხრა კიდეც, კარგად გამოჯანმრთელდი, ნუ იჩქარებ, ოქტომბრის ბოლოს თუ არა, ნოემბრის დასაწყისში ხომ მაინც შეძლებ თამაშს, სეზონის ბოლომდე 20-25 მატჩი რომ ჩაატარო.

8 სექტემბერი. თბილისი, ეროვნული. 19:00. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო-უკრაინა

# ითამაშებს თუ არა კობიაშვილი? შევჩენკო?

*პირველი გვერდიდან*

მწვრთნელებმა ფეხბურთელები თავდაპირველად მოედნის ირგვლივ არბენინეს. მერე **მამუკა აბუსერიძემ** მეკარეები ავარჯიშა. დანარჩენი 17 მოთამაშე კი ორ ნაწილად გაყვეს მწვრთნელებმა და კვადრატი გაჩაღდა. ის ბურთის ერთი შეხებით, მოკლეპასიანი კომბინაციების დამუშავებამ შეცვალა. მერე იყო ფლანგიდან ჩაწოდებები, კარში დარტყმები და ბოლოს ორკარა ნახევარ მოედანზე. ფეხბურთელებს მონდომება ეტყობოდათ. თვალშისაცემი გახლდათ ისიც, რომ ახალი ფეხბურთელები ეროვნულში უცხოდ სულაც არ გრძნობდნენ თავს. ქვეყნის მთავარი გუნდის ყველაზე ახალბედა ფეხბურთელი **ლევან ყენია** კი სულაც ისე თავისუფლად იყო, ნაკრების დებიუტანტი კი არა, სტაჟიანი წევრი გეგონებოდათ.

ორკარას დაწყებამდე კლაუს ტოპმიოლერმა **გიორგი მერებაშვილი** და **სანდრო კობახიძე** გამოარჩია. მწვრთნელმა მათ ორკარა არ ათამაშა და რადგან წინა დღეს კლუბში ჩემპიონატის მატჩი ჰქონდათ, ცალკე არბენინა. ვარჯიში ადრე დაასრულა **ლევან კობიაშვილმაც**. მოგეხსენებათ, "შალკეს" მცველს კუნთი დაეჭიმა და ბოლო მატჩში კლუბშიც არ უთამაშია.

წვრთნის დასრულების შემდეგ ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერს გავესაუბრეთ...

- რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მოვიწვიეთ. ვფიქრობ, მათ გუნდში ადაპტაცია და შერწყმა არ გაუჭირდებათ. კობახიძე და მერებაშვილი ეროვნულის დებიუტანტებად არ ითვლებიან, რადგან ადრეც იყვნენ ჩემს გუნდში გამოძახებულნი. ყენიას სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში არაერთხელ უთამაშია და მუდმივად იყო ჩვენი დაკვირვების არეში. ტატანაშვილსაც ვაკვირდებოდით. ნაკრებში მისი გამოძახება ჯერ კიდევ შარშან გვინდოდა, მაგრამ ტრავმები ჰქონდა. ჩემი აზრით, მას ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ კარგ ფორვარდად ჩამოყალიბდეს. რაც შეეხება კვახაძეს, კლუბში ისიც კარგად წარმოჩნდა. კვახაძეს აქვს ის თვისებები, რაც თანამედროვე მცველს უნდა გააჩნდეს და იმედია, მას ნაკრებთან შეგუება არ გაუჭირდება. მას აუცილებლად მივცემთ თავის წარმოჩენის შანსს.



დიმიტრი ტატანაშვილი

**- კობიაშვილს დაჭიმული კუნთი კვლავ აწუხებს და მასზე რას გვეტყოდით?**

- ლევანის თაობაზე "შალკეს" მწვრთნელს დიდი ხნის განმავლობაში ვესაუბრე. მითხრა, რომ კობიაშვილი ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ ბოლო ტურში შეგნებულად არ ათამაშა. სლომკამ ერთიც მთხოვა – იქნება, კობიაშვილი უკრაინასთან ათამაშო და მერე უკან გაუშვა, რადგან "ბაიერნთან" გვაქვს თამაშიო. ჩვენი მედპერსონალის შემწეობით ყველაფერს ვაკეთებთ, რომ კობიაშვილი უკრაინასთან მატჩამდე მწყობრში იყოს და იმედია, ამას შევძლებთ კიდეც.

**- უკრაინული პრესის მტკიცებით, თბილისში ანდრეი შევჩენკოს თამაში საეჭვოა. ეს კი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს...**

- ჩვენ ჩვენი პრობლემა და თავსატეხი გვაქვს. ითამაშებს თუ არა თბილისში შევჩენკო, ეს ნაკლებად მაინტერესებს. მე ის უფრო მაღელვებს, შეძლებს თუ არა თამაშს კობიაშვილი. ჩემთვის უფრო მისასალმებელია, უკრაინა ძლიერი შემადგენლობით ჩამოვიდეს, თბილისში ძლიერ გუნდს მოვუგოთ და გულშემატკივარს სიამოვნება მივანიჭოთ.

**დავით ცაბაძე**



ნაკრების გუშინდელი ვარჯიში ამერის სტადიონზე



დებიუტანტები: მერებაშვილი. ყენია, მაკარიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა


პეტარ სეგრტი

U21. ევრო 2009. მეტოქეები

# ყაზახეთი დღეს მოდის

## ესპანეთმა შემადგენლობა დაასახელა

ეროვნული გუნდის თამაშამდე ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ჩაატარებს საშინაო მატჩს. **პეტარ სეგრტის** გუნდი 7 სექტემბერს რუსთავში ყაზახეთს უმასპინძლებს. ეს მატჩი 16 საათზე დაიწყება და თამაშზე დასწრება თავისუფალია. მეტოქე ხვალ გვეწვევა. ამასობაში კი ჩვენმა 21-წლამდელებმა უკვე დაიწყეს მოსამზადებელი შეკრება. პეტარ სეგრტმა, **გელა შეყილაძემ, სერგო კოტრიკაძემ** და **ოთარ გაბელიამ** გუშინ რუსთავში პირველად ავარჯიშეს გუნდი. თუმცა მანამდე მწვრთნელებმა გუნდი დილით **თენგიზ სულაქველიძის** აკადემიის სპორტკომპლექსში ავარჯიშიშეს. საწვრთნელ პროცესში დაშავებული **ალექსი ბენაშვილის** გარდა, ყველა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. სალამოს, 5 საათზე რუსთავში კი საფუძვლიანი წვრთნა გაიმართა. ვარჯიშში თბილისის "დინამოს" მცველ **გურამ კაშიასა** და "მერანის" მეკარე **რევაზ თევდორაძეს** არ მიუღიათ მონაწილეობა. მათ ორშაბათს კლუბებში ჩემპიონატის მატჩი ჰქონდათ და მწვრთნელებმა ისინი დაასვენეს. ორივე ფეხბურთელი დღეს ჩვეულებისამებრ ივარჯიშებს. დღეს ვარჯიში დახურულია. ხვალ 12 საათზე ფეხბურთის ფედერაციაში პეტარ სეგრტის პრესკონფერენცია გაიმართება. 15 საათზე კი ახალგაზრდული ნაკრები რუსთავში ივარჯიშებს.

მოგეხსენებათ, ყაზახეთთან მატჩის მომდევნო დღეს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ესპანეთს გაემგზავრება. ესპანელ თანსატოლებთან მატჩი 11 სექტემბერს ქალაქ ალმუნეკარში გაიმართება. ქართველებთან მატჩისთვის ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ინიაკი საესმა** უკვე დაასახელა შემადგენლობა:

**ხოსე ანტონიო ხურადო, რაულ გარსია (ორივე ატლეტიკო), ხავიერ მარტინესი (ატლეტიკი), ანტონიო ბარაგანი, ფრანჩესკო ხიმენესი, ადრიან ლოპესი (ყველა დეპორტივო), მარკ ტორეხონი, ფრანჩესკო კასილია (ორივე ესპანიოლი), ესტებან გრანერო (ხეტაფე), რომერტო ხიმენესი (ხიმნასტიკი), რობერტო კანიელა (სპორტინგი), მიგელ ტორესი (რეალი), ხერარდ პიკე (მანჩესტერი, ინგლისი), ხოსე ანხელ კრესპო, ალეხანდრო ალვარო, დიეგო კაპელი (ყველა სევილია), ხუან მატა (ვალენსია), სისინიო გონსალესი (ვალიადოლიდი).**

**დავით ცაბაძე**

მეტოქე. უკრაინა

# ბლოხინი იტყუება თუ ტიმოშჩუკი?

## თბილისამდე უკრაინელები ტრავმაზე ალაპარაკდნენ

**თბილისში** გამომგზავრებამდე უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა პრესკონფერენცია ჩაატარა.

- თავის დროზე ვთქვი, რომ ჩიგრინსკი ერთი პერიოდი ნაკრების დონეზე ვერ არის მზად. საერთოდ ვამბობდი, რომ მას არ შეეძლო რუსოლთან წყვილში თამაში...

- ტრავმირებული ვორონბეი სახლში დაბრუნდა. ასევე საეჭვოა მიხაილიკისა და ნესმაჩნის თამაში. მცირედ არიან დაშავებულები გუსევი, როტანი და კალინიჩენკო. აქედან გამომდინარე, ნაკრებში შევჩენკო გამოვიძახე...

- ჯერ ვერ ვიტყვი, ითამაშებს თუ არა შევჩენკო. ანდრეის ვესაუბრე, მაგრამ ჯერ ვერ გადავწყვიტე, ითამაშებს თუ არა საქართველოსთან. ამას შეხვედრამდე მოვიფიქრებთ. ასე ვიტყოდი - ანდრეი თბილისში თუ არ ითამაშებს, მოულოდნელობა არ იქნება...

- ნაკრებში ბევრი მოუმზადებელი მოთამაშე ჩამოვიდა. ზოგიერთი კლუბში არ თამაშობს, ზოგიერთს წარუმატებლობა დაერთო. ამჟამად 16-17 მოთამაშეა კარგად მომზადებული. ამის გამო ახალგაზრდა კრავჩენკო გამოვიძახე. თუმცა ეს უფრო ავანსად გაცემული ნდობაა...

- რაც შეეხება კალინიჩენკოს, ის მორალურად მართლა გატეხილია. მაქსიმმა "სელტიკთან" გადამწყვეტი პენალტი გააფუჭა. შემდეგ ცსკა-სთან ბოლო წუთზე გაშვებული ბურთიც მას დააბრალეს. ბუნებრივია, მას ახლა უჭირს.

**- როგორ აპირებთ შეუპოვარი ქართველების დამარცხებას, როგორ დამუხტავთ ბიჭებს?**

- შესაძლოა, დახმარებისთვის ექიმს მივმართო (იცინის). ბუნებრივია, შეხვედრისთვის სერიოზულად მოვემზადებით. საქართველო კარგი გუნდია და ტექნიკური მოთამაშეებიც ჰყავს. შემიძლია გარანტია მოგცეთ, რომ შაბათს ნაკრები საბრძოლო განწყობით გავა მოედანზე.

**- როგორ შედეგს ჩათვლით დამაკმაყოფილებლად?**

- იქაც და აქაც (12 სექტემბერს უკრაინა იტალიას უმასპინძლებს) ნახევარი ბურთით მოგებაც გაგახარებს.

უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" კი ნაკრების ლიდერს, "ზენიტის" კაპიტან **ანატოლი ტიმოშჩუკს** ჩამოართვა ინტერვიუ, საიდანაც ბათილდება ბლოხინის სიტყვები, თითქოს ბევრი ტრავმირებული ჰყავს. სხვათა შორის, არ ყოფილა შეხვედრა, რომლის წინაც ბლოხინს არ ეთქვას, შევჩენკოს თამაში საეჭვოაო.

ტიმოშჩუკი ინტერვიუს პირველივე პასუხში ამაზე საუბრობს:

- ბიჭებს მშვენიერი განწყობა აქვთ და კარგია, რომ ტრავმირებულები არ არიან. ყველა მოთამაშე მწყობრშია.

ამ ორ შეხვედრაში ჩვენი ბედი გადაწყდება. ახლა შეცდომის უფლება არ გვაქვს.

**- თავდაპირველად საქართველოს ესტუმრებით. უკრაინა-საქართველოს დაპირისპირება მეტოქის სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებს. ამის გამო, მოწინაალმდეგის შეუფასებლობას ხომ არ აქვს ადგილი?**


ოლეგ ბლოხინი

- რას ამბობთ? შეუფასებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ახლა ხომ ჩვენთვის თითოეული ქულა ორად ფასობს. ჯგუფში ისეთი ვითარებაა, ყველა შეხვედრას გადამწყვეტივით უნდა მოვეკიდოთ. ჩვენი მეტოქეები ხომ მსოფლიო ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონები არიან.

აქვე გეტყვით, რომ უკრაინელები ზეგ, 7 სექტემბერს, ნაშუადღევს ჩამოფრინდებიან თბილისში. ბლოხინის გუნდი სასტუმრო "მარიოტში" დაბინავდება, სალამოს 19 საათზე კი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს. წვრთნის დაწყებამდე 15 წუთით ადრე ოლეგ ბლოხინი პრესკონფერენციას გამართავს.

უკრაინელთა შემდეგ, 20 საათზე ეროვნულ სტადიონზე უკვე ჩვენი ნაკრები ივარჯიშებს. ვარჯიშამდე 15 წუთით ადრე, ამჯერად უკვე **კლაუს ტოპმიოლერი** წარდგება მასმედიის წინაშე.

**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ლევან ყენიასთან

# შალკე საბოლოოდ გადაწყვეტილია

ლევან ყენია ინტერვიუზე ძლივს დავითანხმეთ. ენაწყლიან და სიტყვაუხვ რესპოდნენტს ნაკრებში მიწვევა ისე გაუხარდა, რომ საუბარი მოერიდა, ცუდად არ გაიგონო. ის ხომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე პატარაა, ვინც კი ეროვნულ გუნდში მიუწვევიათ.

**- ნაკრებში მიწვევას ბევრი გამოცდილი მოთამაშე ვერ ეღირსა და შენთვის დიდი სიურპრიზი იქნებოდა...**

- ...და დიდი სიხარულიც. ძალიან მოულოდნელი იყო, 16 წლის ვარ, ბოლოს და ბოლოს. მთავარია, ნაკრებს გამოვადგე. საამისოდ ძალიან მონდომებული ვარ.

**- იმ დღეს, როდესაც ნაკრებში დაგასახელეს, "ლოკომოტივი" "ზესტაფონს" ხვდებოდა და შენზე მიწვევამ როგორ იმოქმედა?**

- მაგრად, ორმაგი-სამმაგი სტიმული იყო.

**- რა ვიცი, ის თამაში კი წააგეთ 0:5.**

- გუნდი მაგრად აირია. ასე საშინლად, რაც "ლოკომოტივში" ვარ, არ გვითამაშია.

**- "ამერთან" მოგების შემდეგ ხალხმა იფიქრა, რომ წლეულს "ლოკომოტივი" ლიდერებში მოხვდებოდა და უცებ ყველაფერი აირია. რა ხდება გუნდში?**

- ვერავინ ვხვდებით. ვითარება ნორმალურია, მაგრამ "ამერის" შემდეგ გამოფიტულებს ვგავართ.

**- ნაკრებს დავუბრუნდეთ. დღეს გუნდში პირველად ივარჯიშე. რა განსხვავება დაინახე გამოცდილ მოთამაშეებთან?**

- თამაშის მხრივ, ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. შეიძლება, ფიზიკურად ორთაბრძოლებში ოდნავ დავიჩაგრო, თორემ სხვა ყველაფერი გამიიოლდა.

**- ტოპმიოლერმა შენი ძირითადში დაყენება რომ გადაწყვიტოს, არ თქვა, მუხლები არ ამიკანკალდებაო...**

- ასეთები არ მახასიათებს. გამოვალ და ვითამაშებ.

**- ბოლოს და ბოლოს, "შალკეში" ჩაირიცხები? ეს კიდევ ერთი თემაა, რაც ძალიან გვაინტერესებს.**

- გელზენკირხენში გიორგი კიკნაძე იყო და გუშინ ჩამოვიდა. ყველაფერი საბოლოოდ გარკვეულია. 11 სექტემბერს, წესითა და რიგით, გერმანიაში უნდა ჩავიდე. მანამდე სამუშაო ვიზას მომცემენ. ჩავალ და დუბლებში ვითამაშებ.

**მერაბ მამულაშვილი**


ლევან ყენია
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ზესტაფონი გაბონს დახუთავს

გაბონელი ფორვარდი **ეტიენ ბიტოო** "ზესტაფონში" აგვისტოს ბოლოს მიიღა გასინჯვაზე. ახლა კი თითქმის გარკვეულია საკითხი - ზესტაფონელებს ბიტოოს აყვანა სურთ და გაბონელიც თანახმაა, შეთავაზებული პირობებით იმერულ გუნდში სათამაშოდ - მხოლოდ ფორმალობებია მოსაგვარებელი.

ბიტოო 27 წლისაა, გაბონური გუნდების გარდა, უთამაშია სამხრეთაფრიკულ "ვიტს უნივერსიტეტსა" და პორტუგალიურ "ჟილ ვისენტეში". თუ ბიტოოს "ზესტაფონში" ჩარიცხვას რაღაც გაუთვალისწინებელმა ფაქტორმა არ შეუშალა ხელი, ის საქართველოში მეხუთე გაბონელი იქნება ზესტაფონელი **პოლ კესანის**, ოლიმპიელი **ერნესტ აკუასაგასა** და დინამოელების - **ჯორჯ აკირემისა** და **დიდიე ოვონოს** შემდეგ.

**დავით თავართქილაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

www.pfl.ge

## უმაღლესი ლიგა. IV ტური. მიმოხილვა

| IV ტური | |
|---|---|
| **31 აგვისტო. პარასკევი** | |
| ზესტაფონი-ლოკომოტივი | 5:0 |
| **1 სექტემბერი. შაბათი** | |
| ბათუმი-ბორჯომი | 1:1 |
| მგლები-სპარტაკი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 2:1 |
| **2 სექტემბერი. კვირა** | |
| მესხეთი-დილა | 2:0 |
| ამერი-სიონი | 2:0 |
| **3 სექტემბერი. ორშაბათი** | |
| დინამო-მერანი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-1 | 10 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 5-2 | 10 |
| 3. დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 4. მესხეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 5. ამერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 6. მგლები | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 6 |
| 7. ოლიმპი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-4 | 6 |
| 8. ბორჯომი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 9. სპარტაკი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-3 | 5 |
| 10. სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 11. დილა | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 12. ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 3 |
| 13. ბათუმი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-4 | 1 |
| 14. მერანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-6 | 0 |

### ტურის მწვრთნელი

"ლელოს" სიმბოლურ ნაკრებს მწვრთნელი ყოველთვის ჰყავს, მაგრამ აქამდე ტურის მიმოხილვაში არც ერთი გუნდის მესაჭეზე არ გაგვიკეთებია აქცენტი. თუმცა, ამ შემთხვევაში **ნესტორ მუმლაძის** დამსახურებას ხაზი აუცილებლად უნდა გავუსვათ. "ვიტ ჯორჯიას" დამრიგებელმა მორიგ პრინციპულ მატჩში მიაღწია დადებით შედეგს და "ოლიმპთან" გადახდილი მძიმე ბრძოლის შემდეგ, მისი გუნდი ჩემპიონატის თანალიდერად დარჩა.

მუმლაძე უკვე მეორედ ვცანით ტურის მწვრთნელად, აგვისტოს სიმბოლურ ნაკრებსაც იგი "ჩაუდგა სათავეში". ერთი სიტყვით, ვეტერინართა გეგმები ამ სეზონში ჯერჯერობით, კარგად სრულდება, რაც ბუნებრივია, გუნდის თავკაცის უდიდესი დამსახურებაა.

მუმლაძის კიდევ ერთი ღირსება ისაა, რომ შეგირდებისთვის დიდი ავტორიტეტია. ზოგიერთი უმაღლესლიგური გუნდისგან განსხვავებით, "ვიტ ჯორჯიაში" იდეალური დისციპლინაა მოედანზეც და მის მიღმაც. შეიძლება, ეს ევროპაში ჩვეულებრივი ამბავი იყოს, მაგრამ არამცდაარამც ჩვენთან, სადაც ბევრი ფეხბურთელი და მწვრთნელი ერთურთ პატივს ნაკლებად სცემს.

დაბოლოს, "ვიტ ჯორჯია"-"ოლიმპში" გამარჯვების გოლი შეცვლაზე შესულმა **ზაზა სახოკიამ** გაიტანა, ესეც მუმლაძის სამწვრთნელო ალღო...



აგვისტოსა და ორგზის ტურის მწვრთნელი

### ტურის კურიოზი

ისევ "ვიტ ჯორჯია"-"ოლიმპს" მივუბრუნდეთ. ტურის ცენტრალური დაპირისპირების 63-ე წუთი მიმდინარეობდა, ოლიმპელმა **მახვილაძემ** ბურთის საკუთარი საჯარიმოდან ამოტანა რომ სცადა, მაგრამ საშინლად არ გაუმართლა. ბურთი "ოლიმპის" საჯარიმოს მიღმა, კარისკენ ზურგით მდგომ **ნიკა გელაშვილს** მოხვდა და სტუმართა სავალალოდ, მათი კარის ბადეში შეფრინდა. გელაშვილს მომხდარის გასაცნობიერებლად რამდენიმე წამი დასჭირდა - ბელგიიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ფორვარდი უნებლიე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გოლის ავტორი გახდა. მოკლედ, ისეთი სახალისო ეპიზოდი იყო, მარტო ტურის კი არა, მთლიანი ჩემპიონატის გამორჩეულ კურიოზადაც იქცა

## IV ტურის სიმბოლური ნაკრები




### ტურის მოვლენები

ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბს ჩვენი ჩემპიონატის იგნორირების გამო ხშირად ვსაყვედურობთ, ამჯერად კი **კლაუს ტოპმიოლერი** და მისი ასისტენტები საქართველოს პირველობას დიდი ყურადღებით მოეკიდნენ, კალენდრითაც ისარგებლეს და მეოთხე ტურში მაქსიმალურად დაიხარჯნენ. ჯერ იყო და პარასკევს **კლაუსი, ჰაინცი, მინგე** და **სეგრტი** ზესტაფონს ეწვივნენ, შემდეგ მეორე დღეს მცხეთურ ჯახს დაესწრნენ, რისი წყალობითაც ეროვნული ნაკრების სიას ჯორჯიელი **ალექსანდრე კვახაძე** დაემატა; კვირას გლდანში დააკვირდნენ **დიმიტრი ტატანაშვილსა** და ეროვნულის სხვა პოტენციურ კანდიდატებს (სხვათა შორის, იმავე საღამოს სპორტის სასახლეშიც იყვნენ საქართველოს საკალათბურთო ნაკრების საქომაგოდ) და არც ტურის დასკვნით შეხვედრას დაჰკლებიან, სადაც ნაკრების ახალმა წევრებმა ითამაშეს.

გერმანელ მწვრთნელთა "ეროვნულზე" მისვლაზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ქვეყნის მთავარ არენას "დინამო" და საერთოდ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაახლოებით ნელინადნახევრიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. ასე რომ, მსურველებს საფეხბურთო და სარაგბო ეროვნული ნაკრებების გარდა, "ბორის პაიჭაძეზე" "დინამოს" ქომაგობაც შეეძლებათ. სხვა საქმეა, რომ "დინამოს" დიდუბეში დაბრუნებას მაყურებელთა რიცხვი არ გაუზრდია, ცხადია, ეს მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლების შემდეგ მოხდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ნიკა გელაშვილი და მიხეილ მახვილაძე - კურიოზის შემოქმედები



ტოპმიოლერები და სეგრტი მცხეთაში

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

## უმაღლესი ლიგის სტატისტიკა

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 1-3 | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 3 |
| 4-11 | ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 2 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 2 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 2 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 2 |
| | გ. ჩიტაია (დილა) | 2 |
| | რ. ჯიქია (ოლიმპი) | 2 |

| საგოლე პასები | | |
|---|---|---|
| 1-6 | ლონლაძე (ბორჯომი) | 2 |
| | ჯელაძე (ამერი) | 2 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ზ. ჩხეტიანი (მესხეთი) | 2 |
| | თურმანიძე (მესხეთი) | 2 |

| გოლი+პასი | | |
|---|---|---|
| 1 | ვიეირა (ზესტაფონი) | 5 (3+2) |
| 2 | იონანიძე (ზესტაფონი) | 4 (3+1) |
| 3-6 | ტატანაშვილი (ამერი) | 3 (2+1) |
| | ყენია (ლოკომოტივი) | 3 (1+2) |
| | ზ. ჩხეტიანი (მესხეთი) | 3 (1+2) |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 (3+0) |

| რეალიზებული პენალტი | | |
|---|---|---|
| 1-3 | ტატანაშვილი (ამერი) | 1 |
| | სამხარაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | მედოევი (სპარტაკი) | 1 |

| გაცუდებული პენალტი | | |
|---|---|---|
| 1-2 | სვანიძე (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |

| მოგერიებული პენალტი | | |
|---|---|---|
| 1 | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |

| მიღებული გოლები (მატჩების ნახევარზე მეტი) | | |
|---|---|---|
| 1 | ოვონო (დინამო) | 0 |
| 2-3 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 1 |
| | ბოგლიაშვილი (სიონი) | 1 |
| 3-4 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ივარდავა (მგლები) | 2 |
| 5-7 | ქვაჩახია (ამერი) | 3 |
| | შეყრილაძე (ბორჯომი) | 3 |
| | კოდალაევი (სპარტაკი) | 3 |

| გასულ ტურში |
|---|
| 19 გოლი |
| საშუალოდ მატჩში 2.71 |
| 20 ყვითელი ბარათი |
| საშუალოდ მატჩში 2.85 |
| 0 წითელი ბარათი |

| მშრალი სერიები | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 350 წთ. |
| 2 | კოდალაევი (სპარტაკი) | 284 |
| 3 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 257 |
| 4 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 236 |
| 5 | ივარდავა (მგლები) | 234 |
| 6 | ოვონო (დინამო) | 180 |

| მიმდინარე მშრალი სერიები | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 350 |
| 2 | ოვონო (დინამო) | 180 |
| 3 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 124 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 114 |
| 5 | სომხიშვილი (მესხეთი) | 96 |
| 6 | მერლანი (ოლიმპი) | 92 |

| შემცვლელთა გოლები | | |
|---|---|---|
| 1 | იონანიძე (ზესტაფონი) | 3 |
| 2-3 | ხუციშვილი (დინამო) | 2 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 2 |

| დუბლი | | |
|---|---|---|
| 1-2 | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 1 |

| მატჩის რჩეული | | |
|---|---|---|
| 1 | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 |
| 2-3 | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | მემარნიშვილი (ბორჯომი) | 2 |

| არბიტრები (მატჩების რაოდენობა) | | |
|---|---|---|
| 1-2 | გ. ვადაჭკორია | 3 |
| | დ. ხარიტონაშვილი | 3 |
| 3-9 | გ. კიკაჩეიშვილი | 2 |
| | მ. ბეჟქლიშვილი | 2 |
| | ლ. ფანიაშვილი | 2 |
| | პ. დოგრაშვილი | 2 |
| | ჯ. ბუიშვილი | 2 |
| | ლ. კვარაცხელია | 2 |
| | ო. ხეცაძე | 2 |
| 10-16 | ვ. ელისაბედაშვილი | 1 |
| | კ. ჭაჭუა | 1 |
| | მ. ურუშაძე | 1 |
| | ვ. გუმბერიძე | 1 |
| | ა. კრიჭაშვილი | 1 |
| | ლ. სილაგავა | 1 |
| | გ. დოგრაშვილი | 1 |

| ანგარიშები | | |
|---|---|---|
| 1 | 1:0 | 7 |
| 2 | 2:0 | 4 |
| 3 | 1:1 | 3 |
| 4-6 | 2:1 | 2 |
| | 0:2 | 2 |
| | 0:1 | 2 |

| ჩემპიონატში |
|---|
| 55 გოლი |
| საშუალოდ მატჩში 1.96 |
| 108 ყვითელი ბარათი |
| საშუალოდ მატჩში 3.85 |
| 6 წითელი ბარათი |
| საშუალოდ მატჩში 0.21 |

## პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ამერი 2-მეშაქრე | 5:2 |
| გაგრა-ნ. დინამო/მერანი 2 | 3:2 |
| დინამო 2-ჩიხურა | 2:2 |
| ოლიმპი 2-ვიტ ჯორჯია 2 | 0:2 |
| ოლიმპიკი-კახეთი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ამერი 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| 2 ვიტ ჯორჯია 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 3 დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 4 ჩიხურა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 5 მეშაქრე | 3 | 1 | 1 | 1 | 10-7 | 4 |
| 6 გაგრა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-10 | 4 |
| 7 ოლიმპიკი | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| 8 კახეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| 9 ნ. დინ/მერ. 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 10 ოლიმპი 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| ტორპედო-კოლხეთი ხობი | 1:2 |
| ფაზისი რაჭა-მეშახტე | 3:1 |
| სამტრედია-ზესტაფონი 2 | 2:4 |
| კოლხეთი ფოთი-უნივერსიტეტი ქუთ. | 2:0 |
| მერანი მარტვ.-მალაროელი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 კოლხეთი ფ. | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 2 ზესტაფონი 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 3 მეშახტე | 3 | 2 | 0 | 1 | 6-6 | 6 |
| 4 მალაროელი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 5 უნივერსიტეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 6 კოლხეთი ხ. | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 7 ფაზისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| 8 მერანი მ. | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 9 ტორპედო | 3 | 0 | 2 | 1 | 4-6 | 1 |
| 10 სამტრედია | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |

საქართველოს თასი

## ხვალ დაჯგუფდებიან

6 სექტემბერს, 13 საათზე, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში დავით ყიფიანის სახელობის თასის "ყაზბეგის" გათამაშების ჯგუფური ეტაპის წილისყრა მოეწყობა. შეგახსენებთ, მეთექვსმეტედფინალში ევროთასების მონაწილე ოთხ ქართულ კლუბს არ უთამაშია, ისინი ბრძოლას პირდაპირ ჯგუფებიდან დაიწყებენ. ჯგუფური ტურნირი წრიული სისტემით, ორ წრედ ჩატარდება. მეოთხედფინალში ქვეჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი გავა. პფლ-ის საშეჯიბრო კომიტეტის გადაწყვეტილებით, წილისყრისას პირველ კალათაში ევროპაზე გასული გუნდები განითესებიან, დანარჩენ კალათებში კი კლუბები ჩემპიონატში სადღეისოდ ნაჩვენები შედეგების მიხედვით გადანაწილდებიან.

კალათებმა ასეთი სახე მიიღო:

პირველი კალათა: **ოლიმპი, ამერი, დინამო, ზესტაფონი.**

მეორე კალათა: **ვიტ ჯორჯია, მესხეთი, მგლები, ბორჯომი.**

მესამე კალათა: **სპარტაკი, დილა, ლოკომოტივი, ბათუმი.**

მეოთხე კალათა: **მერანი, მალაროელი, კახეთი, კოლხეთი ან ტორპედო.**

"კოლხეთისა" და "ტორპედოს" განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური მატჩი დღეს, ფოთში გაიმართება. შეგახსენებთ, ქუთაისური შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## დინამო რეიტინგს დაუბრუნდა

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) მსოფლიოს მოწინავე 350 კლუბის რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა. სიაში მხოლოდ ორი ქართული გუნდია, "ამერი" და "დინამო". ქვეყნის თორმეტგზის ჩემპიონი კარგა ხანს რეიტინგს მიღმა იყო, უეფას თასის ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლისთვის "დინამომ" 367-ე ადგილიდან 324-ეზე ისკუპა. თბილისის "ამერი" კი 281-ედან 301-ე ადგილამდე დაქვეითდა. რეიტინგს სათავეში ესპანური "სევილია" უდგას, ინგლისური "ჩელსი" მეორეა, ხოლო მესამე - ბრაზილიური "სანტოსი".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერები

## დვალმა ბევრი ირბინა



ჯაბა დვალი

მოლდოვის ჩემპიონატში მე-11 ტურის მატჩები გაიმართა. კიშინოვში "დაჩიამ" "სტიაუას" უმასპინძლა და 1:0 იმარჯვა. ამ შეხვედრაში "დაჩიას" საშინაო მატჩებში რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი ფორვარდის, **ჯაბა დვალის** დებიუტი შედგა. "დაჩიას" გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჩენას, დვალი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და მოლდოველი ჟურნალისტების მტკიცებით, ბევრი ირბინა, სწრაფი იყო და თანაგუნდელებსაც ხშირად ეხსნებოდა, თუმცა ისინი მას ნაკლებად ტვირთავდნენ. ერთადერთი გოლი ამ მატჩში 27-ე წუთზე გავიდა (**მინჩევი**), როცა დვალი ჯერ სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ჩემპიონმა "შერიფმა" ტირასპოლურ დერბიში ქულები დაკარგა, "ტირასპოლს" 0:0 ეთამაშა. გუნდის კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი** ტრადიციულად დაცვის ცენტრში თამაშობდა. სხვათა შორის, "შერიფის" ოფიციალურ საიტზე გამოკითხვაში (ვინ არის ბოლო ათწლეულში კლუბის საუკეთესო ფეხბურთელი, ვაჟა თარხნიშვილი 54%-იანი უპირატესობით ლიდერობს. "ზიმბრუმ" მთავარი კონკურენტის ნაფორხილებით ისარგებლა, სტუმრად "ოლიმპია" დაამარცხა - 1:0 და ცხრილშიც გადაუსწრო. **მამუკა ლომიძე** სტუმართა შემადგენლობაში 55-ე წუთამდე იყო.

"ზიმბრუ" ათი თამაშიდან 20 ქულით მეორე ადგილზეა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება "ნისტრუს", ამასთან ერთი მატჩით ნაკლები აქვს გამართული. მესამე ადგილზეა "დაჩია" 19 ქულით, თუმცა პოტენციური ლიდერია, რადგან ლიდერთან შედარებით ოთხი თამაშით (!) ნაკლები აქვს გამართული. "შერიფი" 18 ქულით (8 მატჩიდან) მეოთხე ადგილზეა.

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

8 სექტემბრის, საქართველო-უკრაინის მატჩის ბილეთების გაყიდვა **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში, დაიწყება დღეიდან, 5 სექტემბრის 11 საათიდან. ეროვნული არენის 10 სალარო 18 საათამდე იმუშავებს. მატჩის დღეს, 8 სექტემბერს, 11-დან 16 საათამდე. 19 საათამდე მხოლოდ 4 სალარო იმუშავებს **გიორგი ცაბაძის** ქუჩაზე.

ბილეთის ფასი 5, 10 და20 ლარია.

**5 ლარი - ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების სექტორები.**

**10 ლარი – აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-20, 21-ე, 22-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-5, მე-6, მე-11 და მე-12 სექტორები.**

**20 ლარი – აღმოსავლეთ ტრიბუნა, I იარუსი – მე-13, მე-14, მე-15, მე-16 სექტორები. აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – 23-ე, 24-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-7, მე-9, მე-10 სექტორები.**

## ნაკრების ქომაგთა საყურადღებოდ!

## ჩაიცვით წითელი და თეთრი

8 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უკრაინას ვხვდებით. ფეხბურთის ფედერაცია გულშემატკივარს მოუწოდებს თეთრ და წითელ (ეროვნული დროშის ფერებში) სამოსში ჩაცმულები მოვიდნენ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე და ერთგულად უქომაგონ საყვარელ გუნდს.

ქომაგთა საყურადღებოდ ერთ სიახლესაც გაცნობებთ. 8 სექტემბერს, ეროვნულ სტადიონზე, ეროვნული ნაკრების, "დიადორას" წარმოების ეკიპირება გაიყიდება.

**მაისური (წითელი, თეთრი) – 100 ლარი**
**გრძელმკლავიანი მაისური (წითელი, თეთრი) – 110 ლარი**
**შორტი (წითელი, თეთრი) – 50 ლარი**
**გეტრები (წითელი, თეთრი) – 20 ლარი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# ბალაკი განაცხადს მიღმა დარჩა

## ტრავმა თუ მოსალოდნელი ტრანსფერი? ტაბლოიდები იანვრის ფანჯრის გახსნას დაელოდებიან...

"ჩელსიმ" **მიხაელ ბალაკი** ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა. გასული სეზონის მიწურულს ფეხბურთელს კოჭის ოპერაცია გაუკეთეს. მას აპრილის შემდეგ არ უთამაშია. ლონდონელი ექიმები ვარაუდობენ, რომ ბალაკი მინდორს ოქტომბრის მიწურულს დაბრუნდება. თუ ასეა, მიხაელს ჯგუფური ტურნირის მატჩების ნახევარზე მეტი გაუცდება. B ჯგუფში "ჩელსის" მეტოქეები "ვალენსია", "შალკე" და "რუსენბორგი" იქნებიან. ტურნირის პირველი სტადია 11 დეკემბერს დასრულდება. "ჩელსი" იმედოვნებს, რომ ბალაკი მოსალოდნელზე ადრე განაახლებს ვარჯიშს. ოპტიმალური ფორმის აკრეფა პრემიერლიგაშიც შეიძლება. თებერვლიდან კი გერმანელი ევროპულ სარბიელზეც ითამაშებს - რა თქმა უნდა, თუ "ჩელსი" პლეიოფში გავა. თუ ჯგუფს გადავხედავთ, ინგლისელებს ამის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეთ. გასული კვირის მიწურულს "არისტოკრატებს" **ფრენკ ლემპარდი** დაუშავდათ. მან "ასტონ ვილასთან" (0:2) ვერ ითამაშა. ბირმინგემულ მატჩში მუხლი იტკინა **დიდიე დროგბამ**. მან თამაშის დასრულება ვერ მოახერხა.

დავუბრუნდეთ ბალაკს. მიხაელის განაცხადს მიღმა დარჩენამ გერმანელთა თავკაცი **იოახიმ ლიოვი** ძალიან გააკვირვა. მისი ინფორმაციით, ფეხბურთელი, ფაქტობრივად, ჯანმრთელია. მან სადაცაა ვარჯიში უნდა დაიწყოს. ამიტომ ლიოვი არ იზიარებს არგუმენტს, თითქოს ბალას ლიგის ჯგუფურ ტურნირში თამაში არ შეეძლო: *"ის (ბალაკი) დღითიდღე უკეთ გრძნობს თავს. რა თქმა უნდა, მისი მწვრთნელის გადასაწყვეტია, ათამაშებს თუ არა. ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ მიხაელი 13 ოქტომბერს ირლანდიასთან მატჩში დაგვეხმარება."*

ტრავმის მოტივით ბალაკის ლიგის მიღმა დარჩენა ბრიტანულ ტაბლოიდებსაც საეჭვოდ ეჩვენებათ. ეჭვს აძლიერებს ის, რომ 25-კაციან სიაში მოხვდა **უეინ ბრიჯი**. ინგლისელ მცველს წლეულს ძირითადში საერთოდ არ უთამაშია. მას ივლისში მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. ბრიჯის დაბრუნების მიახლოებითი თარიღიც კი უცნობია. ამის მიუხედავად, ის განაცხადშია. "დეილი მეილის" ვარაუდით, იანვრის ფანჯრისას გერმანელს გაყიდვა ემუქრება. თუ ის ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს, ევროპული გრანდები უფრო დიდი ენთუზიაზმით გაუფორმებენ კონტრაქტს. მოგეხსენებათ, რეგლამენტის თანახმად, ფეხბურთელს ეკრძალება ევროტურნირებში ერთი სეზონის განმავლობაში ორ სხვადასხვა კლუბში თამაში. სპეკულაციებს ბალაკის შესაძლო აბარგების თაობაზე ოფიციალური გამოხმაურება არ მოჰყოლია.

გასულ უქმეებზე "ჩელსიმ" "ასტონ ვილასთან" წააგო (პირველი მარცხი პრემიერლიგაში შვიდი თვისა და 19 მატჩის განმავლობაში). **ჟოზე მოურინიომ** თქვა, სათამაშო უპირატესობას ჩემი გუნდი ფლობდაო. ჟურნალისტებმა მისი განცხადება უსაფუძვლოდ მიიჩნიეს,



მიხაელ ბალაკი ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს

რადგან ბირმინგემელთა მეკარე **სკოტ კარსონმა** 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი სეივი გააკეთა. მოურინიომ მომხდარის დრამატიზება ზედმეტად მიიჩნია. მან გაიხსენა, რომ "ვილამ" შემადგენლობის გასაძლიერებლად ათეულობით მილიონი გირვანქა დახარჯა. ასევე მოიქცნენ ინგლისის სხვა საშუალო დონის კლუბებიც. ჟოზეს აზრით, კონკურენტების მომძლავრება იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონში დიდი ოთხეულის კლუბები ადრინდელზე მეტ ქულას დაკარგავენ. 88-ე წუთზე, როცა "ასტონ ვილამ" მეორედ აილო "ჩელსის" კარი, **რომან აბრამოვიჩმა** საპატიო სტუმრების ლოჟა დატოვა. ლონდონელთა პრესსამსახურმა განმარტა, რომ რუსი ოლიგარქი სტადიონიდან არ წასულა. მან გასახდელს მიაშურა, რათა ფეხბურთელები გაემხნევებინა. იყო თუ არა აბრამოვიჩი გასახდელში? მოურინიოს ამის შესახებ არაფერი უთქვამს.



არსენ ვენგერმა ფრანსესკ ფაბრეგასი უბერებელ მანჩესტერელ ვარსკვლავს შეადარა

არსენალი

# ფაბრეგასი არსენალის სქოულზია

## ტრანსფერი, რომელიც ფანჯრის დახურვამდე ათი წუთით ადრე განხორციელდა

გასულ უქმეებზე "პორტსმუთთან" ნამატჩევს **არსენ ვენგერმა** **სესკ ფაბრეგასს** არსენალელი **პოლ სქოულზი** უწოდა. "მეთოფეები" მეორე ტაიმის დასაწყისში ათი კაცის ამარა დარჩნენ. არბიტრმა **ფილიპ სენდეროსს** წითელი ბარათი აუფრიალა. ამის მიუხედავად, ლონდონელებმა 3:1 გაიმარჯვეს. ერთი გოლი ფაბრეგასმა გაიტანა. მას ექვს მატჩში (ყველა ტურნირზე) უკვე ოთხი გოლი აქვს. ესპანელ ნახევარმცველს ოთხი გოლის გასატანად მთელი შარშანდელი სეზონი დასჭირდა. *"სესკი სქოულზს მაგონებს. მის თამაშს გონება და ინტელექტი წარმართავს. მისი პასები შეუდარებელია. სესკი იდეალურად არჩევს დროს, რათა მეტოქის საჯარიმოში შეიჭრას და გოლი გაიტანოს. გაითვალისწინეთ, რომ ის მხოლოდ 20 წლისაა,"* - ამბობს ვენგერი. გასულ სეზონში მწვრთნელმა ფაბრეგასის თამაშებს ერთ ფირზე მოუყარა თავი. შემდეგ ახალგაზრდა შეგირდი გვერდით მოისვა და თითოეული ეპიზოდი მასთან ერთად განიხილა. ვენგერი კმაყოფილებას ვერ მალავს, რომ მისმა მეცადინეობამ ასე მალე გამოიღო შედეგი: *"ზოგიერთ თამაშში სესკი სამ მომენტსაც კი ქმნიდა, მაგრამ შეტევის სხვაგვარ გაგრძელებას ირჩევდა. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ისევ შედეგიანად ათამაშდებოდა. ახალგაზრდულ გუნდებში მას ბევრი გოლი აქვს გატანილი."*

თუ რუსი ოლიგარქი **ალიშერ უსმანოვი** "არსენალს" შეიძენს, ვენგერს საუკეთესო ფეხბურთელების შესაძენად ფული გაუჩნდება. მაგრამ მწვრთნელის აზრით, ფინანსური კეთილდღეობა წარმატების გარანტი არ არის. თანაც ლონდონელებს უკვე საკმარისად ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ჰყავთ: *"ფული ან არის საკმარისი, ან არა. თუ ასი გირვანქა გაქვს, ხოლო მეტოქეს ორასი, შენც ორასი გირვანქა გინდა, ხოლო თუ ორასი გირვანქა გაქვს, ხოლო მეტოქეს ოთხასი, ორასი გირვანქა უკვე აღარ არის საკმარისი. ასეთი ანგარიში უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. ფეხბურთი კი იმიტომაა გენიალური თამაში, რომ აქ უკლებლივ ყველას აქვს კარგი გუნდის გაკეთების შანსი. ვგრძნობ, რომ "არსენალში" სტაბილური ვითარებაა. საფეხბურთო კლუბისთვის მთავარია ის, რაც მინდორზე ხდება. ამბიცია არ გვაკლია. ეს ფეხბურთელები მე შევარჩიე და მათი უსიტყვოდ მჯერა. დარწმუნებული ვარ, ჩემს ფეხბურთელებს ჩემსავით დიდი ამბიციები აქვთ. გარწმუნებთ, ამ "არსენალს" ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია."*

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 10 წუთით ადრე "არსენალმა" "ჩელსის" ნახევარმცველი **ლასანა დიარა** შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ფრანგმა ლეგიონერმა **არსენ ვენგერს** ნდობისთვის მადლობა გადაუხადა: *"ჩელსიდან" იმიტომ წამოვედი, რომ თამაში მინდოდა. იქ კი ამის საშუალება არ მქონდა. მათ ნახევარდაცვაში მიხაელ ბალაკი, ფრენკ ლემპარდი, კლოდ მაკელელე და მიკაელ ესიენი ჰყავთ. ვიცი, რომ "არსენალის" ძირითადში მოხვედრაც ძნელი იქნება. მწვრთნელებისგან არანაირი გარანტია არ მიმიღია, მაგრამ მიმაჩნია, რომ აქ მეტი შანსი მაქვს. ვიცი, რომ პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში დიდ მატჩებში თამაშის საშუალება მომეცემა."* დიარამ უარით გაისტუმრა "ტოტენჰემი", "პორტსმუთი", "ნიუკასლი" და "მონაკო". მას "ჩელსისთან" კონტრაქტი გაისად ზაფხულში უმთავრდებოდა. *"ვიცოდი, რომ მისტერ ვენგერს ჩემი შეძენა სურდა. ის "ჩელსისა" და საფრანგეთის ნაკრების რამდენიმე თამაშს დაესწრო. "არსენალს" ყოველთვის სხვა გუნდებზე წინ ვაყენებდი. აქ გადმოსვლამდე ვილიამ გალასსაც ველაპარაკე, რომელმაც ერთი წლის წინ ჩემი გზა გამოიარა,"* - განუცხადა დიარამ მიმომხილველებს. ფეხბურთელი "სტემფორდ ბრიჯზე" ორი წლის წინ "ჰავრიდან" 2.5 მილიონ გირვანქად გადავიდა. მას **მაკელელეს** შემცვლელად ამზადებდნენ. გასულ სეზონში ფეხბურთელმა "პარი სენ ჟერმენში" იჯარით გაშვება მოითხოვა, რაზეც ცივი უარი მიიღო. ამის შემდეგ დიარასა და **ჟოზე მოურინიოს** შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა.

### ინგლისურ ტრანსფერებში 1 მილიარდი დაიხარჯა

ინგლისურმა კლუბებმა ზაფხულის ტრანსფერებისას 1 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯეს. ამ ინფორმაციას ფინანსური ჯგუფი "დელოიტ ენდი ტუში" ავრცელებს. ანალიტიკოსთა შეფასებით, ხარჯების სარეკორდო ზრდას განაპირობებს, ერთი მხრივ, ახალი ინვესტორების მისვლა და აგრეთვე ასტრონომიული სატელევიზიო შემოსავლები, რომელთაც პრემიერლიგის კლუბებს ამ სეზონში მიუთვლიან. 2007 წლის ზაფხულში დახარჯული თანხა ორი მესამედით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2006 წლის ზაფხულის მონაცემი 600 მილიონი დოლარი იყო. ყველაზე მხარჯველი კლუბები არიან - "მანჩესტერ იუნაიტედი" (102 მილიონი დოლარი), "ლივერპული" (100 მილიონი), "ტოტენჰემი" (80 მილიონი) და პრემიერლიგის დებიუტანტი "სანდერლენდი" (70 მილიონი). უმაღლესი დივიზიონის 12-მა კლუბმა ახალ ფეხბურთელებში 40 მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა.

### ჯილარდინოს გამხნევება სჭირდება

"მილანის" ხელმძღვანელობა ფანებს მოთმინებისკენ მოუწოდებს. ტიფოზები **ალბერტო ჯილარდინოთი** უკმაყოფილონი არიან. "ფიორენტინასთან" მატჩისას (1:1) ჯილას სტვენაც კი აუტეხეს. ალბერტომ "პარმაში" თამაშისას გაითქვა სახელი. 2004-05 წლების სეზონში მან 23 გოლი გაიტანა. ფორვარდმა იმავე ზაფხულს "მილანს" მიაშურა და 17 გოლი შეაგდო, გასულ სეზონში კი მხოლოდ 12 გოლით დაკმაყოფილდა. იანვრიდან "მილანის" ძირითად გუნდში ითამაშებს ბრაზილიელი **ალეშანდრე პატო**. ჯილარდინომ თუ ასე გააგრძელა, ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. ჯერჯერობით კი, **კარლო ანჩელოტი** და **ადრიანო გალიანი** მას საჯაროდ ამხნევებენ და ტიფოზებსაც ურჩევენ, სიმშვიდე შეინარჩუნონ.

### ტაილანდის სასამართლო სიტის ბოსის წინააღმდეგ

ტაილანდის სასამართლომ "მანჩესტერ სიტის" მფლობელის, **ტაქსინ შინავატრას** დაპატიმრების სანქცია გასცა. შინავატრა ქვეყნის ყოფილი პრემიერმინისტრი გახლავთ. ის ერთი წლის წინათ შეიარაღებული ამბოხის შედეგად დაამხეს. ახალი ხელისუფლება შინავატრას გადასახადებისთვის თავის არიდებასა და კორუფციაში ადანაშაულებს და ინგლისისგან მის გადაცემას ითხოვს. "სიტის" ბოსი ალბიონზე თავს შესანიშნავად გრძნობს და სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს. მისი წარმომადგენელი ირწმუნება, რომ ტაილანდის სასამართლოს სანქციის მიუხედავად, "სიტის" ფინანსურ კეთილდღეობას არაფერი ემუქრება.

საბერძნეთი

# მეფე ოტოს ორი დანაკლისი

"ნიურნბერგის" თავდამსხმელი **ანგელოს ხარისტეასი** ნორვეგიასთან 12 სექტემბრის მატჩს გამოტოვებს. მან გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ოტო რეჰაგელმა ფორვარდი 22-კაციან განაცხადში არ შეიყვანა. ტრავმის გამო, ანგელოსს ესპანეთთან 22 აგვისტოს ამხანაგური მატჩიც გაუცდა. ბერძნებს ნახევარმცველი **სტელიოს იანაკოპულოსიც** ვერ დაეხმარება. მწყობრშია თავდამსხმელი **იოანის ამანატიდისი**, რომელსაც ესპანეთთან არ უთამაშია. ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი C ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია. ის ბოსნიას, თურქეთსა და ნორვეგიას ხუთი ქულით აღემატება.

**მეკარეები** - ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), კოსტას ხალკიასი (არისი);

**მცველები** - იურკას სეიტარიდისი(ატლეტიკო), სოტირიოს კირიაკოსი (აინტრახტი), ტრაიანოს დელასი (აეკ), ნიკოს სპიროპულოსი (პანიონიოსი), ლუკას ვინტრა (პანათინაიკოსი), იოანის გუმასი (პანათინაიკოსი), მიხალის კაპსისი (აპოელი), ვასილის ტოროსიდისი (ოლიმპიაკოსი), პარასკევას ანცასი (ოლიმპიაკოსი), ხრისტოს პაცაცოღლუ (ოლიმპიაკოსი).

**ნახევარმცველები** - ანგელოს ბასინასი (მალიორკა), ალექსანდროს ციოლისი (პანათინაისოკი), გეორგიოს კარაგუნისი (პანათინაისოკი), კოსტას კაცურანისი (ბენფიკა);

**თავდამსხმელები** - დიმიტრის სალპიგიდისი (პანათინაიკოსი), დიმიტრის პაპადოპულოსი (პანათინაიკოსი), ნიკოლს ლიბეროპულოსი (აეკ), ფანის გეკასი (ლევერკუზენი), გეიოგიოს სამარასი (მანჩესტერ სიტი), იოანის ამანატიდისი (აინტრახტი).



მეფე ოტო ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაციო. ტრავმები

# დელიო როსი პრეზიდენტს აკრიტიკებს

## პერუცი, შეიძლება, რომაელთა სპორტული დირექტორი გახდესო...

ორი ტურის შემდეგ "ლაციოს" ორი ქულა აქვს და მე-14 ადგილზე იმყოფება. დასაწყისი შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო, მაგრამ რომაელთა ბანაკში ტრავმების ეპიდემია მძვინვარებს. ვერ თამაშობენ **გილერმო სტენდარდო, სებასტიანო სივილია, სტეფანო მაური, სიმონე დელ ნერო** და **ალექსანდრ კოლაროვი**. ბუქარესტის "დინამოსთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში ბრაზილიელი მცველი **ემესონ კრიბარიც** დაშავდა (მან "სამპდორიასთან" ბოლო ტურში დამცავი ნიღბით ითამაშა). პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** რომში დაბრუნებისთანავე ვატიკანს მიმართა. ვატიკანმა ფორმელოს საწვრთნელ ბაზაზე მამაო მიავლინა. მან დირექტორები, მწვრთნელები და ფეხბურთელები დალოცა. მაგრამ ფრანგ მცველ **მობიდო დიაკიტეზე** ღმერთი, ეტყობა, გამწყრალი იყო. ამიტომ მამაოს წასვლის მეორე დღეს საბრალო დიაკიტემ წვივი მოიტეხა.



კლაუდიო ლოტიტო

"ლაციოს" თავკაცი **დელიო როსი** ამბობს, რომ სატრანსფერო კამპანიისგან უფრო მეტს ელოდა. მწვრთნელის განცხადება დირექტორატის საჯარო კრიტიკად უნდა მივიჩნიოთ. *"მურადმეგნი ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის. ამიტომ ველოდებით. საგანგებო რეჟიმში ვმუშაობთ, თუმცა "სამპდორიასთან" მატჩის (0:0) შემდეგ სასაყვედურო არაფერი მაქვს. ბიჭებმა მთელი გულით ითამაშეს. იღბალი რომ ჩვენსკენ ყოფილიყო, მოგებაც შეიძლებოდა. ტომაზო როკი საუკეთესო ფორმაში არ იმყოფება. სხვებიც გადაღლილები ჩანდნენ. ეს იმიტომ, რომ რამდენიმე დღით ადრე ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ჩავატარეთ. მან უზარმაზარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ენერგია წაიღო,"* - თქვა როსიმ.

თუ ტრავმები უკან არ დაიხევს და ფეხბურთელები ასეთივე ინტენსივობით გააგრძელებენ დაშავებას, საინტერესოა, როგორ აპირებს კლუბი კვირაში ორი მატჩის თამაშს და ორ ტურნირზე ბრძოლას? დელიო როსის ამ კითხვაზე პასუხი არ გააჩნია: *"სამწუხაროდ, სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა. ვიმეორებ, უფრო მეტ და უფრო ხარისხიან ტრანსფერებს ველოდებოდი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. რაკი ამაზე შორს ვერ წავედით, სხვა რა დამრჩენია? პრობლემებს არსებული რესურსებით უნდა გავუმკლავდე. ასეთი ტიპის სამუშაოებს შეჩვეული ვარ."*

ორშაბათს იტალიის ნაკრების თავკაცმა **რობერტო დონადონიმ** "აძურის" შემადგენლობა დაასახელა. ნახევარმცველებს შორის **პასკუალე ფოჯასაც** შეხვდებით. სინიორ როსი მთელი ზაფხულის განმავლობაში ითხოვდა ამ ბიჭის შეძენას, მაგრამ არავის მოუსმინა. "ლაციოს" დირექტორებმა მიიჩნიეს, რომ ფოჯა საკმარისად ძლიერი არ იყო, რათა მასში ფული დაეხარჯათ. *"მე მხოლოდ საკუთარი აზრის გაზიარება შემიძლია. ყველაფერი დანარჩენი ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. მე მწვრთნელი ვარ. ამიტომ ჩემი უმთავრესი მოვალეობაა იმ ფეხბურთელების გაწვრთნა, რომლებიც გუნდში არიან,"* - აღნიშნა როსიმ.



დელიო როსი

"ლაციოს" პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** მწვრთნელს დაუყოვნებლივ გასცა პასუხი. ის გაწეული სამუშაოთი და შემადგენლობის დონით კმაყოფილია: *"ლაციო" კარგადაა დაბალანსებული. ამ ზაფხულს ცხრა ფეხბურთელი შევიძინეთ. ეს კი ცოტა არ გახლავთ. კლუბის თამაში შედეგით უნდა შეფასდეს. ვფიქრობ, შედეგი აუცილებლად იქნება."* ლოტიტოს არ დაუმალავს, რომ მეათე ახალწვეული შეიძლებოდა **ანტონიო კასანო** ყოფილიყო, მაგრამ პრეზიდენტმა "რეალის" თავდამსხმელის შეძენა ზედმეტად მიიჩნია: *"სულაც არ გვჭირდებოდა სენსაციური ტრანსფერი. კასანოზე უარი ვთქვით, რადგან ეს ბიჭი არ გვაინტერესებდა. ლაციოში სიმშვიდეა. ფეხბურთელებს საქმის გარდა, სხვა საფიქრალი არ აქვთ. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ დიდი მიზნების მიღწევა შეგვიძლია."*

ატეხილი აჟიოტაჟის გამო, "ლაციოს" სპორტულმა დირექტორმა **ვალტერ საბატინიმ** გადადგომის განცხადება დაწერა. პრეზიდენტი ლოტიტო ცდილობს, მას გააფიქრებინოს. "კორიერე დელო სპორტი" კი იუწყება, რომ "ლაციოს" ყოფილი მეკარე **ანჯელო პერუცი** რომაულ კლუბში ბრუნდება. ის "ბიანკოჩელესტეს" გასული სეზონის ბოლოს გამოეთხოვა. პერუციმ კარიერა დაასრულა. ის "ლაციოში" ახალი სტატუსით შეიძლება ვიხილოთო, ვკითხულობთ პოპულარულ გამოცემაში. იტალიელი მიმომხილველები დიდი ხნის წინათ წერდნენ, პენსიაში გასვლის შემდეგ ანჯელოს ადმინისტრაციაში დაასაქმებენო. ახლა კი ირკვევა, რომ მან შეიძლება საბატინის მიერ გამოთავისუფლებული პორტფელი ჩაიბაროს. მოსალოდნელი დანიშვნის თაობაზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

საფრანგეთი

# დომენეკის სასჯელი ძალაში დარჩა

უეფამ ძალაში დატოვა საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **რაიმონ დომენეკისთვის** მისჯილი დისკვალიფიკაცია. საფრანგეთის ნაკრების თავკაცი იტალიასთან მატჩს ტრიბუნაზე გაატარებს. ის შესვენების დროსაც ვერ მოახერხებს შეგირდებისთვის დარიგების მიცემას, რადგან გასახდელში ჩასვლა აკრძალული აქვს. სამაგიეროდ, შეეძლება, ასისტენტებს ტელეფონის საშუალებით შეეხმიანოს. მოსიე დომენეკი ერთი დაუფიქრებელი განცხადების გამო დაისაჯა. მან თქვა, 1999 წელს, საფრანგეთისა და იტალიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩისას მეტოქეს მსაჯი ნაყიდი ჰყავდაო. უეფამ მწვრთნელს მაშინვე დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა მოსთხოვა. შემდეგ კი ერთმატჩიანი სასჯელი გამოუწერა და 10 ათასი ევროს გადახდაც დააკისრა. იტალია საფრანგეთს მომავალ უქმეებზე უმასპინძლებს და პირველ ადგილზე გადასვლას შეეცდება. მსოფლიოს ჩემპიონებს **ლუკა ტონი** და შარშანდელი მუნდიალის ფინალის გმირი, **მარკო მატერაცი** არ ეყოლებათ.



რაიმონ დომენეკი

## ესპანეთი კატალონიაზე მეტია

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კატალონიისა და ამერიკის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი დაბლოკა. თამაში 14 ოქტომბერს უნდა გამართულიყო. კატალონიის რეგიონულ ფედერაციას ამერიკულ მხარესთან შეთანხმება უკვე მიღწეული ჰქონდა, მაგრამ ფედერაციის აღმასკომმა საკითხი კენჭისყრაზე გაიტანა და ჩააგდო. მიზეზი ისაა, რომ ერთი დღით ადრე ესპანეთის ნაკრები თავად მართავს შესარჩევ თამაშს დანიასთან. 17 ოქტომბერს კი ფინეთთან ამხანაგური მატჩი უნდა ჩატარდეს. კატალონიელებს ახალი თარიღის შერჩევა მოუწევთ. ისინი და ბასკები საკმაოდ ხშირად მართავენ საჩვენებელ მატჩებს, რომელთაც ყოველთვის უთვალავი ადამიანი ესწრება. გასული წლის ოქტომბერში კატალონია უშუალოდ ბასკეთსაც გაეჯიბრა.

## ზებინა დაისჯება

"იუვენტუსმა" გადაწყვიტა, **ჟონათან ზებინა** დიდი თანხით დააჯარიმოს. "კალიარისთან" ბოლო ტურის მატჩში (2:3) ფრანგ მცველს წითელი ბარათი აუფრიალეს. გაგულისებული ზებინა გასახდელისკენ გაემართა. მას ოპერატორი გაჰყვა. ის სატრანსლაციო ბრიგადის წევრი იყო. ამიტომ მისი მოვალეობა გახლდათ, გაძევებული ფეხბურთელის გადაღება. ზებინამ კი - არც აცია, არც აცხელა - და ოპერატორს მუშტები დაუშინა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ინციდენტს ხვალ განიხილავს. "იუვეს" ხელმძღვანელობა მას არ დაელოდა და მომხდარისადმი საკუთარი დამოკიდებულება უკვე დააფიქსირა. *"ეს გულისამრევი სცენა იყო,"* - აღშფოთება ვერ დამალა ტურინელთა თავკაცმა **კლაუდიო რანიერიმ**.

## გიგზი 2009 წლამდე

"მანჩესტერ იუნაიტედი" **რაიან გიგზს** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. "სანის" ცნობით, უელსელი "ოლდ ტრეფორდზე" 2009 წლის ზაფხულამდე დარჩება. მას ძველ ხელფასს, კვირაში 75 ათას გირვანქას გადაუხდიან. დღევანდელი ხელშეკრულება გაისად ივნისში იწურება. 33 წლის გარემარბი კარგ ფორმაშია. სერ ალექს ფერგიუსონს კვლავ მისი იმედი აქვს.

## იაასკელაინენი ლემანის ნაცვლად?

იანვრის ტრანსფერებისას "არსენალი" ბოლტონის მეკარე **იუსი იაასკელაინენს** შეიძენს. ამ ინფორმაციას გაზეთი "ფიფლი" ავრცელებს. ეს ტრანსფერი კიდევ უფრო შეასუსტებს **იენს ლემანის** პოზიციებს, რომელმაც სეზონი სუსტად დაიწყო და პირველ ორ მატჩში უხეში შეცდომები დაუშვა. გერმანელი გოლკიპერი დაშავებულია. ლონდონელთა ძირითადში მანუელ ალმუნია თამაშობს. მიმომხილველთა აზრით, ლემანი გამოჯანმრთელების შემდეგაც თადარიგში დარჩება. იანვარში კი, შეიძლება, ახალი სამსახურის მოძებნა მოუხდეს. ის გერმანიაში მკურნალობს. ადგილობრივმა ტაბლოიდებმა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ გვაუწყეს, იენსი რამდენიმე გერმანულ კლუბს დაუკავშირდა და თანამშრომლობა შესთავაზაო. მას სურს, ევროპის ჩემპიონატისთვის სათანადო სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს, რათა ნაკრების ძირითადში უპრობლემოდ დააყენონ.

## ნიუკასლის ხელგაშლილი ბოსი

"ნიუკასლის" ბოსმა მაიკ ეშლიმ წინა კვირაში, ლიგის თასზე გამარჯვება დიდი ამბით აღნიშნა. ჯორდებმა შინ "ბარნსლის" 2:0 მოუგეს. ერთი გოლი **მაიკლ ოუენმა** გაიტანა. ნამატჩევს ეშლი ფანების საყვარელ ბარში წავიდა და 150 ქომაგს ლუდით გაუმასპინძლდა. უფრო მეტიც, მან ბარის თანამშრომლების ჩაის სახით 500 გირვანქა დაუტოვა. თავდაპირველად ადმინისტრაცია მის შეშვებასაც კი არ აპირებდა. მისტერ ეშლი "ნიუკასლის" მაისურში იყო გამოწყობილი და განსაკუთრებული სტუმრისა არაფერი ეტყობოდა. მისდა ბედად, ჯორდების ბოსი ბარმენმა იცნო. "ნიუკასლმა" გასულ უქმეებზე "ვიგანიც" (1:0) დაამარცხა. უცნობია, ისევ სახალხოდ იზეიმა თუ არა ეშლიმ მორიგი წარმატება.

ვესტ ჰემი

# კერბიშლი ახალი ფეხბურთელების იმედად

## შეფილდ იუნაიტედი 50 მილიონის ანაზღაურებას ითხოვს...

პრემიერლიგაში ორკვირიანი პაუზაა. "ვესტ ჰემმა" შესვენებაში გასვლის წინ, რედინგი, 3:0 გაანადგურა. "ჩაქუჩები" მომდევნო ტურში "მიდლსბროს" შეხვდებიან. ლონდონელებს, შეიძლება, ორი ლიდერი, **სკოტ პარკერი** და **ფრედი ლიუნგბერგი** დაუბრუნდნენ. პარკერი ამ ზაფხულს "ნიუკასლიდან" 7 მილიონ გირვანქად შეიძინეს. მუხლის ტრავმა გამო მას თითქმის ორი თვე გაუცდა. "არსენალიდან" გადაყვანილი ლიუნგბერგი საზარდულის ტრავმას იმუშებს და სადაცაა, თამაშს განაახლებს. ტრანსფერების ბოლო დღეს "ვესტ ჰემმა" "ვიგანის" შემტევ ნახევარმცველ **ანრი კამარას** გაუფორმა კონტრაქტი. ფეხბურთელი "აპტონ პარკზე" იჯარით ითამაშებს. მას დაშავებული **კირონ დაიერისა** და **ჟულიენ ფობერის** შეცვლა დაევალება. ლონდონელთა კიდევ ერთი ახალწვეულია პერუელი გარემარბი **ნოლბერტო სოლანო**. "ნიუკასლის" ყოფილმა ფეხბურთელმა "ვესტ ჰემთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას მარჯვენა ნახევარმცველად და მარჯვენა მცველად შეუძლია თამაში.

აქვე "დეილი მეილის" სენსაციური ინფორმაცია. "ჩაქუჩებს" "შეფილდ იუნაიტედისთვის", შეიძლება, ასტრონომიული კომპენსაციის გადახდა დააკისრონო, წერს ტაბლოიდი. მიზეზი **კარლოს ტევესის** ტრანსფერია. "ვესტ ჰემმა" არგენტინელი ფეხბურთელის შეძენით უხეშად დაარღვია ინგლისის სატრანსფერო კანონმდებლობა. საფეხბურთო ასოციაციამ, შეფილდელთა პროტესტის მიუხედავად, გუნდი ქვედა დივიზიონში არ გააძევა და ის მხოლოდ 5 მილიონი გირვანქით დააჯარიმა. "ვესტ ჰემი" რომ გავარდნილიყო, "შეფილდი" პრემიერლიგაში ითამაშებდა და მინიმუმ 50 მილიონ გირვანქას მოიხვეჭდა. ახლა "იუნაიტედის" ხელმძღვანელობა თანხის ანაზღაურებას "ვესტ ჰემისგან" ითხოვს. საფეხბურთო ასოციაციის იურისტები ამბობენ, "შეფილდის" პრემიერლიგაში აღდგენა ველარ მოხერხდება, თუმცა თუ კლუბი ლონდონელებს სასამართლოში უჩივლებს, საქმის მოგების კარგი შანსი აქვსო.



ალან კერბიშლი შეგირდებს მითითებებს აძლევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დინო ძოფთან

# იუვე ვალდებულია, სკუდეტოსთვის იბრძოლოს

## ლეგენდარული მეკარე ამბობს, ფეხბურთში კი ყველაფერი მინდორზე წყდება და სწორედ მინდორზე იმსხვრევა ხელოვნურად შექმნილი იერარქიებიო...


დინო ძოფი

**"გაძეტა დელო სპორტმა" დინო ძოფთან შეხვედრა გადაწყვიტა. "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების ლეგენდას განახლებული ტურინული გრანდის შეფასება სთხოვეს. ძოფმა ეს მისია სიამოვნებით შეასრულა. მან წლევანდელი "ქალბატონი" ოცდახუთი წლის წინანდელს შეადარა. იმ შორეულ წლებში პაპა დინო "იუვეში" თამაშობდა. მან ტურინელთა შემადგენლობაში 11 სეზონი გაატარა (1972-83). იმავე პერიოდს (1972-74) ეკუთვნის მისი რეკორდი, საერთაშორისო ტურნირებში 1142 წუთის განმავლობაში მშრალად შენახული კარი. რეკორდი 1974 წლის მუნდიალზე ჰაიტისთან მატჩისას შეწყდა. ძოფმა "იუვეში" 330 მატჩი ჩაატარა. მან სერია A-ში 570-ჯერ ითამაშა და 2005-06 წლების სეზონამდე ამ მაჩვენებლითაც რეკორდსმენი იყო. ორი წლის წინათ მისი მიღწევა პაოლო მალდინიმ გააუმჯობესა. ხოლო წლევანდელ13 მაისს "მილანის" კაპიტანმა იტალიის უმაღლეს დივიზიონში საიუბილეო მე-600 თამაში ჩაატარა. მალდინიმ ძოფს კიდევ ერთი რეკორდი წაართვა - იტალიის ნაკრებში ჩატარებული მატჩების რეკორდი. ძოფის აქტივში 112 კეპია. მალდინიმ კი "აძურიში" 126-ჯერ ითამაშა. ძოფის კიდევ ერთი მიღწევა ლაციოელმა მეკარემ მარკო ბალოტამ დაამხო: 2005-06 წლების სეზონამდე დინო სერია A-ს ყველა დროის უხუცესი ფეხბურთელიც იყო. ბალოტა კი კარიერას რეკორდის დამყარებიდან ორი წლის შემდეგაც აგრძელებს. უფრო მეტიც, 42 წლის ასაკში ის რომაელთა ძირითადი გოლკიპერია. დინო ძოფი კი, ამასობაში, ტურინულ წლებს იხსენებს, "ქალბატონის" ახალწვეულებზე საუბრობს და ხაზგასმით შენიშნავს, რომ "იუვეს" მილანური გრანდების კომპლექსი არ უნდა ჰქონდეს. ეს მას სკუდეტოსთვის ბრძოლაში დაეხმარება. ინტერვიუმდე კიდევ ერთი ისტორიული ექსკურსი, რომელიც "გაძეტამ" მოამზადა.**

*1976 წელი. დინო ძოფი თანაგუნდელებთან ერთად ტურინის გარეუბანში, პატარა ქალაქ ვილარ პეროსას სტადიონზე ვარჯიშობს. მან სტადიონის სიახლოვეს შენიშნა ჟურნალისტი, რომელიც თავის რეპორტაჟებში ხან კონტადინოს უწოდებდა, ხან სუპერდინოსა და დინოსაუროს. მეკარემ ვარჯიში მაშინვე შეწყვიტა და მინდორი სწრაფი ნაბიჯებით გადაჭრა. მთავარმა მწვრთნელმა კარლო პაროლამ ასისტენტს გასძახა: "შეაჩერე!". ასისტენტმა კი მიუგო: "შენ თვითონ შეაჩერე, თუ მაგარი ხარ!" დამრიგებელი ახმახ შეგირდს წინ გადაუდგა. დინომ მწვრთნელს ხელი ჰკრა. საბრალო პაროლა მინდორზე გაიშხლართა. ძოფმა მას ყურადღებაც კი არ მიაქცია, ჟურნალისტს მივარდა და წაუთაქა. როცა ემოციები ჩაცხრა და ვარჯიში გაგრძელდა, ძოფმა მწვრთნელებს გასძახა: "აღარც კი გაიფიქროთ როდესმე ჩემი შეჩერება!"*

*აი, ასეთი ადამიანია დინო ძოფი. მას მშვიდი ხასიათი აქვს, მაგრამ თუ გაბრაზდება, ვერავინ დააშოშმინებს. ძოფმა "იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელად ორი სეზონი იმუშავა, 1988-1990 წლებში. დინომ გუნდი 1988 წლის ზაფხულში ჩაიბარა. მაშინდელ "ქალბატონს" ძნელად თუ ვინმე უწოდებდა ძლიერ გუნდს. იმ პერიოდს დაემთხვა ორი ლიდერის, კაბრინისა და ბრიოს პენსიაში გასვლა. ძოფს ოთხი ფეხბურთელი ჩაუყვანეს - ალტობელი (ეს მისი კარიერის ბოლო სეზონი იყო), გალია, რუი ბაროში და ალექსანდრ ზავაროვი. რა მოითხოვა ხელმძღვანელობამ ახალი მწვრთნელისგან? სასაცილო კითხვაა. რა თქმა უნდა, ჩემპიონატში გამარჯვება.*

*მაშინდელი ვითარება ბევრი რამით ჰგავდა წლევანდელს. ძოფს ერგო გუნდი, რომელმაც წინა სეზონი მოკრძალებულ მეექვსე ადგილზე დაასრულა. კლაუდიო რანიერიმ ჩაიბარა "იუვენტუსი", რომელიც ეს-ესაა, სერია B-დან უმაღლეს დივიზიონს დაუბრუნდა. ძოფის დროს შემადგენლობა უმნიშვნელოდ გაძლიერეს. წლეულს ტურინელებს უფრო შთამბეჭდავი სატრანსფერო კამპანია ჰქონდათ. ძოფმა პირველ სეზონში გუნდი მეოთხე ადგილზე გაიყვანა. მას "ინტერმა", მარადონას "ნაპოლიმ" და ჰოლანდიულმა "მილანმა" გაუსწრეს. მომდევნო სეზონში "იუვემ" "ინტერთან" ერთად მესამე ადგილი გაიყო. მან ამჯერადაც "ნაპოლი" და "მილანი" გაუშვა წინ. სამაგიეროდ, იმავე სეზონი ტურინელებმა ერთბაშად ორი ტიტულით დაასრულეს - კლუბის მუზეუმს იტალიის თასი და უეფას თასი შეემატა.*

**- დინო, შესაძლებელია თუ არა რანიერიმ თქვენი სამწვრთნელო გამოცდილება გაიზიაროს?**

- ვფიქრობ, ამაზე საუბარი ზედმეტია. იმ სეზონში მეოთხე ადგილი დავიკავეთ. იმის გათვალისწინებით, თუ ვინ იყვნენ ჩვენი კონკურენტები და რა შემადგენლობა გვყავდა, მეოთხე ადგილი სასწაული იყო. მაგრამ თუ წლევანდელი "იუვენტუსი" მეოთხე საფეხურს დასჯერდება, არა მგონია, ვინმემ წარმატებაში ჩაუთვალოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ადგილი "იუვეს" ჩემპიონთა ლიგის საგზურს გაუნაღდებს.

**- ესე იგი, ეს "იუვენტუსი" თქვენ დროინდელზე ძლიერია?**

- ხუმრობთ? არათუ ძლიერი, ბევრად ძლიერია. გაიხსენეთ მაშინდელი შემადგენლობა. ვინ დარჩა მარკეზის შემდეგ, რომელმაც კარიერა დაასრულა? და გაიხსენეთ ეს შემადგენლობაც. სერია B-ში გავარდნის მიუხედავად, ტურინში დარჩნენ ბუფონი, ნედვედი, კამორანეზი, ტრეზეგე, დელ პიერო. რა თქმა უნდა, დელ პიერო და ნედვედი პატარა ბიჭები აღარ არიან, მაგრამ მათ ენთუზიაზმი და თამაშის ჟინი არ აკლიათ. მათი ფიზიკური კონდიციების კი ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა.

**- მაშინდელ ახალწვეულებზე, რა აზრის იყავით?**

- ახალწვეულებზე? მოგახსენებთ. ჩამომიყვანეს ფორვარდი, რომელსაც სპილო ალტობელი ერქვა. ის იმავე სეზონის შემდეგ წავიდა. დავიმატეთ ორი ნახევარმცველი, გალია და რუი ბაროში და კიდევ რუსი თავდამსხმელი ალექსანდრ ზავაროვი, რომელიც გუნდს ვერ მოერგო. ეს იყო და ეს.

**- წლეულს?**

- შედარებაც კი არ შეიძლება. წლეულს გაცილებით მეტი ახალი ფეხბურთელია. მათი გვარების ჩამოთვლაც კი საკმარისია. თუ ამ ფეხბურთელებს ვეტერანებში ავურევთ, მშვენიერი გუნდი უნდა დადგეს.

**- რომელიც ახალწვეული მოგწონთ ყველაზე მეტად?**

- შესანიშნავი ფეხბურთელია იაკვინტა. არ ვიცნობ ანდრადეს, მაგრამ პორტუგალიელი ფეხბურთელები ყოველთვის მაღალ დონეზე თამაშობდნენ. ვფიქრობ, ტიაგოს სხვებზე მეტი დრო დასჭირდება ახალ გარემოსთან შესაგუებლად. ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენაა ნოჩერინო. ამ ბიჭის თამაში უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. ვნახოთ, გაამართლებს თუ არა იმედებს.

**- რისი მიღწევა შეუძლია ამ გუნდს?**

- "იუვენტუსს" ყოველთვის ერთი მიზანი უნდა გააჩნდეს, გამარჯვება! ამიტომ ვერ დავეთანხმები მათ, ვინც ამბობს, თუ მოწინავე ადგილებს დავიკავებთ, კმაყოფილები ვიქნებითო. თამამად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მიზანი სკუდეტოა.

**- და თქვენ ფიქრობთ, რომ სკუდეტოზე ოცნება ფანტასტიკის სფეროს არ განეკუთვნება?**

- რატომ ფანტასტიკის? მართალია, ტექნიკური თვალსაზრისით, "ინტერსა" და "მილანს" ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით, მაგრამ მისი კომპენსირება თავდაუზოგავი მუშაობით შეიძლება. "იუვე" ვალდებულია, მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქროს და ეს არ გახლავთ უსაფუძვლო ოცნება. "ბებერი ქალბატონი", მილანურ კლუბებსა და "რომასთან" ერთად, ელიტის ნაწილია. არ მესმის, რატომ არ უნდა სცადოს გუნდმა სკუდეტოს დაუფლება. თუ წლეულს ვერ გავიმარჯვებთ, არაფერი დაშავდება, მაგრამ ცდას წინ არაფერი უდგას.

**- განა "ინტერი" "იუვენტუსზე" შეუდარებლად ძლიერი არ არის?**

- ძალიან გთხოვთ! რა თქმა უნდა, "ინტერს" უპრეცედენტოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ მინდორზე 11 ფეხბურთელი გადის. "რომამ" კი სუპერთასზე დაამტკიცა, რომ "ინტერის" დამარცხებაც შეიძლება. "ინტერი" უძლეველი არ არის. საჭირო არ არის კომპლექსების გამოგონება.

**- თუ ყველა კარტს გავხსნით, თვალნათლივ დავინახავთ, რომ "იუვე" კონკურენტებს ოდნავ მაინც ჩამორჩება.**

- ამას თქვენ ბრძანებთ, კარტებს თუ გავხსნითო. ფეხბურთში კი, მადლობა ღმერთს, ყველაფერი მინდორზე წყდება. და სწორედ მინდორზე იმსხვრევა ხოლმე ხელოვნურად შექმნილი იერარქიები.

**- თქვენ "იუვენტუსიდან" უეფასა და იტალიის თასით წახვედით. იმ სეზონში გუნდში უკვე სხვა ფეხბურთელები გყავდათ - ალეინიკოვი, სკილაჩი, კაზირაგი, მაგრამ არც ის შემადგენლობა მიიჩნეოდა ფავორიტად. მაშ, როგორ შეიძლება ნორმალური და არა გალაქტიკური გუნდით წარმატების მიღწევა?**

- არავითარი საიდუმლო რეცეპტი არ არსებობს. საჭიროა სალი აზრი, ცოდნა, საკუთარი ძალების რწმენა, ბევრი მუშაობა და თავმდაბლობა.

**- რას ეტყვით კლაუდიო რანიერის?**

- ის ძალიან გამოცდილი მწვრთნელია. იმედი მაქვს, მისი ცოდნა საკმარისი იქნება, რათა ამავე სეზონში სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

**- რა უნდა იყოს "იუვეს" დევიზი დღეს?**

- "ჩვენ გვჯერა!"

**- და ეს საკმარისია?**

- ვერ გეტყვით. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ "იუვე" სეზონს არ ჩააგდებს.

ვილიარეალი. დიდი სიახლე

# რიკელმე გუნდს დაუბრუნდა

## ესპანელმა ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ კლუბის პრეზიდენტი მანუელ პელეგრინის რიკელმეს თაობაზე საათნახევრის განმავლობაში ელაპარაკებოდა


ხუან რომან რიკელმე

"ვილიარეალისა" და "ბოკა ხუნიორსის" ხანგრძლივი მოლაპარაკებები საბოლოოდ ჩაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარი 31 აგვისტოს დაიხურა, ბაირესელები ფარხმალს მაინც არ ყრიდნენ და ცდილობდნენ, **ხუან რომან რიკელმე** იანვრისთვის მაინც ჩაეგდოთ ხელში. საამისოდ, მათ ესპანური კლუბის ხელმძღვანელებს, არც მეტი, არც ნაკლები, 12 მილიონი ევრო შესთავაზეს. არგენტინელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ "ვილიარეალის" შეფები ამ თანხით მოიხიბლებოდნენ, თუმცა ფული, რომელიც "ბოკასთვის" კოლოსალურია, "ყვითლებისთვის" სასაცილოდ ცოტა აღმოჩნდა. პრეზიდენტმა **ფრანსისკო როიგმა** სამხრეთამერიკელი კოლეგები უარით გაისტუმრა და მოახსენა, რომ რიკელმეს ტრანსფერთან დაკავშირებით თავი აღარ შეიწუხონ.

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სიტუაციაა, გუნდს ძლიერი ფეხბურთელი ამ თანხად არ ეთმობა, მაგრამ არსებობს ერთი უცნაური გარემოება: **მანუელ პელეგრინის** რიკელმესთან სასტიკად დაძაბული ურთიერთობა აქვს და მისი სახელის გაგონებაც კი არ სურს. სეზონი დაიწყო, თუმცა ჩილელ სპეციალისტს, ჯერჯერობით, აზრადაც არ მოსდის, რომ რომანი მოედანზე შეუშვას. ამასობაში კი, სენიორ როიგი ვალდებული და იძულებულია, რომ სრულიად გამოუსადეგარ ადამიანს სოლიდური ხელფასი უხადოს.

გუშინ გავრცელებული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ ამ გაუგებრობას შესაძლოა, მალე დაესვას წერტილი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ რიკელმემ "ვილიარეალის" ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშა. გასული ორი კვირის განმავლობაში არგენტინელი მხოლოდ ინდივიდუალურად ემზადებოდა. პელეგრინიმ მის მენეჯერს პირადად უთხრა, თქვენი კლიენტი ჩემთან ახლოს მოსული არ დავინახოო. როგორც ხედავთ, მცირე დროის შემდეგ "ვილიარეალის" დამრიგებელმა პოზიცია დათმო და რომის ბაზაზე შესვლის საშუალება მისცა. ესპანელ ჟურნალისტებს ძალიან გაუკვირდათ, რამ განაპირობა ეს ცვლილება. ისინი უმალ დატრიალდნენ და კონფედენციალური წყაროებით დაადგინეს, რომ სენიორ პელეგრინის პრეზიდენტ როიგთან საათნახევრიანი საუბარი ჰქონდა. როგორც ჩანს, "ყვითლების" უმაღლესმა ხელისუფალმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ მაღალანაზღაურებადი რიკელმე დასაქმდეს და გუნდს ტვირთად არ დააწვეს.

ბაზაზე მისულ ჟურნალისტებს არ გამოპარვიათ, რომ მწვრთნელი და შეგირდი უშუალო კონტაქტს გაურბოდნენ. ჩილელი სპეციალისტი ცდილობდა, რიკელმესთან მინიმალური კონტაქტი ჰქონოდა. აქტიურობით თავად არგენტინელიც არ იკლავდა თავს. აშკარად ანომალიური სიტუაცია სუფევდა, მაგრამ ჟურნალისტებს რომანის გამოჩენამ მაინც ოპტიმიზმი შემატა. შესაძლოა, უახლოეს მომავალში სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი კვლავ მოედანზე ვიხილოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ლუიშ ფაბიანო და კერჟაკოვი: იმ საღამოს ყველა გოლი ანტონიო პუერტას ეკუთვნოდა

ჩემპიონთა ლიგა. განმეორებითი საკვალიფიკაციო მატჩი

# სევილიამ აქტივებული გულით მოიგო

## დიდი ტრაგედიის მიუხედავად, ანდალუსიელებმა ძალა გამონახეს და ბერძნები მიწასთან გაასწორეს...

**ანტონიო პუერტას** გარდაცვალების გამო, "სევილიამ" აეკ-თან განმეორებითი საჩემპიონთალიგო დაპირისპირების გამართვა დათქმულ დროს ვერ მოახერხა. ანდალუსიელები უკვე ათენში იმყოფებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ მათი თანაგუნდელი ტრაგიკულად დაიღუპა, ბუნებრივია, თამაშის სურვილი დაკარგეს და შინ დაბრუნდნენ. უეფა მათ უბედურებას გაგებით მოეკიდა და შეხვედრა უპრობლემოდ გადადო. მოგეხსენებათ, პუერტა მიწას მიაბარეს. ტკივილი, რა თქმა უნდა, არ განელებულა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და "სევილია" პროფესიული მოვალეობების შესასრულებლად ათენში კიდევ ერთხელ ჩაფრინდა.

თამაშის დაწყების წინათ ცხადია, ანტონიო პუერტა კიდევ ერთხელ გაიხსენეს. ბერძნებმა წუთიერი დუმილი არ იკმარეს და სტადიონის ტაბლოზე საგანგებოდ დამზადებული კლიპის რეტროსპექტივა მოაწყვეს. ამის შემდეგ მასპინძლებს სტუმრებისადმი ყოველგვარი სიბრალული გაუქრათ და საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ...

... თუმცა ძლიერი "სევილიის" დასამარცხებლად მხოლოდ საქმისადმი სერიოზულობით მიდგომა საკმარისი არ აღმოჩნდა. ანდალუსიელები საბერძნეთში გარკვეულწილად იმედგაცრუებულები ჩავიდნენ. იცით, რომ ევროპის სუპერთასზე **ხუანდე რამოსის** გუნდი "მილანთან" დამარცხდა. იყო საშიშროება, რომ ეს გარემოება საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაზე გავლენას იქონიებდა, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. "სევილიამ" მორიგი შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა. სტუმართა უპირატესობა ეჭვქვეშ წამითაც არ დამდგარა. რამოსის გამართული ტაქტიკისა და ფეხბურთელების ბრწყინვალე მომზადების წყალობით აეკ-მა პირველ შეხვედრაში გაშვებული ბურთების გაქვითვის ყოველგვარი შანსი დაკარგა.

ყველაფერი 33-ე წუთზე დაიწყო. **ლუიშ ფაბიანუმ** 11-მეტრიანის ნიშნულიდან ზუსტად დაარტყა და საკუთარი გუნდი დააწინაურა. საკმაოდ მცირე დროში სტუმრებმა მორიგი შედეგიანი იერიში მოაწყვეს. **კეიტამ** ხელსაყრელ პოზიციაზე გასვლა შეძლო და ეფექტური თავური დარტყმით სხვაობა ორამდე გაზარდა. ტაიმის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე, ლუიშ ფაბიანუმ დუბლი შეასრულა. სხვათა შორის, კეიტას მსგავსად ბრაზილიელმა ფორვარდმაც თავურით შეაგდო.

შესვენების შემდეგ სიტუაცია არ შეცვლილა. "სევილია" უდიდეს უპირატესობას ფლობდა. ანდალუსიელები ათენში ისე თამაშობდნენ, თითქოს მასპინძელი არა აეკ-ი, არამედ თვითონ იყვნენ. მეორე ნახევარი რვა წუთის დაწყებული იყო, როცა **კერჟაკოვმა** მოედნის სიღრმიდან მიწოდებული პასი კარგად დაამუშავა და ზუსტი დარტყმით ანგარიშს გამანადგურებელი სახე მისცა. მასპინძლებმა მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს, თუმცა **რივალდოს** ზუსტ პენალტს არც არაფერი შეუცვლია.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულმა ხუანდე რამოსმა ასეთი რამ განაცხადა: *"უნდა ვაღიარო, რომ საკმაოდ იოლად გავიმარჯვეთ. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ჩემი ფეხბურთელების სწორი თამაში გახლდათ. ისინი საქმეს არ ართულებდნენ. პირიქით, ყოველთვის ცდილობდნენ რთული სიტუაციებიდან იოლი გამოსავალი მოენახათ. პირველივე წუთიდან დიდი ძალით შევუტიეთ. ჩვენმა მონდომებამ შედეგი მალე გამოიღო. პირველი ტაიმი დიდი ანგარიშით მოვიგეთ. ეს კი საიმისო საშუალებას გვაძლევდა, რომ მეორე ნახევარი მშვიდად და აუღელვებლად ჩაგვეტარებინა. დიდი მადლობა ფეხბურთელებს. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ უდიდესი პროფესიონალები და პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეები არიან. ამ გამარჯვებას, "სევილიაში" არსებული მდგომარეობა ორმაგად უფრო ღირებულს ხდის. ცხადია, წარმატებას ჩვენი ბიჭის, ანტონიო პუერტას ხსოვნას ვუძღვნით. "სევილიამ" აქტივებული გულით მოიგო."*

ესპანურ პრესაში კლუბის პრეზიდენტის, **ხოსე მარია დელ ნიდოს** განცხადებაც გამოქვეყნდა: *"უდიდესი მატჩი ჩავატარეთ. ყველამ ერთად დავამტკიცეთ, რომ შეუძლებელი არაფერია. ვერავინ წარმოიდგენს, რამხელა ტკივილს ვატარებთ. ღამე ისე არ ჩაივლის, რომელიმე ჩვენგანს პუერტა არ დაესიზმროს. ყოველ დილით ჩვენს სიზმრებს ერთმანეთს ვუყვებით. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ანტონიო ისევ ჩვენს შორის დაბიჯებს. იმის გაცნობიერება, რომ ეს ილუზია და ჰალუცინაციაა, აუტანელ ტკივილს მგვრის. მერწმუნეთ, ასეთ დროს კარგად თამაში და სერიოზული ბარიერის გადალახვა ურთულესი საქმეა. მიუხედავად ამისა, "სევილიამ" ვაჟკაცურად ითამაშა და აბსოლუტურად დამსახურებულად გაიმარჯვა. ვამაყობ ჩემი გუნდით."*

დასასრულს, მასპინძელთა დამრიგებლის, **ლორენსო სერა ფერერის** განცხადებასაც გაგაცნობთ: *"მეტოქემ დაგვჩაგრა. ორივე შეხვედრაში სერიოზულ პრობლემებს გადავეყარეთ. გული მწყდება, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ გავაღწიეთ. არ დავმალავ, მჯეროდა, რომ გამარჯვების მცირე შანსი მაინც გვქონდა. შეგირდებს გულმოდგინედ ვამზადებდი. პირველი თამაშის შედეგის მიუხედავად, ისინი ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილები, მაგრამ დასახულ მიზანს ახლოსაც ვერ მივუახლოვდით. ანდალუსიელებმა, უბრალოდ, ათი თავით გვაჯობეს. რა გაეწყობა, ცხოვრება ამით არ სრულდება. აეკ-მა წარსული უმოკლეს დროში უნდა დაივიწყოს და საბერძნეთის ჩემპიონატში ამბიციური მიზნებისთვის იბრძოლოს."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

## ლაუდრუპს შვილმა უღალატა

"ხეტაფეს" მთავარ მწვრთნელს, **მიქაელ ლაუდრუპს** შვილმა პირში ჩალა გამოავლო. ლეგენდარული დანიელის უმცროსი ვაჟი **ანდრეას რეტც ლაუდრუპი** ორი თვის შემდეგ 17 წლის გახდება. სპეციალისტები მას უნიჭიერეს მოთამაშედ მიიჩნევენ და ფენომენალურ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. გასაკვირი არ არის, რომ მამას ასეთი საამაყო შვილის საკუთარ გუნდში ჩარიცხვის სურვილი გაუჩნდა. "ხეტაფეს" დამრიგებელმა კლუბის ხელმძღვანელობისგან სრული თანადგომა იგრძნო და ანდრეასს სთხოვა, სამხრეთმადრიდული კოლექტივის ბაზაზე მისულიყო... ლეგენდარული დანიელი შოკირებული დარჩა, როცა შეიტყო, რომ მის პირმშოს "ხეტაფეს" სახელის გაგონებაც არ სურს. ანდრეასმა მამის გუნდის სათადარიგო კოლექტივში თამაშს "რეალის" საყრმაწვილო გუნდში გაწევრიანება ამჯობინა. მადრიდული გიგანტის მესვეურებმა ნიჭიერი ფეხბურთელი დიდი სიხარულით მიიღეს და პირობა მისცეს, რომ ვარჯიშისა და თამაშისთვის საუკეთესო პირობებს შეუქმნიდნენ. ერთი წლის შემდეგ კი პროფესიული კონტრაქტის გაფორმებასაც შეპირდნენ. აღსანიშნავია, რომ ანდრეასმა სამეფო კლუბში ლაუდრუპის გვარით მისვლა არ ისურვა. საამისო მოტივი ყველასთვის უცნობია. მან გადაწყვიტა, მსოფლიოს ანდრეას რეტცად გაეცნოს. სხვათა შორის, "ხეტაფეს" თავკაცის უფროსი ვაჟიც ფეხბურთელია. 18 წლის **მადსი** "კოპენჰაგენის" სათადარიგო გუნდის წევრია. სპეციალისტები მის ნიჭსაც საგანგებოდ უსვამენ ხაზს...

## ბეტისი, დაგვიანებული პრეზენტაცია

გუშინ, "ბეტისის" ბაზაზე ახალწვეულთა პრეზენტაცია მოეწყო. საზოგადოებისთვის **ხოსე მარი** და **ვილიამ ლიმა** ჯერ კიდევ გასულ კვირაში უნდა წარედგინათ, მაგრამ სევილიური კლუბის ხელმძღვანელობამ ეს ღონისძიება **ანტონიო პუერტას** გარდაცვალების გამო გადადო. დაგვიანებულ პრეზენტაციაზე მისული ხოსე მარი ოპტიმიზმს აფრქვევდა: *"დიდი ტრადიციების გუნდში მოვედი. მჯერა, ამ სეზონში წარმატებებს მივაღწევთ და გულშემატკივრებს სერიოზულად გავახარებთ. "ვილიარეალიდან" წამოსვლამ გული დამწყვიტა. იქ ჩინებული წლები გავატარე, თუმცა დარწმუნებული გახლავართ, რომ ბეტისში კიდევ უფრო შთამბეჭდავ და დაუვიწყარ შეხვედრებს ჩავატარებ."* კარგი განწყობა ლიმასაც არ აკლდა. "ატლეტიკო მინეიროს" ყოფილმა ფეხბურთელმა განაცხადა, მას შემდეგ, რაც ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს დავძლევ, ჩემი თამაშით ანდალუსიურ საფეხბურთო საზოგადოებას შოკისმომგვრელ სიურპრიზს მოვუწყობო.

ახალი სახე

# ლავეცი, როგორც დიეგო...

## 22 წლის არგენტინელი ნეაპოლს ძველ დროს ახსენებს

კვირას, "ფრიულიზე" "უდინეზემ" საშინელი მარცხი იწვნია მასთან სტუმრად ჩასული "ნაპოლისგან". კამპანიელებმა მეტოქეს 5 უპასუხო გოლი გაუტანეს. რაშია საქმე? ნუთუ, **დიეგო მარადონას** პერიოდის გუნდი დაბრუნდა სერია A-ში? ნუთუ მისი აჩრდილი წინ გაუძღვება ერთ დროს პოპულარულ გუნდს და გულშემატკივრები უდიდესი წარმატების მოწმენი გახდებიან? ყოველ შემთხვევაში, იმ ჟურნალისტებს, რომლებიც დიდი ხანია საფეხბურთო სფეროში მუშაობენ, "ნაპოლის" გამარჯვებამ ძველი დრო გაახსენა. ეს **ატილა სალუსტროს** რეკორდის გამეორებას ჰგავს. 5:0 შორეულ 1929 წელს დაფიქსირდა და მას შემდეგ, "ნაპოლის" ერთ გასვლით მატჩში ამდენი გოლი აღარ გაუტანია. 1929 წელს, ამერიკაში დიდი დეპრესიის პერიოდი იდგა, მაგრამ იტალიაში ისე არ ყინავდა, როგორც "უოლ სტრიტზე", არქეოლოგიური, მეტეოროლოგიური და საფეხბურთო თვალსაზრისითაც. ამჟამად, "ნაპოლიში" გამოჩნდნენ მიზანდასახული და წარმატებას მოწყურებული ბიჭები. ერთ-ერთი მათგანი 1985 წელსაა დაბადებული, მეორე პლანის ნახევარმცველია, შემტევი... როცა იტალიის თასზე "პიზას" 3 გოლი გაუტანა, თქვა: *"მე ალტრუისტი ვარ, გუნდისთვის ვთამაშობ"*. სამი გოლი ერთ მატჩში 18 წლის ასაკშიც გაიტანა, როცა თავის სამშობლოში, არგენტინაში, "ესტუდიანტესის" ღირსებას იცავდა. ეს ბიჭი **ეზეკილ ივან ლავეცია**...

ახლა ის 22 წლისაა. ის ახალ "ნაპოლისთან" ერთად მოგვევლინა სერია A-ში. 17 წლისამ, მოულოდნელად, ფეხბურთს თავი დაანება და... ელექტრიკოსი გახდა, ალბათ, ძმების გავლენით, რადგან ისინიც ამ განხრით მუშაობდნენ. მერე ისევ დაუბრუნდა მწვანე მინდორს - ჯერ "ესტუდიანტესში", ხოლო შემდეგ "სან ლორენსოში" თამაშობდა, **რამონ დიასთან**. დიასი, "ნაპოლის", "ინტერისა" და "ფიორენტინის" ყოფილი ნახევარმცველი, ლავეცის გზას ულოცავს ნეაპოლისკენ. ვიდრე "ნაპოლის" პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** დაინტერესდებოდა, ეზეკილი "რივერ პლეიტს" უნდოდა. მერე დე ლაურენტისი დიასს შეხვდა. შეთავაზება: 5 მილიონი დოლარი. რამონმა თავი გააქნია და უპასუხა: *"არ ღირს ამ თანხად იტალიის პასპორტის აღება, ლავეცი 20 მილიონი ღირს"*. მაგრამ მერე, "ნაპოლის" გენერალურმა მენეჯერმა **პიერპაოლო მარინომ,** კამპანიაში მას 5.5 მილიონ ევროდ უკრა თავი. უფრო ადრე, "ჯენოას" პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი** "ესტუდიანტესს", სადაც ეზეკილი "სან ლორენსომდე" თამაშობდა, მილიონნახევარ დოლარს სთავაზობდა, მაგრამ უარი მიიღო, თუმცა ძალიან მალე, ლავეცი, იმავე თანხად, "სან ლორენსოში" აღმოჩნდა...

ლავეცი სანტა ფეს პროვინციის სოფელ გობერნადორ გალვესში დაიბადა. ფეხბურთის თამაში დაიწყო "როსარიოში", **კორონელ აგირეს** მწვრთნელობის პერიოდში. მერე ჩაირიცხა "ბოკა ხუნიორსის" სკოლაში. "ესტუდიანტესში", რომელიც პის პროფესიულ კარიერაში პირველი კლუბი იყო, თვეში მხოლოდ 100 პესოს (25 ევრო) იღებდა და ამ ხელფასით 16 გოლის გატანა შეძლო. არგენტინის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში მისი დებიუტი 5 ივლისს, ჩილეს წინააღმდეგ მატჩში შედგა. თამაშს "ნაპოლის" ოფიციოზიც დაესწრო და ყველაფერი მაშინ გადაწყდა. რა საინტერესო დამთხვევაა: "ნაპოლიში" მისი პრეზენტაცია შედგა ზუსტად იმ დღეს, როცა 23 წლის წინათ, 60 ათასი მაყურებლის თვალწინ, "სან პაოლოზე" **დიეგო მარადონა** წარადგინეს.

მას 11 სვირინგი აქვს, აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის. ამ 11-დან 4 (რევოლვერი, მასხარა, ვენერა და გუნდის ღერბი) იმ პერიოდში გაიკეთა, როცა "როსარიოში" თამაშობდა. გასულ კვირას ნაპოლის "სან პაოლოდან" ლავეცი უდინეს "ფრიულიზე" აღმოჩნდა და ასევე ნეაპოლელი **ფაბიო კვალიარელას** გუნდს დაუპირისპირდა, თანაც როგორ. *"იტალიაში თავიდანვე 15 გოლი უნდა გაიტანო, რომ დაგაფასონ"*, - უთხრა მას რამონ დიასმა, გოლის მაესტრომ და ყოფილმა ნეაპოლელმა. დიასთან ურთიერთობა არ იყო ადვილი, თუმცა ის საქმეს გულმოდგინედ ეკიდებოდა და ყველა მითითებას სწორად ასრულებდა.

გალვესელ მეგობრებში ეზეკილი ლიდერად მიაჩნდათ. მისი ძმა დიეგო იქაურ პატარა გუნდს ხელმძღვანელობდა, მაგრამ ეს ბიჭები, ფეხბურთის თამაშის გარდა, გზებზე ხალხს აწიოკებდნენ. ამ ბიჭებთან მეგობრობა სახიფათოც იყო, მაგრამ ეზეკილს ისინი არ დავიწყნია. მათი გამოსწორების მიზნით, ლავეციმ, "სან ლორენსოს" ხელმძღვანელობის დახმარებით, ბიბლიოთეკა დააარსა. *"ისინი არავის ემორჩილებოდნენ, საკუთარი სასაუბრო ენა ჰქონდათ. იქნებ, წიგნის კითხვითა და სხვა ხალხთან ურთიერთობით დამდგარიყვნენ სწორ გზაზე"*.

ეზეკილმა თავად აირჩია ცხოვრების სწორი გზა. ეს ნამდვილად მისი გზაა, რომელიც, ალბათ, წარმატებული იქნება...

**დავით ჩუბინიძე**
გაზეთ დელო სპორტის მიხედვით



ეზეკილ ლავეცი (წინა პლანზე) უდინეზეს კარში გატანილ გოლს ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი


მერაბ ანთაძე



გია ნიჟარაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

პრესკონფერენცია

# არა მარტო სპორტული შეჯიბრება

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო თასისთვის მზადება დაასრულა და დღეიდან ლიონთან ახლოს, ბოჟოლეში დაბანაკდება. დღესვე საფრანგეთში გაემგზავრებიან ოფიციალური დელეგაციის დარჩენილი წევრები საქართველოს რაგბის კავშირიდან. მათ, გუშინ, პრესკონფერენცია გამართეს კლუბ "12 მაგიდაში".**

მერაბ ანთაძე, **რაგბის კავშირის პრეზიდენტი**: - ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა უკვე დაასრულა ინტენსიური მზადება და ორ-სამ დღეში დაიწყება ჩვენთვის ყველასათვის სანატრელი შეჯიბრება, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით იხილავს ქართველი ქომაგი.

ნაკრების მზადების პერიოდში, რომელიც თითქმის სამი თვეა გრძელდება, ყურადღება არ მოგვკლებია საზოგადოების მხრიდან. გვინდა მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც გვერდით გვიდგა, გვეხმარებოდა - სახელმწიფო სტრუქტურებიდან დაწყებული სპონსორებით დამთავრებული.

ამასთან, მინდა ალვნიშნო რომ საფრანგეთში გასამართი მსოფლიო თასი ჩვენთვის არა მარტო სპორტული შეჯიბრება იქნება. იქ დაგეგმილია მრავალი ღონისძიება, რომელიც საშუალებას მოგვცემს მსოფლიოს გავაცნოთ ჩვენი კულტურა, ისტორია, აწმყო.

გია ნიჟარაძე, **საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე პრეზიდენტი:** - რაგბში 1973 წლიდან ვარ და გულწრფელად მინდა ალვნიშნო, ასეთი მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან, აქამდე არასდროს გვქონია. ხაზგასმით უნდა ალინიშნოს სპონსორთა დამსახურებაც. ნაკრების მზადების პროცესში დიდი წვლილი მიუძღვის კომპანია "კვარციტს", "ლოიალ კაპიტალ გრუპს", "სილკ როუდ ბანკს" და "ნემიროვს". ამ და სხვა კომპანიებთან გვაქვს წინასწარი მოლაპარაკება, რომ ჩვენი თანამშრომლობა 2008 წელსაც გაგრძელდება.

ახლახან ჩამოყალიბდა საქართველოს ნაკრების გულშემატკივართა კლუბი. სადაც გაწევრიანების საშუალება ყველა მსურველს ექნება. ამასთან თამაშების ხილვა რამდენიმე კლუბში იქნება შესაძლებელი. ესენია: "12 სკამი", "ლაივ ბარი", კაფე "მსოფლიო სპორტი" და "გურმანი".

მინდა ხაზგასმით ალვნიშნო, რომ ილუზიებს ნუ შეიქმნით და ჩვენ გუნდს შეუძლებელს ნუ მოვთხოვთ. მარტო ის რომ საქართველოს ნაკრები ორჯერ ზედიზედ მოხვდა მსოფლიო თასზე, უკვე დიდი მიღწევაა. საფრანგეთში ჩვენი მიზანია ღირსეულად ვეთამაშოთ, ვებრძოლოთ საფრანგეთს, არგენტინასა და ირლანდიას, ნამიბიას კი უნდა მოვუგოთ, თუმცა, გარწმუნებთ, რომ ეს იოლი არ იქნება. ნამიბია ბევრად უფრო ძლიერი გუნდია, ვიდრე რუმინეთში ვნახეთ. იმედი გვაქვს ჩვენი ბიჭები მსოფლიო თასზე პირველ, ისტორიულ გამარჯვებას მოიპოვებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## თარიღი

**ჰანს ბურჯანაძე.** დაიბადა 05.09.1932, თბილისი. სპორტული ტანვარჯიში. სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1949, თავისუფალი ვარჯიში). 1979-იდან 1982 წლამდე მუშაობა მადაგასკარში, სადაც ჩამოაყალიბა ტანმოვარჯიშეთა ნაკრები და დიდი წვლილი შეიტანა კუნძულზე სპორტის ამ სახეობის განვითარებაში. საქართველოსა (1982-88) და რუსეთის (1994-2004) კაცთა ნაკრებების მთავარი მწვრთნელი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან: პაატა შამუგია, სიმონ სხირტლაძე და იური ნინოშვილი.

**გივი ყვარელაშვილი.** დაიბადა 05.09.1945, თბილისი. თავისუფალი ჭიდაობა (62 კგ). მსოფლიოს თასის მფლობელი გუნდურ შეჯიბრებაში (1974), სსრკ ჩემპიონი (1971), მეორე (1970) და მესამე (1968) პრიზიორი, სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1971). ბულგარეთის, ირანის, პოლონეთის, ინდოეთის, თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. იყო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი (1986-90). ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენის კავალერი.

**მევლუდ მელაძე.** დაიბადა 05.09.1972, თბილისი. სამბო (52 კგ). მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1991), ევროპის ჩემპიონი (1991) და ორგზის მესამე პრიზიორი (1992, 93), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

## კალათბურთი

ინტერვიუ კოტე ტულუშთან

# აზოტიდან ავიამშენში

## ნაკრებს ყველამ რაღაც დავაკელით

**კოტე ტულუში საქართველოს ნაკრებში მესამე წელია ვარჯიშობს, თუმცა ოფიციალურ შეხვედრაში დებიუტი 21 აგვისტოს ლუქსემბურში ჰქონდა. 2004 წელს იგი დრაჟენ ბრაიკოვიჩმა სათადარიგოთა სკამს არ მოაცილა, ხოლო შარშან კოტემ კოჭი დაიზიანა და ნაკრების მატჩებს გვერდიდან ადევნებდა თვალს. გარდა დებიუტისა, ტულუშთან სხვა თემაზეც გვქონდა სალაპარაკო - იგი ახლახან "აზოტიდან" "ავიამშენში" გადავიდა. შეგახსენებთ, რომ კოტემ 2006 წელს საქართველოს ჩემპიონობა სწორედ "ავიას" მაისურით მოიპოვა.**

**- მომავალ სეზონს "ავიამშენში" ვითამაშებ.** ისლანდიასთან სანაკრებო მატჩის წინ "აზოტის" მესვეურებს ველაპარაკე. მათ მითხრეს, რომ გუნდს ჩემპიონობის პრეტენზია აღარ ექნებოდა. სწორედ მაშინ "ავიამშენიდან" საინტერესო წინადადება მივილე და ორდღიანი ფიქრის შემდეგ ლევან მოსეშვილის "ავიაში" დაბრუნება გადავწყვიტე. ამის მერე რუსთაველები კიდევ ერთხელ დამიკავშირდნენ და შევიტყვე, რომ გუნდი შარშანდელივით ძლიერი იქნება და ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. წინადადება უარი ვუთხარი, რადგან "ავიამშენთან" უკვე კონტრაქტი მქონდა გაფორმებული.

**- ადრე ალნიშნე, რომ ირანიდან გქონდა შემოთავაზებები...**

- სპარსეთიდან ახლაც მეპატიჟებოდნენ, თან ისეთ თანხას მთავაზობდნენ, წასვლა რომ ღირდა. მაგრამ ისევე როგორც შარშან, საქართველოში დარჩენა ოჯახის გამო გადავწყვიტე. ასე რომ, "ავიამშენში" გადასვლა სადღეისოდ ყველაზე სწორ ნაბიჯად მიმაჩნია.

**- "აზოტი" ჩემპიონობას აპირებსო თავად თქვი, გაცოცხლებული "ვიტაც" ძლიერი გუნდი უნდა იყოს, "ავიამშენი" რას აპირებს?**

- საქართველოში დარჩენის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მეტოქეების გაძლიერება იყო. მათ წინააღმდეგ თამაში ჩემთვის სერიოზული გამოწვევაა და მატჩები გვიჩვენებს, ვინ რას უმიზნებს. როგორც ყოველთვის, "ავიამშენი" წლეულსაც ჩემპიონობაზე ფიქრობს.

**- შემადგენლობაში რა ცვლილებებია?**

- გუნდში ვარჯიშობს გამოცდილი ირაკლი ხოშტარია, რომელთანაც ორი წლის წინათ ოქროს მედალი მოვიპოვე. გვყავს ორი ახალწვეული - ნოდარ ბერაია და დავით იმნაძე. საერთო ჯამში, საქართველოს კვალობაზე, შემადგენლობა ძლიერი და ამბიციურია. რა გამოგვივა, ამას ჩემპიონატი გვიჩვენებს.

**- ამჟამად ნაკრებთან ვარჯიშობ, თუ - "ავიამშენთან"?**

- "ავიასთან" ერთად ვემზადები და 5 სექტემბრის შვეიცარია-რუმინეთის მატჩს ველი.

**- 4 მატჩში საქართველოს ნაკრების თამაშს როგორ აფასებ?**

- ნამდვილად არ მეგონა, ასე სუსტად თუ ვითამაშებდით. ლუქსემბურგთან და ავსტრიასთან სასურველ შედეგს მივაღწიეთ, თუმცა ხარისხობრივად ბევრი გვქონდა გამოსასწორებელი. ვფიქრობდი, რომ საწყის ორ მატჩში ჩვენს გარჯაზე უარყოფით გავლენას მომდევნო ორი მძიმე შეხვედრის მოლოდინი ახდენდა. მაგრამ მდგომარეობა ვერც ისლანდიაში გამოსწორდა.

კუნძულზე ნაგებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. იმ მატჩში ნამდვილად არ უნდა დავმარცხებულიყავით, მოგებასთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ... დარწმუნებული ვარ, ისლანდიაში რომ გაგვემარჯვა, ფინეთთან უკეთესად გამოვიდოდით და რა სხვაობითაც დაგვჭირდებოდა, იმდენით მოვუგებდით.

**- გამოგიტყდები, ფინეთთან მატჩის მიმოხილვის დაწერა ძალიან გამიჭირდა. როგორ ფიქრობ, უფრო კარგად ვითამაშეთ, თუ - ცუდად?**

- გეთანხმები. ისეთ სიტუაციაში ვიყავით, რომ ჩვენი თამაშის შეფასება ძალიან ძნელი იყო. ზოგადად კარგის, ან ცუდის თქმა, ახლაც მიჭირს.

**- მართალია, 5 სექტემბერს შეიძლება ისეთივე სასწაული მოხდეს, როგორც ისლანდიაში (უკანასკნელ სამქულიანს ვგულისხმობ), მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ამ ოთხ მატჩში ნაკრებს რალაც აკლდა. კერძოდ რა?**

- რადგან საქმე ასე გავირთულეთ, ე.ი. ჩემიდან დაწყებული, ყველამ რალაცა დააკლო...

**- ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. რუსეთ-სერბეთის მატჩი ვნახე. თამაშის ხარისხით ამ გუნდებამდე საქართველოს ბევრი უკლია...**

- რუსეთი და სერბეთი ამიტომაც თამაშობენ ევროპის პირველობაზე, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ელიტის გუნდებთან თამაში გაცილებით მეტს გაძლევს, ვიდრე ლუქსემბურგ-ისლანდიასთან დაპირისპირება. მეორეც, A და B დივიზიონებში გუნდები არათანაბრადაა გაყოფილი: ზედა ეშელონში დანია თამაშობს, რომელიც ამ ზაფხულს იოლად დავამარცხეთ, ხოლო B ლიგაში ფინეთის ნაკრებია, რომელიც ნამდვილად ცოდოა ქვედა ეშელონისთვის. ისევე როგორც ჩვენ.



კოტე ტულუში ტეემუ რანიკოს წინააღმდეგ

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ცქიტიშვილი იტალიაშია

გუშინ, იტალიური კლუბის "ტერამოს" ოფიციალურ ვებ-გვერდზე მცირე ინფორმაცია გაჩნდა: *"ტერამოში ნიკა ცქიტიშვილიც ჩამოვიდა და გუნდი უკვე სრული შემადგენლობით ვარჯიშობს. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა, გუშინ, სამედიცინო შემოწმება გაიარა, ერთი ვარჯიშიც ჩაატარა და კლუბის ფორმა ოფიციალურ ვითარებაში დღეს გადაეცემა".*

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ "ტერამომ" ახალი სეზონისთვის მზადება აგვისტოს ბოლოს დაიწყო, სექტემბრის დასაწყისს იტალიაში გაატარებს, ხოლო 14 სექტემბრიდან "ტერკასის თასის" გათამაშებაში ჩაერთვება. ამ ტურნირს ორი იტალიური ქალაქი უმასპინძლებს - ტერამო და პესკარა. შეჯიბრებაში ცქიტიშვილის გუნდის გარდა სამი ძლიერი კლუბი ითამაშებს - ლიტვის "ჟალგირისი", თურქეთის "ბეშიქთაში" და საბერძნეთის "არისი". შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს "არისის" მთავარ მწვრთნელად საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი გორდონ ჰერბერტი დაინიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ხელი გაასწორე, ბიჭო!




**რატომ ვერ მოახერხა საქართველოს ნაკრებმა A დივიზიონში აღზევება? ძნელია, კითხვას ცალსახა პასუხი გასცე. მიზეზი უამრავია და თან თითოეული მათგანი ერთმანეთზე უფრო შთამბეჭდავი ჩანს. კითხვების სახით ჩამოვთვალოთ თუ პასუხების? თუ ორივესი ერთად?**

რატომ არ მოემზადა გუნდთან ერთად მისი ორი გამორჩეული მოთამაშე, **ვლადიმერ ბოისა** და **ნიკა ცქიტიშვილი** უმნიშვნელოვანესი მატჩების წინ? და მათგან ერთ-ერთმა, ცქიტიშვილმა რატომ არ ითამაშა არც ერთ შეხვედრაში?

რატომ გაისარჯა მისთვის უჩვეულოდ პასიურად **ზაზა ფაჩულია** შესარჩევ შეხვედრებში, როცა მანამდე, ამხანაგურ მატჩებში ლუქსემბურ-ავსტრია-ისლანდიაზე გაცილებით ძლიერ გუნდებთან ლამის 30 ქულაზე ნაკლები არ გაუკეთებია?

რატომ გამოიყურება საქართველოს ნაკრების დაცვა გამაოგნებლად უსუსურად?

რატომ გვქონდა ყველა შეხვედრაში თამაშიდან ჩაგდებული ბურთების კატასტროფულად დაბალი პროცენტული მაჩვენებელი?

რატომ წავაგეთ ისლანდია-ფინეთთან მატჩის მეოთხე პერიოდი? რატომ დავუშვით აურაცხელი უპატიებელი შეცდომა მატჩის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე და რატომ გავანიავეთ 6-6 ქულიანი უპირატესობა? რატომ გვაკლდა კონცენტრაცია ზუსტად იმ დროს, როცა ყველაზე აუცილებელი იყო?




თითქოს ყველაფერი რიგზეა: კარგი შემადგენლობა, ძლიერი მწვრთნელები, უცხოური შეკრებები და რა? რის ვაივაგლახით ვამარცხებთ შინ ავსტრიას (ლუქსემბურგზე საუბარი არც ღირს), ვმარცხდებით მოყვარულებით დაკომპლექტებულ ისლანდიასთან და შემთხვევით ვუგებთ აბსოლუტურად უმოტივაციო ფინეთს. შემთხვევით, რადგან როცა ბოლო წამებზე ქულით იგებ და მეტოქეს საშუალებას მისცემ, წყნარად მიიყვანოს კომბინაცია ბოლომდე და ესროლოს კიდეც, მოგება შემთხვევითობაა.

ყველაფერს თანმიმდევრულად გავცეთ პასუხი:

ვთქვათ, ვლადიმერ ბოისას საპატიო მიზეზი ჰქონდა შეკრების გასაცდენად - შვილი შეეძინა. ღმერთმა ამრავლოს და გაახაროს, მაგრამ პროფესიონალი სპორტსმენი 2-3 კვირა უვარჯიშებელი არანაირი მიზეზით არ დარჩება, გარდა ტრავმისა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ლამის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩები ელის წინ - მას თუ არა, მისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს მაინც.




აი, ნიკა ცქიტიშვილის ამბავი კი სხვა ამბავია და ცალკე განხილვას მოითხოვს. მან მთელი შეკრება და ლუქსემბურგთან-ავსტრიასთან მატჩებიც იმიტომ გააცდინა, რომ ახალ კლუბს ეძებდა. ერთია ის, რომ მან გუნდი დაალალატა პირადი ინტერესისა და უკეთესი კონტრაქტის გამო, მაგრამ მეორეა, რომ ისლანდიასთან შეხვედრის წინ ის თბილისში იყო და არ წაიყვანეს იმ მიზეზით, გუნდთან ერთად შეკრება არ გაუვლია და მოუმზადებელ-შეუთამაშებელიაო. მაშინ, ავტომატურად ჩნდება კითხვა, რატომ წაიყვანეს ბოისა?

**არავინ ამბობს, რომ ბოისა არ უნდა წაეყვანათ, ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმ შეხვედრაში, მაგრამ უცნაური და საეჭვო ისაა, ერთი და იგივე სიტუაციაში მყოფი ორი მოთამაშიდან რა პრინციპით ითამაშა ერთმა და მეორე კი თამაშგარე აღმოჩნდა?**

ზაზა ფაჩულიამ ფინეთთან თამაშის შემდეგ ფრიად დამაინტრიგებელი განცხადება გააკეთა: *"მე ვითამაშე იმ დონეზე, რა დონეზეც ნაკრები მოემზადა. მომავალ წელს თუ ასევე დაიგეგმა ყველაფერი, მე აქ ჩამოსვლელი აღარ ვარ"*.




ეს პირდაპირი ბრალდებაა ფედერაციის მიმართ და აუცილებელია ორივე მხარემ საფუძვლიანად გაგვარკვიოს, რა იმალება ამ სიტყვების უკან. **მართლაც იყო სერიოზული ორგანიზაციული ხარვეზები ნაკრების მომზადებისას თუ ეს იყო გაუგებრობა პრეტენზიულ ადამიანსა და ფედერაციას შორის?** რაც არ უნდა იყოს, სიტუაცია მეტად დამაფიქრებელია და დარეგულირებას მოითხოვს. როგორც უნდა იყოს, ჩვენს ნაკრებს ზაზას დონის კალათბურთელის დაკარგვის ფუფუნება არა აქვს.

საკვირველია, რაზე ვარჯიშობდა ჩვენი ნაკრები შეკრებების დროს? ვინც კალათბურთი იცის, დამეთანხმება, რომ ყველა ნორმალური გუნდის ვარჯიშის უდიდესი ნაწილი შეტევითი კომბინაციების დამუშავებას და ზედმიწევნით ზუსტი და მობილური დაცვის დახვეწას ეთმობა. ჩვენ კი რა შეგვრჩა ხელთ?

სრულიად გაუგებარია, რატომ ატარებდა ფაჩულია მოედანზე ყოფნის უდიდეს ნაწილს პერიმეტრზე, როგორც დაცვის, ასევე შეტევის დროს? რატომ ცდილობდა მუდმივად საშუალო დისტანციიდან ტყორცნებით ქულების დაგროვებას, როცა ის არ არის **დირკ ნოვიცკი** და გულახდილად და რბილად რომ ვთქვათ, კაუჭითა და ნახევარკაუჭით ბურთის კალათში ჩაგდება სულაც არაა მისი საუკეთესო მხარე? რატომ ცდილობდა მუდმივად მოწინაალმდეგის გამთამაშებლებისთვის ბურთის ჩაჭრას თუ მსროლელებისთვის დაფარებას და რატომ რჩებოდა მის ადგილზე ფარქვეშ **მანუჩარ მარკოიშვილი?**






სად დარბოდნენ დაცვის დროს **ტაირონ ელისი, გიორგი ცინცაძე** და მანუჩარ მარკოიშვილი, რომლებსაც ნაცვლად იმისა, თავისი კაცი აეყვანათ, ვინც სად მოხვდებოდა, იქ ცდილობდა ბრძოლას. ეს მაშინ, როცა ერთი ერთზე დაცვაში, ვაღიაროთ და, ძალიან მოიკოჭლებენ ჩვენი მოთამაშეები. ერთადერთი კაცი, ვინც თავის ზონას და კაცს არასოდეს ტოვებდა უმეთვალყურეოდ, **ვიქტორ სანიკიძე** იყო.

კიდევ ერთი, მოგეხსენებათ, ყველა გუნდს სხვადასხვა კომბინაცია აქვს დამუშავებული და როდესაც გამთამაშებელი ბურთს ათამაშებს, ხელის გარკვეული, მხოლოდ თავისიანებისთვის ცნობილი ჟესტიკულაციით თანაგუნდელებს ანიშნებს, თუ რომელი კომბინაცია უნდა გაათამაშონ (ვინ სად დადგეს, საით გაიქცეს და რა გააკეთოს). იმ შეხვედრებში, რომელიც ვიხილეთ მსგავსი რამ უიშვიათესად ხდებოდა და ეს გამაოგნებელია! "ჭ" კლასის გუნდებსაც კი აქვთ დამუშავებული კომბინაციები და მთელი თამაში ამაზე აქვთ აწყობილი, ჩვენ კი ქაოტურად, ინდივიდუალური შეტევებით ვცდილობდით ფონს გასვლას.

ასე თამაში რომ შეიძლებოდეს, აშშ ნაკრები 50 ქულაზე ნაკლებით არავის მოუგებდა, მაგრამ კალათბურთში მთავარი მაქსიმალურად ეფექტური დაცვა და საათის მექანიზმივით აწყობილი კომბინაციებია, ამიტომაც ჩააგდო "დრიმ თიმმა" უკანასკნელი ოლიმპიადა და მსოფლიო ჩემპიონატი.

იცით რატომ გააფუჭა **გიორგი ცინცაძემ** ავსტრიასთან რვიდან 8 სამქულიანი? ამის პასუხი ფინეთთან შეხვედრაში საკუთარი თვალით შეეძლოთ ეხილათ მათ, ვინც სპორტის სასახლეში იმყოფებოდა. ერთ ეპიზოდში, როდესაც **ლაშა გამყრელიძემ** პირველი საჯარიმო ვერ ჩააგდო, **კენ შილდსმა** გასძახა და ყველას დასანახად აჩვენა, სროლის დროს მაჯა აი, ასე უნდა მოხაროო.



უბრალოდ, სირცხვილია! A დივიზიონში თამაშის ამბიციის მქონე ნაკრების მოთამაშეებმა სროლა არ იციან და მწვრთნელი უმნიშვნელოვანესი თამაშის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის დროს 6 წლის ბავშვივით ასწავლის ამას! შეიძლება ეს ცენტრს კიდევ ეპატიოს, რადგან მათ ძირითადად სიმაღლისა და მასის მიხედვით არჩევენ, მაგრამ გამთამაშებელმა და მით უმეტეს მსროლელმა (?!) მაჯის სწორად მოხრა და სროლა უნდა იცოდეს! თუმცა, ახლა უკვე ძალიან გვიანია და ეს მათი პირველი მწვრთნელების ბრალია. მსგავსი რამ 5-6-7 წლის ასაკში ისწავლება და კალათბურთელისთვის ამის არცოდნა ისეთივე სირცხვილია, როგორც ფეხბურთელისთვის ბურთის კენწვლის თუ გაჩერების არცოდნა.

და, მიუხედავად ამ ყველაფრისა, საქართველოს ნაკრებს ამ შემადგენლობით იმის პოტენციალი თავისულად აქვს, გაცილებით უკეთეს ლიგაში და უკეთეს გუნდებთან თამაშობდეს, ხოლო ავსტრია-ისლანდიის დონის გუნდებთან 20 ქულაზე ნაკლები სხვაობით გამარჯვება წარუმატებლობად უნდა ეთვლებოდეს.




მთავარი მიზეზი ამ წარუმატებლობისა, რაოდენ ბანალურადაც უნდა ჟღერდეს, ჩვენს მენტალიტეტშია. არაფერში არ ვართ პროფესიონალები და ყველაფერს ზერელედ ვუდგებით. ფეხბურთელები იქნებიან თუ კალათბურთელები, შეკრებაზე დროის უმეტეს ნაწილს ისევე ატარებენ, როგორც ნებისმიერი თქვენგანი გაატარებდა, მთელი წლის მომქანცველი მუშაობის შემდეგ უახლოეს მეგობრებთან ერთად კურორტზე. ანუ, ჩვეული ქართული ლაზღანდარობა, "ლადაობა", გაპრანჭვა, "მარიაჟობა" გვღუპავს. ნაცვლად იმისა კონცენტრირება უშუალოდ მატჩზე მოახდინონ, თამაშის დროს იმაზე უფრო მეტად ფიქრობენ, რომ საკუთარი უბნელები, ძმაკაცები და გოგოები უყურებენ...

ერთი ჩვევაც გვაქვს ქართველებს, კრიტიკა არ გვიყვარს და არასოდეს ვეთანხმებით. ჟურნალისტის საქმე კი სწორედ რომ კრიტიკაა, მოგებული მატჩის შემდეგაც კი. მოგებულ შეხვედრაში მოთამაშეს ჯილდოდ უბრალო მაყურებლის ალალი ტაში და ანთებული თვალებიც ეყოფა, ამის მეათასედსაც კი ვერ მისცემს ვერცერთი ჟურნალისტის ქება. ამიტომაც, იმედი მაქვს, საწყენად არავინ არაფერს მიიღებს...

ძალიან მცირე იმედი იმისაც მაქვს რომ... რუმინეთი დღეს შვეიცარიას...

**ირაკლი ჯაფარიძე**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

### ნაგება დენენში

საფრანგეთის ქალაქ დენენში 75-ათასდოლარიანი ტურნირი დაიწყო. ფრანგულ თიხნარზე საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა **მაკა ჩახნაშვილმა** უკვე იასპარეზა. სამწუხაროდ, ის მე-5 ნომრად განთესილ გერმანელ **იულია შრუფთან** (124) სამ სეტში დამარცხდა - 4:6, 6:2, 4:6. მაკა ბელარუს **ირინა კურიანოვიჩთან** ერთად წყვილთა თანრიგში მე-4 ნომრად განთესეს, მათი მეტოქეები პირველ წრეში შვეიცარიელი **ბაშინსკი** და პოლონელი **კოსინსკაა.**

### ექვსნი მერვედფინალში



სოფიო შაფათავა

ბაქოში დაიწყო საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითადი ბადის გათამაშება, თუმცა ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპზე დავასრულოთ თხრობა. ტურნირის ძირითად ბადეში 8 ქართველი ჩოგბურთელი იყო, იქ მოხვედრა კი კიდევ ოთხს შეეძლო. საბოლოოდ, ძირითად ბადეში მათგან ორმა გააღწია. **სალომე ალადაშვილმა** უკრაინელი **იანა შულაევა** დაამარცხა 6:2, 7:6, ხოლო **სოფიო შარანგიამ** რუს **მარია სტეპანოვას** მოუგო - 6:3, 6:2. **ნათია გეგია** ბელარუს **ვიქტორია იემიალიანოვასთან** დამარცხდა - 1:6, 7:6, 2:6. **ანა ჯიქიას** კი იოლად მოუგო რუსმა **ოლგა მახოვამ** - 1:6, 3:6. ამგვარად ძირითად ბადეში ერთბაშად ათმა ქართველმა დაიწყო თამაში, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა.

გუშინ, ძირითადი ბადის თამაშებიც დაიწყო. ტურნირის პირველმა ჩოგანმა **სოფიო შაფათავამ** (579) შანსი არ მისცა **თეონა ცერცვაძეს** - 6:1, 6:0. **თინათინ ყავლაშვილმა** ორ სეტში დაამარცხა რუსი **დარია შილინა** - 6:1, 6:3. 15 წლის **ეკა გორგოძემ** კი რუს **ქსენია მიხაილოვას** გეიმიც არ მოაგებინა - 6:0, 6:0. საკვალიფიკაციო წრიდან მოხვედრილმა **თათია მიქაძემ** რუსი **ვალენტინა პონომარცევა** დაამარცხა - 6:1, 6:1. სხვათა შორის, 19 წლის მიქაძე ორი წლის წინათ, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მსოფლიოს 594-ე ჩოგანი იყო, მაგრამ პერსპექტიულმა ჩოგბურთელმა სპონსორი ვერ იშოვნა და ტურნირებს ჩამოშორდა, ორ წელიწადზე მეტია თათიას არსად უთამაშია.

სოფიო შარანგია ბელარუს **ანა მალახოვიჩს** შეხვდა და 2:6, 2:6 დამარცხდა. მეოთხე ნომრად განთესილმა **მანანა შაფაქიძემ მარიამ ქურდაძეს** მოუგო - 6:2, 6:1. მე-7 ნომრად განთესილ **სოფიო ქვაცაბაიას** გაუჭირდა **ირინა კოტკინას** დამარცხება - 6:7, 6:2, 6:2. სალომე ალადაშვილის მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი რუსი **ავგუსტა ციბიშევა** (670) იყო - 2:6, 3:6.

მერვედფინალში ექვსი ქართველი გავიდა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო დაპირისპირება ეკა გორგოძის და თინათინ ყავლაშვილის მატჩი იქნება. სოფიო შაფათავა ბელარუს ანა მალახოვიჩს შეხვდება. მანანა შაფაქიძის მეტოქე რუსი ანასტასია პუტილინა იქნება. სოფიო ქვაცაბაია რუს **მარინა მელინკოვას** დაუპირისპირდება. თათია მიქაძეც რუსს შეხვდება, ალადაშვილის დამმარცხებელი ციბიშევაა.

### ითონიშვილი ბადეშია

კაიროში, ზედიზედ მეორე კვირაა საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ხვდება 19 წლის **ნოდარ ითონიშვილი.** ნოდარი საკვალიფიკაციო ბადეში მე-3 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში ის ისვენებდა, მეორეში კი ქართველმა გერმანელი **ედი როი-ბალუმელი** დაამარცხა - 6:3, 6:4. ფინალურ წრეში ითონიშვილმა ჩეხ **ტომას ტომანს** მოუგო - 6:2, 6:3. ძირითადი ბადის პირველ წრეში ნოდარ ითონიშვილი ფრანგ **მაქსიმ ბონამის** შეხვდება. წყვილთა თანრიგში ქართველი ეგვიპტელ **იასერ აბდელ-საიედთან** ერთად ასპარეზობს.

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში საერთაშორისო ტურნირის (10 ათ სი დოლარი) ძირითად ბადეში ვერ გააღწია 18 წლის **გიორგი ხრიკაძემ.** ის საკვალიფიკაციო ტურნირში მე-11 ნომრად იყო განთესილი. ხრიკაძე პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში ქართველმა მასპინძელ **ლატჩეზარ კრატსევს** მოუგო - 6:3, 3:6, 6:2. ფინალურ საკვალიფიკაციო ეტაპზე მან რუმინელ **ოქტავიან ნიკოდიმთან** დათმო - 3:6, 1:6.

### საჩუქარი დაბადების დღისთვის

დღეს **ოქსანა კალაშნიკოვას** დღეობა აქვს, თუმცა 17 წლის ქართველ ჩოგბურთელს ამისთვის არ ეცლება - ის ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოსთვის, ამერიკის ღია პირველობის ტიტულისთვის აგრძელებს ბრძოლას როგორც ერთეულებში ასევე წყვილში. ნიუ იორკში ოქსანა კვებეკიდან ჩავიდა, სადაც ერთეულთა თანრიგში წარუმატებლად იასპარეზა, თუმცა წყვილებში ამ ქვეყნის ჩემპიონი გახდა და რეიტინგშიც მე-17 ჩოგნობამდე ამაღლდა.



ოქსანა კალაშნიკოვა

"ფლეშინგ მედოუს" კორტებზე ოქსანა კალაშნიკოვამ პირველ წრეში მე-13 ნომრად განთესილ სლოვაკ **რეკა ჟილინსკას** ჩოგბურთის გაკვეთილი ჩაუტარა - 6:1, 6:2. იმავე საღამოს ქართველმა რუს **ქსენია ლიკინასთან** წყვილში (ამერიკის ღია პირველობაზე მე-3 ნომრად განთესეს) ფრანგულ დუეტს (**ნელი ციოლკოვსკი, სინდი შალა**) 6:0, 6:1 მოუგო.

წუხელ, ერთეულთა მეორე წრეში ოქსანას მეტოქე სწორედ მსოფლიოს 23-ე ჩოგანი ახალგაზრდებში სინდი შალა იყო. პირველი სეტი დაძაბული გამოდგა, ტა-ბრეიკში კალაშნიკოვამ 7:2 მოიგო. მეორე სეტში კი გაანადგურა მეტოქე - 7:6, 6:0. ოქსანა კალაშნიკოვა მერვედფინალშია, სადაც რუმინელ **სიმონა ჰალეპს** (26) შეხვდება. ჰალეპი ჯერ 16 წლისაც არ გამხდარა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭადრაკი

### სტარტი კარგია



ლელა ჯავახიშვილი

ბაქოში, გუშინ, ქალთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია - 10 მოჭადრაკე და ეს სულაც არ აკნინებს ტურნირის მნიშვნელობას - პირიქით, უფრო პრესტიჟულიც არის, რადგანაც, მონაწილეებს სპეციალურად იწვევენ და მაღალი რანგის მოჭადრაკეებს ირჩევენ.

ამჯერადაც ასეა - ბაქოში წლეულს შვედი **პია კრამლინგი** (2533), ბულგარელი **ანტუანეტა სტეფანოვა** (2481), პოლონელი **მონიკა სოცკო** (2479), ლიტველი **ვიქტორია ჩმილიტე** (2467), უკრაინელი **კატერინა ლაჰნო** (2450), ფრანგი **სოფი მილე** (2414); აზერბაიჯანელები: **ილაჰა კადიმოვა** (2316), **ფირუზა ველიხანლი** (2284) და **ნარგიზ უმუდოვა** (2213) დაპატიჟეს.

ლელა ერთადერთი ქართველია, ვინც ბაქოში თამაშის პატივი ხვდა, თუმცა სულაც არაა მოულოდნელი - ბოლოდროინდელმა წარმატებებმა იგი მსოფილოს მოწინავე მოჭადრაკეთა რიგში ჩააყენა. სხვათა შორის, ჯავახიშვილი ბაქოს ტურნირზე შარშანაც თამაშობდა.

ლელას დღევანდელი რეიტინგი 2460-ს უდრის, რაც ტურნირზე მეხუთე მაჩვენებელია. მეტოქეები ძალზედ სერიოზულია - მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები გახლავან. მიუხედავად ამისა, ქართველისგან გამარჯვებას ველით და ტურნირის ჩემპიონობას ვუსურვებთ.

პირველი ტურის შემეგ იმედები გაგვიმტკიცდა - ლელამ ნარგიზ უმუდოვას აჯობა. მართალია, უმუდოვა ყველაზე დაბალი რეიტინგისაა, მაგრამ ახალგაზრდაა და ქართველ ქალბატონებთან ქულების მოპოვების კარგი გამოცდილება აქვს...

სხვა შეხვედრებშიც ფავორიტებმა იმარჯვეს: ჩმილიტემ სოფი მილე დაამარცხა; სტეფანოვამ ილაჰა კადიმოვას აჯობა; კატერინა ლაჰნოსა და პია კრამლინგის შეხვედრაში ყაიმი დაფიქსირდა.

მეორე ტურში ჯავახიშვილი თეთრებით ჩმილიტეს ხვდება. სხვა შეხვედრები: უმუდოვა-ველიხანლი; კრამლინგი-სოცკო, კადიმოვა-ლაჰნო, მილე-სტეფანოვა.

**ზვიად შათირიშვილი**

### გურჯი ლიდერი

სტამბოლის საჭადრაკო ფესტივალზე, სადაც 28 ქართველი თამაშობს, ხუთი ტური მიილია, რაც ეკვატორის გადალახვას ნიშნავს. ცხადია, ყველა ჩვენებური საუკეთესო შედეგით ვერ გამოირჩევა, მაგრამ დიდი ნაწილი წარმატებით თამაშობს, ცხრილის სათავეში კი სწორედ რომ "გურჯი" დგას - ხუთიდან ხუთი ქულით და საუკეთესო კოეფიციენტით **ლევან ფანცულაიაა** პირველ ადგილზე. გუშინდლამდე მაქსიმალური შედეგით მრავალი მოიწონებდა თავს, დღეს ასეთი მხოლოდ ექვსია, მათ შორის, ლევანთან ერთად, **დავით მალალაშვილიც**. მალალაშვილს კოეფიცენტით მეხუთე ადგილი უჭირავს.

ნახევარი ქულით ლიდერთა სექსტეტს 12 მოჭადრაკე ჩამორჩება, აქედან 7 ქართველია: **დავით არუთინიანი, დავით ჯოჯუა, ნინო ხურციძე, სალომე მელია, ლევან აროშიძე, ბაჩანა მორჩიაშვილი, გიგა ყუფარაძე.** 4 ქულა ცხრა ქართველს აქვს - **ნანა ძაგნიძეს, გიორგი მარგველაშვილს, კონსტანტინე შანავას, დავით ლომსაძეს, ანა გავაშელს, თორნიკე სანიკიძეს, დავით ზარქუას, ბელა ხოტენაშვილს და მაკა ფურცელაძეს.**

ფინიშამდე ოთხი ტურია და ნებისმიერი მომდევნო ტური მნიშვნელოვანია, განსაკუთრებულ ყურადღებას ლიდერების შეხვედრები იწვევს და სასიამოვნოა, რომ მეექვსე ტურში ქართველები ერთმანეთს არ ხვდებიან: ფანცულაია თეთრებით აზერბაიჯანელ ელდარ გასანოვს (1499) ხვდება, მალალაშვილი კი ასევე თეთრებით და ასევე აზერბაიჯანელ ყადირ გუსეინოვთან (1612) ეცდება გამარჯვებას. გუსეინოვი ტურნირზე მეორე რეიტინგის მფლობელია.

გარდა ამ შეჯიბრებისა, ფესტივალის ეგიდით უნივერსიადაც ტარდება. ქართველები ოთხი გუნდით მონაწილეობენ: ვაჟებში თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის და ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გუნდები თამაშობენ, ქალებში - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი და თბილისის საერთო უნივერსიტეტი "გაენათის" გუნდები. ვაჟებში 22 გუნდი მონაწილეობს და 9 ტურად იმართება, ქალებში კი მხოლოდ ექვსი ტურია და გუნდები ერთმანეთს წრიულად, ხუთ ტურად ხვდებიან.

წარმატებები აქაც გვაქვს: ვაჟებში ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გუნდი ლიდერობს (**თორნიკე სანიკიძე, დავით ზარქუა, გიგა ყუფარაძე, შოთა აზალაძე**) - 13 ქულით; მეორეზე ხარკოვის აკადემიის სტუდენტები არიან - 12 ქულით; მესამეზე თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი (**დავით მალალაშვილი, დავით ჯოჯუა, ბაჩანა მორჩიაშვილი, ივერი ჭილლაძე**) - 10 ქულა.

გოგონებში ლიდერობს სოფიის ვასილი ლევსკის სახელობის სპორტის აკადემიის ნაკრები - ბოლო ტურის წინ 6.5 ქულა აქვთ. თბილისის საერთო უნივერსიტეტ "გაენათს" 6 აქვს; თსუ-ს - 4.5.

**ზვიად შათირიშვილი**

## ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

### ქარიშხალა იშლება, მამული არჩევნებს ელოდება

თვის ბოლოს საქართველოს ხელბურთელთა 18-ე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. სამწუხაროდ, ჩემპიონატი პრობლრმრბით იწყება. ყველაზე დიდი პრობლემა კი გუნდების დაშლაა. ამჯერად, "ქარიშხალას" დაემუქრა არსებობის შეწყვეტის რეალური საფრთხე.

ეს ისტორიული კლუბი გვარიანად დასუსტდა ფინანსურად. თუმცა, მაინც ყოველთვის ახერხებდა ქართული ხელბურთისთვის ნიჭიერი კადრების აღზრდას. ძალიან დაგვწყდება გული, თუკი "ქარიშხალას" მესვეურები მის შენარჩუნებას ვერ მოახერხებენ.

ანალოგიური პრობლემების წინაშე დგას "მამული", რომელიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე წლის წინათ ოქროს მედლებისთვის იბრძოდა ხოლმე, ახლა კი დაშლის საფრთხე შეეპარა.

მოვისმინოთ ამ ორი კლუბის მთავარი მწვრთნელების კომენტარები:

**გივი ქობელაშვილი** (ქარიშხალა): - როგორც იცით, ბოლო ხანს, "ქარიშხალა" ითვლებოდა სტუ-"თელავის" საბაზო კლუბად და ჰქონდა ფინანსური პრობლემები. ახლაც გვიჭირს, რის გამოც შეიქმნა რეალური საშიშროება, რომ კლუბმა არსებობა შეწყვიტოს. პროცენტულად რომ ვთქვათ, ასიდან ოცი პროცენტია იმის შანსი, რომ კარსმომდგარ ეროვნულ ჩემპიონატში ვითამაშოთ. საქართველოს ჩემპიონატში ისედაც ხუთი კლუბი იყო და "ქარიშხალას" გამოკლება ძალიან გულდასაწყვეტი იქნება. თუკი კლუბი მართლაც შეწყვეტს არსებობას, ხელბურთელები სტუ-"თელავსა" და სხვა გუნდებში გადანაწილდებიან.

**რევაზ ჭანტურია**, (მამული): - 12 სექტემბერს გაიმართება საქართველოს ხელბურთის ასოციაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. ჩვენი კლუბის მომავალი ამ არჩევნებზე ჰკიდია. შევხედავთ, ვინ გახდება პრეზიდენტი, რას დაგვპირდება კლუბებს, რა პერსპექტივას დაგვანახებს და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ.

ამ დროისათვის, "მამული", ფაქტობრივად, უპატრონოდაა. ფინანსურად უკიდურესად გვიჭირს, რის გამოც ძლიერ ხელბურთელებს ვერ ვინარჩუნებთ. შარშან, ისეთი შემადგენლობა გვყავდა, რომ კლუბმა არსებობის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა და უქულოდ დაასრულა ეროვნული ჩემპიონატი. ასეთი გუნდის არსებობას რა აზრი აქვს?



რევაზ ჭანტურია

რაც შეეხება დანარჩენ კლუბებს, სტუ-"თელავი" და "თბილისი" აუცილებლად ითამაშებენ 18-ე ეროვნულ ჩემპიონატში. თუმცა, ამასწინათ, "თბილისის" თავკაცმა **მამუკა მჟავანაძემაც** გვითხრა, რომ "თბილისისა" და მის ფარმკლუბ "იმედის" მომავალიც ხელბურთის ასოციაციის არჩევნებზეა დამოკიდებული.

ასევე ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, ითამაშებს თუ არა ჩემპიონატში ახალი გუნდი - ჭაბუკთა რეგიონული ნაკრები. კიდევ ერთი ახალი კლუბის - "ქუთაისის" საკითხი კი, ფაქტობრივად, დადებითადაა გადაწყვეტილი და ოფიციალური მხარე დღეს უნდა მოგვარდეს.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში



ნინო სალუქვაძე

გაგრძელება. დასაწყისი ლელო N 56, 2006.

**როგორც ვნახეთ, ძიუდოში, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში 1986 წელს საქართველოს სპორტსმენები თითქმით ყველა საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობდნენ და შედეგებიც თვალსაჩინო ჰქონდათ. განვაგრძოთ საუბრები სპორტი სხვა სახეობებში მიღწევებზე...**

**სამბო.** ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სსრკ ხალხთა სპარტაკიადა. მინსკში გამართულ ამ ტურნირში საქართველოდან ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა ფალავანი საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდიდან **ლევან ბასილაშვილი** (52). სპარტაკიადის მესამე პრიზიორები გახდნენ **დავით ხოდელი** (90) და **რობერტ ძიძიშვილი** (მძიმე). ძიძიშვილი შემდეგ პირველ ადგილზე გავიდა ოდესის ტრადიციულ საკავშირო ტურნირში, ბასილაშვილს და **იოსებ ჯიჩოშვილს** (მძიმე) კი ვერცხლის მედლები ხვდათ წილად. რაც შეეხება სსრკ ჩემპიონატს (პერმი) და თასის გათამაშებას (ლვოვი), აქ საქართველოდან ჩემპიონობა მოიპოვა **პაატა ბუზარიაშვილმა** (82), მესამე იყო **მალხაზ ბერუაშვილი** (მძიმე), თასს კი **ჯემალ მჭედლიშვილი** (86) დაეუფლა. იმ წელიწადს, საფრანგეთში (ქალაქი პო) ჩატარდა ახალგაზრდების მსოფლიო პირველობა, სადაც ქართველები, მართალია, ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკზე, მაგრამ ისინი საქართველოს არ წარმოადგენდნენ. ოქროს მედალი დაიმსახურა მოსკოველმა **ნ. ნაქაძემ** (მძიმე), ხოლო ვერცხლის პრიზიორი გახდა მინსკელი **გ. მძელური** (90). "პიონერსკაია პრავდას" პრიზზე ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე (მოსკოვი) ახმეტელმა **რომან უძილაურმა** უძლიერესის სახელი დაისაკუთრა, მეორე ადგილზე გავიდნენ **ზ. ომარაშვილი** და **ზ. სამუკაშვილი**. ჩვენმა ჭაბუკებმა ყველაზე მეტი ჯილდო მოიპოვეს. 1971-72-წლიანთა საკავშირო პირველობაზე (კიშინიოვი) გამარჯვებულები გახდნენ: **ვ. მესხი** (35), **დ. ჯიქიძე** (47), **ა. ბახსოლიანი** (მძიმე); მეორე ადგილოსნები: **ე. ხადილაშვილი** (47), **გ. ხვისტანი** (50), **ს. ნაქაძე** (53), **ვ. მანველიშვილი** (56), **ზ. ბაგაური** (65), **გ. ჯაჭვანი** (77); მესამე პრიზიორები: **გ. ჩანადირი** (38), **ვ. ლომიშვილი** (65), **ა. ბაკიძე** (68), **ი. რაზმაძე** (71), **ი. ხინგოიანი** (74), **კ. არჩემაშვილი** (77) და **ზ. მიქაძე** (მძიმე). 1969-71-წლიანთა პირად გუნდურ საკავშირო ტურნირში (მოსკოვი) პირველობა მოიპოვეს ფოთელმა **მურთაზ თურქიამ** (45) და სოხუმელმა **ლეონარდო აგუხავამ** (65); მეორე ადგილზე გავიდნენ სოხუმელი **რობერტ ნავიანი** (60), თბილისელი **ალექსანდრე თანდიაშვილი** (65) და რუსთაველი **ვეფხია ავალიანი** (87). გუნდს კი მესამე ადგილი ხვდა წილად.

**ქართული ჭიდაობა.** ისევე, როგორც წინა წელს, საქართველოს ფალავნის ტიტული კვლავ მოიპოვა **ჯემალ მჭედლიშვილმა**.

**კრივი.** თამამად შეიძლება ითქვას, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში კრივს საუკეთესო ხანა დაუდგა. საქართველოს სპორტსმენებმა სხვადასხვა მაღალი რანგის ტურნირებში თავი ყველა ასაკში ისახელეს. სსრკ ჩემპიონატში (ალმა-ათა) თბილისელმა **ალბერტ კაზანჯიანმა** (54) ოქროს მედალი ფინალში დაკარგა, ბრინჯაოს მედალს ფოთელი **იური სავოკჩინი** (60) დაეუფლა. კაზანჯიანმა საერთაშორისო ტურნირი მოიგო ბანგკოკში (ტაილანდი). ნიკარაგუაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში საქართველოდან საკავშირო ნაკრებში, კაზანჯიანთან (57) ერთად, **ხვიჩა ხდრიანი** (54) მონაწილეობდა. შინ ორივე ოქროს მედლით დაბრუნდა. ორივე მოკრივემ იმ წელს ხალხთა სპარტაკიადა მეორე საპრიზო ადგილით დაასრულა. მესამე **სპარტაკ ასანიძე** (მძიმე) იყო. ხდრიანმა მოიგო ჯაკარტის საერთაშორისო ტურნირიც. ჯაკარტაშივე, საკავშირო ნაკრებში მეორე ადგილზე გავიდა **რუდიკ კაზანჯიანი** (51), რომელიც ასევე მეორე იყო სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირში. ხდრიანმა იმ წელს ბრწყინვალედ იასპარეზა საფრანგეთის ღია ჩემპიონატში (სან ნაზერი) და ამ ქვეყნის ჩემპიონი გახდა. მოსკოვში გამართულ კეთილი ნების თამაშებში კი მოკრივემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედალი ერგო **იური სავოჩკინს**. ამხანაგური შეხვედრა გაიმართა ინდოეთში ამ ქვეყნისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. 6:3 გაიმარჯვეს სტუმრებმა. ბრძოლები მოიგეს **ჟაკ აბრამიანმა** (51), **ალბერტ კაზანჯიანმა** (57), **გია სადაღაშვილმა**, **იური სავოჩკინმა** (ორივე 63,5), **ეროსი მარგიანმა** (67) და **მამუკა შალამბერიძემ** (91). ცალკე გაითამაშეს საკავშირო თასი სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა (ფერღანა). აქ ერთადერთი პრიზიორი გვყავდა - მეორე ადგილზე გავიდა **ბესო ლურჯია** (71). საკავშირო ტურნირი (ვოროშილოვგრადი) მოიგეს **არტურ ოგანიანმა** (60) და **ლერი ღარიბოვმა** (67). სსრკ თასის პარალელურად იმ წელიწადს აბსოლუტურ წონაში ქვეყნის პირველობა ჩატარდა (გროზნო). ქუთაისელმა **დომენტი დანელიამ** (91) ორი მედალი დაიმსახურა: ვერცხლისა - თასზე, ბრინჯაო - აბსოლუტურში. რუსთაველი **ალი მამედოვი** (48) და მესტიელი **ეროსი მარგიანი** (67) მესამე ადგილზე გავიდნენ თასზე.

ქუთაისმა უმასპინძლა იუნიორთა საკავშირო პირველობას. ჩვენებიდან პირველ ადგილზე გავიდნენ **ჯ. ყუფარაძე** (71) და **კ. სამხარაძე** (54); მეორეზე - **ბესო ლურჯია** (71) და **სპარტაკ ასანიძე** (მძიმე); მესამეზე - **დავით შერვაშიძე** (57), **ზაზა ურეკიძე** (60) და **სამველ ვარდიკიანი** (მძიმე). საქართველოს ნაკრები გუნდური პირველობის მეორე პრიზიორი გახდა.

ახლა ჭაბუკთა შეჯიბრებების შესახებ. 1986 წელს ასეთი ტურნირები მრავლად ჩატარდა და საქართველოს სპორტული სკოლების აღსაზრდელებმა თავი ყველგან პერსპექტიულ სპორტსმენებად წარმოაჩინეს. ჯერ საკავშირო ტურნირების შესახებ. ლიპეცკში პირველი ადგილი ხვდათ წილად **კახა ჩიქვინიძეს** (42), **კობა კოროღაშვილს** (52), **თემურ კოზაევს** (54), **აქსენტი ქაჩიბაიას** (57), **ედგარ ხუდოევს** (62), **ვალერი კარიბოვს** (66) და **დიმიტრი ავდალიანს** (74); მეორე - **გენადი ლუკიანოვს** (42), მესამე - **ჯურლა ნიკლაურს** (50) და **ედგარ რუდნიკოვს** (52). ბელორუსიაში იმარჯვებენ **გოჩა აბსარიძე** (48), **კახა ფარლავა** (50), **გოჩა მუშკუდიანი** (63) და **გოჩა ჩალაძე** (70); მეორეადგილოსნები გახდნენ: **ნიკა ავალიშვილი** (48), **არტურ სალატელიანი** (79) და **ლევან შირაქაძე** (85); მესამე ადგილზე გავიდა **გევორქ კავსეზიანი** (52).

ორი ტურნირი თბილისში, ერთი კი სოხუმში გაიმართა. თბილისში, დ. კვაჭაძის პრიზზე, საკავშირო შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებიდან 11 ჭაბუკი პირველ ადგილზე გავიდა. ესენი იყვნენ: **ვ. ხრისტოფორიდი** (40), **კ. აკოფოვი** (42), **კ. ჩიქვინიძე** (44), **ა. ქაჩიბაია** (54), **ლ. კალანდაძე** (57), **ვ. ქარიბოვი** (63,5), **ზ. კაკიაშვილი** (66), **პ. მუსელიანი** (74), **დ. ავდალიანი** (79), **ს. მარქარიანი** (85), **მ. ხვედელიანი** (მძიმე). მეორე თბილისური ტურნირი საერთაშორისო იყო ("ვეჩერნი ტბილისის" პრიზზე). ოქროს მედალს დაეუფლა **ჯ. ყუფარაძე** (75), ვერცხლისას **ნ. ჯაჭვაძე** (60), **ა. სალატელიანი** (75) და **ა. ბიბილური** (მძიმე); მესამე ადგილი ხვდა წილად **ლ. შარიქაძეს** (მძიმე). სოხუმის ტურნირი კ. ლესელიძის სახელობისა იყო. გამარჯვებულთა შორის იყვნენ სოხუმელები - **რ. აგულიანი** (48), **კ. ავედიანი** (54), **ე. ნინუა** (75) და **ე. ხაშბა** (81); ქუთაისელები - **თ. მესხაძე** (51), **მ. ნუცუბიძე** (60) და თბილისელი **ა. ბიბილური** (81). ქალაქ ივანოვოში პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე საქართველოს ნარგზავნილებიდან პირველ ადგილზე სოხუმელი **კ. ესოიანი** (48) გავიდა; მეორეზე ფოთელი **ა. ოჩიგავა** (63,5); მესამეზე თბილისელები - **კ. ფალავა** (52), **მ. დოლონაძე** (60), **ა. პატარიძე** (79) და **ნ. ხორბალაძე** (79).

ჩვენი ჭაბუკების შედეგები თვალსაჩინო იყო სხვა საკავშირო ტურნირებშიც. დნეპროპეტროვსკში პირველ ადგილზე გავიდნენ: **ი. მენთეშაშვილი** (38), **ა. გევორქიანი** (40), **ა. ალექსანიანი** (48), **ე. გრიგორიანი** (52) და **ჯ. ნიკლაური** (60). გუნდურ პირველობაში საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა. მოსკოვში მეორე პრიზიორები გახდნენ: **გ. გრიგორიანი** (50), **დ. ავდალიანი** (79), **ი. ჩოქური** (85); მესამე პრიზიორები: **ა. ქაჩიბაია** (54), **ე. ხუდოევი** (57), **გ. მანუკიანი** (60). ვოროშილოვგრადი. 1970-71-წლიანებში: მე-4 ადგილი - **ს. კალანოვი** (52), **ჯ. ტაბატაძე** (85); 2 - **ი. არაბული** (48), **დ. წოწორია** (60), **ლ. თოთიაური** (63), **მ. ბახტაძე** (66). 1972-73-წლიანებში: 1 - **ჯ. ამოევი** (50), **მ. ნიკლაური** (54), **ა. მღებრიშვილი** (60). ტაგანროგი. 1 - **ა. ამოევი** (30), **გ. კალატოზი** (46), **ჯ. ამოევი** (50), **მ. ნიკლაური** (54); 2 - **ა. მღებრიშვილი** (60). სუმგაითი. 1 - **ლ. თოთიაური** (63), **ა. სალატელიანი** (74), **ნ. ხორბალაძე** (79), 2 - **ე. დაჩიბერიძე** (50), **ს. კალანოვი** (54), **მ. დოლონაძე** (60), **ა. პატარიძე** (79). პენზა. 1 - **გ. სეთურიძე** (52), 2 - **ა. ოჩიგავა** (63), **გ. მუშკუდიანი** (66), **დ. ავდალიანი** (79); 3 - **ნ. ხორბალაძე** (79), **ი. ჩუქური** (79). ზაპოროჟიე. მონაწილეობდნენ მხოლოდ ქუთაისის წარმომადენლები. 1 - **კ. დემურია** (40), **ზ. მეგრელიშვილი** (42), **ე. გოგავა** (44), **ზ. ჯავახაძე** (46), **მ. კოლუაშვილი** (50), **მ. კუპატაძე** (52), **ა. კაკაურიძე** (60), **კ. ბოხუა** (63); 2 - **დ. შავლაყაძე**, **ა. მაღლაკელიძე**; 3 - **გ. მანაგაძე**, **ვ. კვანტალიანი**, **მ. ჯანელიძე**. 1986 წელს საქართველოს ჭაბუკებიდან ყველაზე მაღალ შედეგს **ნიკოლოზ სეთურმა** (91) მიაღწია. მან ევროპის პირველობა მოიპოვა.

**ძალოსნობა.** სპორტის ამ სახეობაში ბევრი არაფერი იყო ხელშესახები. ისტორიას შემორჩა მხოლოდ იმ წელს, ქალაქ ზაგორსკში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში თბილისელთა მიერ მიღწეული წარმატება. ოლიმპიური რეზერვების სკოლის აღსაზრდელებმა გუნდური გამარჯვება და პირად პირველობაში 5 ოქროს მედალი მოიპოვეს. ესენი იყვნენ: **რ. სარქისიანი** (48), **დ. ტატულოვი** (56), **ა. ძაგოევი** (58), **ა. კაზარიანი** (75) და **ნ. დუნამალიანი** (82).

**მძლეოსნობა**. კვლავ ბრწყინავს **მაია აზარაშვილი**. სსრკ თასზე (მოსკოვი) 200 მ რბენაში მან ყველა მეტოქე დაჯაბნა, სოჭში კი იმავე დისტანციაზე სსრკ ჩემპიონიც გახდა, მოიგო ძმებ ზნამენსკების მემორიალი (ლენინგრადი), 100 მ. რბენაში კი ვერცხლის ჯილდოს დაეუფლა. ამ შეჯიბრებაში მაიამ პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. იქვე, შესანიშნავად იასპარეზა 23 წლის თბილისელმა სტაიერმა **ოლეგ სტრიჟაკოვმაც**, რომელმაც უძლიერეს კონკურენტებთან ჭიდილში, 10 კმ-ზე რბენაში, ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. თბილისში ოლეგმა ამავე დისტანციაზე სსრკ-ის ჩემპიონატი, დონეცკში კი სსრკ თასი მოიგო. ხალხთა სპარტაკიადაზე (მოსკოვი) სტრიჟაკოვი ფანიშთან პირველი მივიდა 5 000 მეტრზე რბენაში. აზარაშვილი კი 100 და 200 მეტრზე რბენაში იყო საუკეთესო, კიდევ ერთ ოქროს მედალს ჩვენი ნაკრებიდან ბირთვის მკვრელი **ტარიელ ბინაძე** დაეუფლა. სასპარტაკიადო ბრინჯაოს მედლები კი (100 მ. რბენა) გადაეცათ **ზურაბ მემარნიშვილს** და **ვახტანგ მინაშვილს** (სირგძეზე ხტომა). ვაჟთა შორის სსრკ თასის გათამაშებაში (დონეცკი) 200 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა **ბესიკ გოცირიძემ**.

**სასტენდო სროლა.** ზუგდიდის ახალმა სასროლეთმა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს უმასპინძლა. მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში საუკეთესო იყო ჩვენი ტიტულოვანი მესტენდური **თამაზ იმნაიშვილი**. საქართველოს ნაკრებში იმნაიშვილი სსრკ ჩემპიონის ოქროს მედალსაც დაეუფლა. მოსკოვში გამართული ამ ასპარეზობის გუნდური პირველობაც ჩვენმა ნაკრებმა მოიგო. იმნაიშვილის გარდა, გუნდში შედიოდნენ **გია შენგელია** და **დავით ქვათაძე**. შენგელიამ უნიკალურ შედეგს მიაღწია მრგვალ სტენდზე სსრკ თასის გათამაშებაში - ყველა 75 სამიზნე დაამსხვრია და, ცხადია, მთავარი ჯილდოც მას ხვდა წილად. ქართველებმა მოიგეს გუნდური თასიც. მეორე ადგილზე გავიდა რსფსრის, მესამეზე კი აზერბაიჯანის ნაკრები. იმ წელს ჩვენმა ნაკრებმა კვიპროსის საერთაშორისო ტურნირი ("კვიპროსის დიდი თასი") მოიგო, როგორც მრგვალ სტენდზე, ისე ადგილიდან სროლაში.

**ტყვიის სროლა.** 17 წლის თბილისელი **ნინო სალუქვაძე** სულ უფრო დამაჯერებლად მიიწევდა ოლიმპიური სარბიელისკენ. ეს დრო 2 წლის შემდეგ დადგა. ნინოს დებიუტი ოლიმპიურ სეულში შედგა 1988 წელს. შედეგებზე შემდეგ. აქ კი ის ვნახოთ, თუ რა მიღწევები ჰქონდა ნინო სალუქვაძეს 1986 წელს: ლვოვი. სსრკ პირველობა. ნინო არაოლიმპიურ პროგრამაში (მპ-10) მეორე ადგილზე გადის, ოლიმპიურში (პ-5) კი მესამეზე. შემდეგ იყო სოცქვეყნების არმიელ სპორტსმენთა ჩემპიონატი. ნინო იუნიორებში ოქროს ორ მედალს დაეუფლა, მერე უფროსებშიც იასპარეზა და ბრინჯაოს ორი ჯილდო ერგო (გამოდიოდა პნევმატური და მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში); ფინეთი. ევროპის იუნიორთა პირველობა. გუნდური მეორე ადგილი საკავშირო ნაკრებში და ბრინჯაო პირადში - ასეთი იყო აქ ნინოს მონაგარი პნევმატური იარალით სროლაში; ეშერა. იგივე იარალში ნინო სსრკ ჩემპიონატს იგებს; მოსკოვი. სსრკ ჩეპიონატში, მპ-10 და მპ-5 ვარჯიშში ბრინჯაოს ორ მედალს ეუფლება; კვლავ მოსკოვი. ქალთა საერთაშორისო ტურნირი "სოვეტსკი სპორტის" პრიზზე. ნინო ამ ასპარეზობაშიც ბრწყინვალედ ეუფლება მთავარ პრიზს და ოქროს მედალს პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში.

მსოფლიო ჩემპიონატში (გდრ-ის ქალაქი ზული), საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ნინოც გამოდიოდა, მსოფლიო რეკორდი დაამყარა გუნდურ შეჯიბრებაში. პირადში კი ჩვენი ჩუბინი მესამე ადგილზე გავიდა მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში. ნინომ ასევე ბრინჯაოს მედლით დაასრულა (პპ-2) სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა მოსკოვში. დაბოლოს: ლვოვი. 18-წლამდელ გოგონათა საკავშირო პირველობა. როგორც პისტოლეტიდან, ისე პნევმატური იარალიდან სროლაში ნინოს არც აქ ჰყავდა ბადალი. როგორც ვნახეთ, 1986 წელი ნინო სალუქვაძის წელიწადი იყო. ამ უნიჭიერესი ქალიშვილის გარდა, საქართველოს მსროლელებიდან საქართველოსთვის, იმ წელიწადს, არავის მოუტანია თვალსაჩინო წარმატება.

გაგრძელება იქნება

**თენგიზ გაჩეჩილაძე**



მაია აზარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტი 2007

# რა დროს ევა იყო...

**ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა, ბერძნებმა, ტიტულის დაცვა ფინალურ ეტაპზე პლეიოფის გავლით მოხვედრილ ისრაელთან გამარჯვებით დაიწყეს, იტალიელთა რეკლამირებულმა ვარსკვლავებმა სლოვენიური ტესტი ჩააგდეს, ხოლო გერმანიასა და რუსეთს კი პირველი მატჩები მათმა ვარსკვლავებმა მოაგებინეს. ჯანზეა ლიტვა, ნელ-ნელა შევა ფორმაში და დააქუცმაცებს ოპონენტებს ტონი პარკერი, რაც ტურნირს მეტ დრამასა და ელფერს შესძენს. ესპანეთზე არც შესავალში დაგცვდება სიტყვა და არც შემდგომ მიმოხილვაში, რადგან ტურნირის ყველაზე ძლიერმა მონაწილემ საცოდავ პორტუგალიას გადაუარა.**

ისრაელმა საბერძნეთს მაგარი ბრძოლა გაუმართა. ბერძენი ვარსკვლავების წინააღმდეგ მეტოქემ კარგად ორგანიზებული, თავიდან ზონური, შემდეგ კი ინდივიდუალური დაცვა დააყენა და პირველ ნახევარში თანაბარი ბურთაობა წავიდა.

ბერძნებს საბოლოოდ ორი ფორვარდის, **კოსტას ცარცარისისა** და **დემოს დიკუდისის** ზუსტმა სროლებმა მოაგებინა. ამ ტანდემმა შეხვედრა ჯამური 30 ქულითა და სროლების 66-პროცენტიანი სიზუსტით დაასრულა. მათ ანგარიშზე ასევე 11 მოხსნა და 2 დაფარება მოვიდა.

პირველი ნახევრის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ისრაელი **იანივ გრინის** ზედიზედ ოთხი ქულით 31:28 დაწინაურდა, რასაც ცარცარისმა სამქულიანი შეტევით უპასუხა და დიდი შესვენებისთვის ტაბლოზე საყაიმო ანგარიში ენთო.

ბერძნებმა გადამწყვეტი გაქცევა ბოლო მეოთხედში გააკეთეს. სპანულისმა ურთულესი ტყორცნით ორი ქულა მოიმკო, რასაც **თეო პაპალუკასის** სამქულიანი მოჰყვა და საბერძნეთი 66:59 გავიდა წინ. ისრაელმა ერთიც გაიბრძოლა, ჰანდიკაპი სამ ქულამდე დაიყვანა, მაგრამ უფრო გამოცდილმა და ინდივიდუალურად ძლიერმა ფავორიტმა ბოლოში მაინც დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა.

თუ ბერძნები გუნდური თამაშით გამოირჩევიან, გერმანიისა და რუსეთის წინსვლა მთლიანად მათ ვარსკვლავებზეა დამოკიდებული.

გერმანიას ჩეხეთთან შეუდარებელმა **დირკ ნოვიცკიმ** მოაგებინა, რომელმაც 10-დან 9 საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა და დამატებით დროშიც სოლირებდა.

რაც შეეხება რუსეთს, სლავები **ანდრეი კირილენკოს** უნდა უმადლოდნენ, არცთუ ოპტიმალურად დაკომპლექტებულ სერბებთან რომ მოიგეს.

თუ ნოვიცკის სტიქია შეტევაა, კირილენკო პირველ რიგში, დაცვაში შეუდარებელი თამაშითაა ცნობილი. "იუტა ჯაზის" ვარსკვლავმა თავისი წილი სამი დაფარება ამჯერადაც გააკეთა, სერბეთის მთავარ დამრტყმელ ძალას, ცენტრ **დარკო მილიჩიჩს** თამაშიდან 13-დან 11 სროლა გააფუჭებინა და გზად ორი უმნიშვნელოვანესი სამიანიც ჩააჭედა ოპონენტის კალათში.

ტურნირის გამარჯვებით დაწყება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი და აუცილებელიცაა, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ ვერც გერმანია და ვერც რუსეთი ოთხეულში შესასვლელად მზად არ არიან. პირველი სამი გუნდი ოლიმპიადის საგზურს მოიპოვებს და თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ-ერთი მათგანი ულაპარაკოდ ესპანეთი უნდა იყოს, გამოდის, რომ ევროფორუმიდან პეკინში კიდევ ერთი გუნდი მოხვდება. ესპანეთს ხომ ოლიმპიადაზე თამაში მსოფლიო ჩემპიონის სტატუსით უკვე განაღდებული აქვს.

ბევრს, გაცილებით ბევრს ელოდნენ იტალიის ნაკრების ორი ახალგაზრდა ვარსკვლავისგან, მაგრამ ვერც **მარკო ბელინელიმ** და ვერც **ანდრეა ბარნიანიმ** ვერ მოახერხეს თავიანთი უდიდესი პოტენციალის ბოლომდე გამოვლენა.

ბარნიანიმ თამაშიდან 8-დან 6 საშუალო ტყორცნა გააფუჭა, ბელინელიმ კი დაცვაში უამრავი შეცდომა დაუშვა.

და მაინც, იტალია ძალიან ახლოს იყო მოგებასთან. ძირითადის დასრულებამდე 5 წამით ადრე **მატეო სორანიამ** სამიანით თავისი გუნდი 68:66 დააწინაურა, მაგრამ დარჩენილ დროში სლოვენიამ შეტევის ზუსტად დასრულება მოასწრო, გმირად კი **იაკა ლაკოვიჩი** იქცა. ისიც ვთქვათ, რომ სლოვენია ძირითადის ამოწურვამდე ხუთი წუთით ადრე 60:47 იგებდა. სლოვენიამ ყველაზე დიდი უპირატესობა იმავე ლაკოვიჩის სამიანით მოიპოვა, როდესაც 38:23 გავიდა წინ, იტალიამ კი პირველ ნახევარში 10 სამქულიანიდან ერთადერთი გამოიყენა.

მძიმედ დაიწყო ტურნირი ოქროს ერთ-ერთმა უმთავრესმა მაძიებელმა საფრანგეთმა. უფრო სწორად, ძალიან ცუდად შეასრულა "ცოცხალი" სროლები მათმა მეგავარსკვლავმა, "სან ანტონიო სპურსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ტონი პარკერმა**. ევასთან ნალონგორიავმა ტონიმ თამაშიდან 16-დან 11 სროლა გააფუჭა, თუმცა საფრანგეთი პოლონეთზე ბევრად მაღალი კლასისაა და გუნდი ვერც ტონის უზუსტო სროლამ დაალალატა. ისე, ფრანგების სამწვრთნელო შტაბმა რეჟიმის დარღვევისთვის ევროპის ჩემპიონატზე "გოლდენ სტეიტის" წევრი **მიკაელ პიეტრუსი** არ წაიყვანა და ზედმეტი სიმკაცრეც ძვირად არ დაუჯდეთ.

ოკეანისგაღმეთში დაჩაგრულ-დაბეჩავებულმა **შარუნას იასიკიავიჩუსმა** კი თურქეთს მასტერკლასი ჩაუტარა. შარასმა 34 წუთში 18 ქულა, 8 მოხსნა და 7 შედეგიანი გადაცემა დააგროვა და თამაშიდან 9-დან 6 სროლა გამოიყენა. ყველა (მათ შორის ჩვენც) ესპანეთზე საუბრობს, მაგრამ ლიტვის შემადგენლობიდან გამომდინარე, ამ ქვეყნის მეორედ გაჩემპიონებაც მთლად სენსაცია არ უნდა იყოს.

**ზურაბ თალაკვაძე**



შარუნას იასიკიავიჩუსი შეუჩერებელი იყო

### A ჯგუფი

**სერბეთი-რუსეთი 65:73**

13:21, 17:17, 18:16, 17:19

**სერბეთი:** გუროვიჩი (24 ქ), ტეოდოშიჩი (15 ქ, 4 მ, 3 პ), მილიჩიჩი (9 ქ. 9 მ. 3 პ), იარიჩი (9 ქ. 5 მ. 3 პ), რადივოიევიჩი (2 ქ. 6 მ).

**რუსეთი:** კირილენკო (24 ქ. 12 მ. 3 პ. 3დ), ხრიაპა (11 ქ. 9 მ), სავრასენკო (11 ქ. 5 მ), მორგუნოვი (10 ქ. 5 მ. 3 პ).

**ისრაელი-საბერძნეთი 66:76**

16:19, 15:12, 17:21, 18:24

**ისრაელი:** ჰალპერინი (20 ქ. 6 პ), რობერტსი (13 ქ. 3 ჩ), გრინი (11 ქ. 7 მ), ტაპირო (2 ქ. 8 მ. 6 პ. 2 ჩ).

**საბერძნეთი:** სპანულისი (19 ქ. 3 მ), დიკუდისი (15 ქ. 6 მ), ცარცარისი (15 ქ. 5 მ. 3 პ), პაპადოპულოსი (8 ქ), დიამანტიდისი (7 ქ. 6 მ. 3 ჩ. 2 დ), პაპალუკასი (6 ქ).

### B ჯგუფი

**ლატვია-ხორვატია 85:77**

18:18, 18:18, 20:15, 29:26

**ლატვია:** სკელე (17 ქ. 6 მ. 5 პ), ბიედრინსი (14 ქ. 7 მ), ჰელმანისი (13 ქ), ბლუმსი (13 ქ. 2 ჩ), იანიცენოკსი (10 ქ).

**ხორვატია:** კასუნი (18 ქ. 5 მ. 2 ჩ), მ. პოპოვიჩი (12 ქ), პლანიჩიჩი (10 ქ. 4 მ), მარკოტა (6 ქ. 7 მ).

**პორტუგალია-ესპანეთი 56:82**

13:23, 8:23, 14:18, 21:18

**პორტუგალია:** კუნია (9 ქ), სანტოში (9 ქ), ევორა (8 ქ. 4 მ).

**ესპანეთი:** პ. გასოლი (19 ქ. 4 მ. 3 პ), მ. გასოლი (11 ქ. 7 მ), რეიესი (10 ქ. 4 მ), გარბახოსა (8 ქ. 4 მ), რ. ფერნანდესი (7 ქ), კაბეზასი (7 ქ).

### C ჯგუფი

**ჩეხეთი-გერმანია 78:83 ო.ტ.**

14:12, 17:13, 13:21, 30:28, 4:9

**ჩეხეთი:** ველში (22 ქ. 2 მ), ბარტოლი (14 ქ. 10 მ. 4 პ), ქუშკა (12 ქ. 5 მ), ბენდა (11 ქ. 5 მ), სტაროსტა (6 ქ).

**გერმანია:** ნოვიცკი (35 ქ. 11 მ. 2 დ), დემირელი (18 ქ. 3 მ. 2 პ), ოკულაჯა (13 ქ. 11 მ).

**თურქეთი-ლიტვა 69:86**

16:19, 20:25, 12:19, 21:23

**თურქეთი:** თურქოლლუ (18 ქ. 5 მ. 2 პ), ქუთლუაი (17 ქ. 4 მ. 2 პ), ოქური (11 ქ.10 მ. 2 ჩ), არსლანი (9 ქ. 2 ჩ).

**ლიტვა:** იასიკიავიჩუსი (18 ქ. 8 მ. 7 პ. 1 ჩ), კაუკენასი (14 ქ. 5 მ. 2 პ. 2 ჩ), სონგაილა (12 ქ. 6 მ), პლეიზა (12 ქ. 2 მ), შიშკაუსკასი (10 ქ. 2 ჩ), იავტოკასი (8 ქ. 7 მ), კ. ლავრინოვიჩი (8 ქ. 8 მ).

### D ჯგუფი

**პოლონეთი-საფრანგეთი 66:74**

18:22, 14:13, 21:25, 13:14

**პოლონეთი:** ვოიჩიკი (19 ქ. 3 მ), შევჩიკი (12 ქ. 4 მ), დილევიჩი (8 ქ. 8 მ. 4 პ. 2 დ).

**საფრანგეთი:** პარკერი (16 ქ. 4 მ. 4 პ), პირსლეი (12 ქ. 3 მ. 2 ჩ), ი. დიავარა (10 ქ. 4 მ), დიაო (10 ქ. 4 მ. 3 ჩ).

**იტალია-სლოვენია 69:69**

14:21, 11:17, 20:18, 23:13

**იტალია:** სორანია (16 ქ), ბულერი (20 ქ. 5 პ), მორდენტე (12 ქ), ბარნიანი (4 ქ. 1 მ).

**სლოვენია:** სმოდიში (19 ქ. 3 მ. 3 პ), ლაკოვიჩი (12 ქ. 3 ჩ. 3 პ), დრაგიჩი (9 ქ), ნესტეროვიჩი (6 ქ. 6 მ).



დირკ ნოვიცკიმ 35 ქულა დააგროვა

ინტერვიუ დირკ ნოვიცკისთან

# ICH WILL ALLES

**გერმანიის ნაკრები 2001 წლიდან მოყოლებული, ერთადერთ მოთამაშესთან ასოცირდება. ისე, გერმანიაც გერმანიაა, ნაკრები, სადაც 3-4 გერმანელი თუ მოიძებნება, დანარჩენები კი ბარე ყველა კონტინენტის ნაშიერები არიან. გუნდის ლიდერიც მთლად ვერ იბრალებს ტევტონელობას, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც ეს კაცი ისე თამაშობს, პლანეტაზე ბარე ერთი-ორი თუ შეედრება. გერმანია დირკ ნოვიცკის გუნდია, ნოვიცკიმ კი პირენეული ევროფორუმი თავისთვის ჩვეულ, საერთოდ კი ზღაპრული გამოსვლით დაიწყო. ჩეხეთთან დამატებით დროში მოგებულ შეხვედრაში "დალას მავერიქსის" სუპერვარსკვლავმა 35 ქულა დააგროვა, ოვერტაიმში ერთი მაგარი დროული დააფარა და გერმანიამ ევროპის ჩემპიონატი მოგებით დაიწყო. დირკის აზრით, გერმანიას ამ ტურნირზე საკმაოდ შორს გასვლა შეუძლია, თუმცა ამისთვის დაცვაში იმაზე გაცილებით ყურადღებით უნდა ითამაშოს, ვიდრე ჩეხეთთან.**

**- ჩეხები ერთი-ერთზე დაცვას მიმართავდნენ, ორმაგი მეურვეობის წინააღმდეგ თამაში თითქმის არ მოგიხდათ. სათანადოდ ვერ შეაფასეს ნოვიცკი თუ...?**

- ჩემი აზრით, ნოვიცკის არანაირი შეფასება არ სჭირდება. უკვე საკმაოდ დიდხანს ვთამაშობ მაღალ დონეზე და ყველამ მშვენივრად იცის, რომ ნაკრებში თამაში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ის, რომ ჩეხეთი ერთი-ერთზე მეთამაშებოდა, ალბათ უფრო ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა, რომლებიც ტურნირს მშვენიერ ფორმაში შეხვდნენ. მართალია, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე მატჩი დიდი სხვაობით წავაგეთ, ესპანეთთან კი საერთოდ სამარცხვინოდ გამოვიყურებოდით, მაგრამ საბოლოო ჯამში, ესპანეთში ძალიან ძლიერი გუნდი შევიყვანეთ. ასე რომ, ჩემს წინააღმდეგ ერთი-ერთზე თამაშში ცუდს ვერაფერს ვხედავ. საერთოდ, ამერიკაში თითქმის ყოველთვის ერთი-ერთზე მეთამაშებიან.

**- ჩეხეთის ნაკრებში თამაშობს ირჟი ველში, რომელიც პირველ მეოთხედში პერსონალურად გიჭერდათ. მასთან სიმაღლეში უპირატესობა სათანადოდ გამოიყენეთ, რის შემდეგაც თქვენ პეტრ ბენდა მოგამაგრეს. შეძლებდით თუ არა ამდენი ქულის დაგროვებას, თქვენს წინააღმდეგ თავიდანვე რომ ბენდას ეთამაშა?**

- ველში 197 სმ-ია და სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, როდესაც პირველივე შეტევიდან გვერდით სწორედ ირჟი დამიდგა. ჩვენ შორის სიმაღლეში სხვაობა 16 სმ-ია და ყველანაირად ვეცადე, ბურთის მიღებისთანავე მესროლა, რადგან ველშს ამ შემთხვევაში დაფარების არანაირი შანსი არ ჰქონდა. ბურთი რომ მიმეღო, პოზიციურად შემეტია და შეტევისთვის განკუთვნილი დრო მაქსიმალურად გამოგვეყენებინა, ველშს შეეძლო გარკვეული პრობლემების შექმნა, მაგრამ, როგორც გითხარით, ეგრევე სროლა ვამჯობინე და საბოლოოდ, საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

**- ტურნირის დაწყებამდე ნაკრების კრებაზე გადაწყდა, რომ კაპიტნებად თქვენ და პატრიკ ჰემერლინგი უნდა ყოფილიყავით, მაგრამ ჰემერლინგმა უარი განაცხადა. მისი თქმით, გერმანიას მხოლოდ ერთი კაპიტანი უნდა ჰყავდეს და ეს პიროვნება დირკ ნოვიცკია.**

- ჰემერლინგი გერმანული კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეა. გარდა ამისა, ის, რომ გერმანიამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, მეტწილად მისი დამსახურებაცაა. ბოლო დროს პატრიკს რამდენიმე ოპერაციის გადატანა მოუხდა, რის გამოც იგი ყოველთვის ოპტიმალურ ფორმაში ვერ იმყოფებოდა, თუმცა იგი დღესაც ნაკრებშია და გუნდისთვის ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია.

**- გაგიმართლათ თუ არა წილისყრისას?**

- ტურნირზე ერთადერთი შედარებით სუსტი გუნდია, რომელშიც ესპანეთი მოხვდა, დანარჩენი სამი ჯგუფი კი ძალიან ძლიერი გუნდებით არის შევსებული. ასე რომ, სადაც არ უნდა მოვხვედრილიყავით, შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის, ნებისმიერ შემთხვევაში, უდიდესი ბრძოლის გადატანა მოგვიწევდა. საბერძნეთი, სერბეთი და რუსეთი ყოველთვის უკომპრომისო კალათბურთს თამაშობენ, ბერძნებს კი ევროპაში უძლიერესი დაცვა ჰყავთ. ჩვენ ჯგუფში აშკარად ფავორიტი ლიტვაა, თუმცა ჩვენცა და თურქეთსაც შეგვიძლია სრული კონცენტრაციითა და დაცვაში ყურადღებით თამაშით პირველობისთვის ბრძოლა. კარგი გუნდია ჩეხეთიც, რომელმაც კინაღამ მოგვიგო. ბოლო ჯგუფში კი ისეთი ძლიერი ინდივიდუალისტები შეიკრიბნენ, როგორებიც ტონი პარკერი, ანდრეა ბარნიანი, და მატიაშ სმოდიში არიან. ასე რომ, ესპანეთის ქვეჯგუფის გარდა, ყველგან თანაბრად ძლიერი შემადგენლობაა.

**- ცხადია, ტურნირის მთავარი ფავორიტი ესპანეთია. როგორ გგონიათ, ვის აქვს პირველ ოთხეულში გასვლის საუკეთესო შანსები?**

- ყველა გუნდს. თუმცა აგამიხარდება, თუ გერმანია არა ოთხეულში, არამედ ფინალში გავა. დამიჯერეთ, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ; ტურნირზე მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვართ ჩამოსული და ყველა თამაშის მოგება გვსურს.

**ზურაბ თალაკვაძე**

აშშ-ის ღია პირველობა

# ერთი შეხვედრის ორი გამარჯვებული

ნიუ იორკის "ფლაშინგ მედოუსის" კორტებზე გრძელდება აშშ-ის ღია პირველობა, რომელზეც, მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ტურნირის სამგზის ჩემპიონმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. აშშ-ის ღიას სამგზის ჩემპიონს ოთხი სეტი დასჭირდა ესპანელი **ფელისიანო ლოპესის** დასამარცხებლად, მეოთხედფინალში კი ტურნირის ყოფილ ჩემპიონს, ამერიკელ **ენდი როდიკს** დაუპირისპირდება.

ლოპესთან შეხვედრის დასაწყისი ფედერერისთვის კარგის არაფრის მომასწავებელი იყო. ლოპესი ისე ლაღად ირჯებოდა, თითქოს მის წინაშე მსოფლიოს პირველი ჩოგანი კი არა, ვინმე რიგითი მეჩოგნე ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, პირველი სეტი, რომლის დროსაც ხუთი ეისი მოაწოდა, სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა. უფრო მეტიც, მეორეშიც კარგა ხანს ლოპესი საკუთარ სერვისზე ქულის დათმობას არ აპირებდა, მეტოქისაზე კი თავგამოდებით იბრძოდა, რათა კიდევ ერთხელ აეღო ბრეიკი და იქნებ, მეორე სეტიც მოეგო.

ფედერერმა თითქმის ორი სეტი მოანდომა კერკეტი მეტოქის შესწავლას, ორე სეტის მეათე გეიმში კი ბრეიკიც მოიპოვა და ამით, სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა. აქედან მოყოლებული, შვეიცარიელი მაესტრო კორტს სრულად დაეპატრონა და თამაშიც მისი კარნახით გაგრძელდა.

*"ჩემთვის მეტად სასარგებლო მატჩი იყო. საბოლოო ჯამში, ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით კარგად მოწოდება გამომდის, რაც ამ კორტებზე ნახევარი საქმეა. გარდა ამისა, აგრესიულადაც ვთამაშობდი და სწორედ ამის წყალობით შევძელი თამაშის შემობრუნება"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც ბოლო ორი სეტის მსვლელობისას, თავის მოწოდებაზე ზედიზედ 35 ქულა აიღო.

მათმა შეხვედრამ დიდი სიამოვნება მოჰგვარა **არტურ ეშის** სახელობის კორტის ტრიბუნაზე დამსწრე 23 000 მაყურებელს, რომლებიც ხშირად ოვაციებით აჯილდოებდნენ ორივე ჩოგბურთელს. შეხვედრა სულ ორი საათი გრძელდებოდა, რომლის დროსაც, ორივე ჩოგბურთელმა ერთად, 199 ქულა მოიპოვა. აქედან შვეიცარიელმა მხოლოდ 12 დათმო საკუთარი შეცდომის გამო. რაც შეეხება ჩეხ მეჩოგნეს, მან პირველ ორ სეტში თამაშიდან 22 ქულის მოპოვება შეძლო, მაგრამ მომდევნო ორში მხოლოდ 12-ს დასჯერდა.

როდიკი 7:6, 2:0 უგებდა ჩეხ **ტომაშ ბერდიჩს**, როცა ამან სუნთქვის პრობლემების გამო თამაშის გაგრძელებისგან თავი შეიკავა. რა თქმა უნდა, ამერიკელმა წუხილი გამოთქვა ყოველივეს გამო. მერჩივნა, გამარჯვება ბრძოლაში მომეპოვებინაო, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ფედერერთან შეხვედრის წინ, დაძაბული შეხვედრა ენერგიას ზედმეტად დაახარჯვინებდა.

გუშინდელ შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო გერმანელი **ტომი ჰაასისა** და ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკის** დაპირისპირება გამოდგა. გამარჯვებულის გამოსავლენად, ჩოგბურთელებმა ხუთი სეტი ითამაშეს. აქედან ბოლოში საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც უფრო კარგად ჰაასმა ითამაშა და მომდევნო წრეშიც ის გავიდა. იქ კი მისი მეტოქე რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** იქნება, რომელიც სამ სეტში გაუსწორდა კორეელ **ჰიუნ-ტაიკ ლის**.

ჰაასმა თამაშში გარდატეხა მეოთხე სეტში შეიტანა, რომელიც მან მშრალად მოიგო. შემდეგ იყო დაუვიწყარი მეხუთე სეტი, რომლის მიხედვითაც, მომდევნო წრეში გასვლას ორივე ჩოგბურთელი იმსახურებდა. ჰაასმა რომ მეოთხე სეტი მშრალად მოიგო, გადამწყვეტიც ასევე მშრალად დაიწყო - 2:0. ისე ჩანდა, თითქოს ბლეიკი ფსიქოლოგიურად გატეხა მეოთხე სეტმა. მომდევნო ოთხ გეიმში ჩოგბურთელებმა "თავიანთი" გეიმები მოიგეს, რის შემდეგაც, მეშვიდე გეიმში, გერმანელს კიდევ ერთხელ შეეძლო ბრეიკის აღება, რაც უკვე გარდაუვალი გამარჯვების ტოლფასი იქნებოდა.

მაგრამ სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში, ამერიკელმა თავისი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. მან ჯერ ქულა გადაარჩინა, მერე კი საპასუხო ბრეიკიც აიღო და ანგარიში გაათანაბრა - 4:4. შემდეგ ისევ თავის სერვისზე მოიგო ქულა და მეათეში კვლავ ბრეიკისთვის გაიბრძოლა. მან სამჯერ მოიპოვა მატჩ პოინტი, მაგრამ სამივე შემთხვევაში, ჰაასმა თამაში თავისი შესანიშნავი მოწოდების წყალობით გადაარჩინა. ამას მოჰყვა ორი "მსუბუქი" გეიმი, რომლებშიც ჩოგბურთელებმა თითო ქულა მოიგეს და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა.

ტაიბრეიკზე თავიდანვე უფრო სტაბილური გერმანელი ჩანდა, მაგრამ ექვსი გათამაშების შემდეგ, ეს ანგარიშში არ ასახულა. თუმცა, მეშვიდე გათამაშებაზე ჰაასმა მინი-ბრეიკის აღება შეძლო და აქედან მოყოლებული, უპირატესობა აღარც დაუთმია.

*"დარწმუნებული ვარ, ტაიბრეიკზე მეშვიდე ქულა რომ არ მომეგო, თამაშსაც წავაგებდი. ისე კი, ეს ერთი, მეხუთე სეტი მთელი თამაშის ტოლფასი იყო. ორივემ შესანიშნავად ვითამაშეთ და ვფიქრობ, მაყურებელს კარგა ხანს ეხსომება ეს შეხვედრა. შემიძლია ვთქვა, რომ გამარჯვებას ორივენი ვიმსახურებდით"*, - განაცხადა ჰაასმა.



ჰაასმა თავისი ფინალი უკვე მოიგო

სხვათა შორის, ტაიბრეიკზე ორივე ჩოგბურთელმა რამდენჯერმე მოითხოვა სადავო ქულის ვიდეო-შემოწმება. ჰაასმა რომ გამარჯვების ქულა მოიპოვა, ბლეიკმა იმწამსვე მოითხოვა ჩანაწერის ჩვენება. თან, მეტოქეს ისე გახედა, თითქოს ბოდიშს უხდისო - რაც უნდა იყოს, ეს ამერიკელისთვის შეხვედრის გადარჩენის ბოლო იმედილა იყო, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გაუმართლა.

მაყურებელმა კი, ორივე ჩოგბურთელი კორტიდან გამარჯვებულივით, ოვაციით გააცილა...

**ნიუ იორკი (აშშ). პარდი**

**საპრიზო ფონდი: 19 653 000 დოლარი**

**მამაკაცები**

**1/8 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 3:6, 6:4, 6:1, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ჰიუნ-ტაიკ ლი (ს. კორ) 6:1, 6:3, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 5)**-ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ, 9) 7:6 (6), 2:0 ბერდიჩის უარი; **ტომი ჰაასი (გერ, 10)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6) 4:6, 6:4, 3:6, 6:0, 7:6 (4).

**ქალები**

**1/8 ფინალი**

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 6:2, 6:3; ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6)-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:1, 7:5; შაარ პეერი (ისრ, 18)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 30) 6:4, 6:1; აგნეს შავაი (უნგ)-იულია ვაკულენკო (უკრ) 6:4, 7:6 (1).

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ანენი (1)-ს. უილიამსი (8); იანკოვიჩი (3)-ვ. უილიამსი (12); შავაი-კუზნეცოვა (4); ჩაკვეტაძე (6)-პეერი (18).

## ველოსპორტი

ვუელტა

# მაილოტ ორო ეფიმკინს



დღეიდან ეფიმკინი ოქროსფერი მაისურით იასპარეზებს

მაილოტ ორო ქართულად ოქროსფერი მაისურია, რომლებითაც ვუელტაზე ლიდერები იმოსებიან. ჰოდა, გუშინდელი, სამთო ეტაპის შემდეგ, ლიდერის მაისური ესპანურ გუნდ "კაისე დ'ეპარნის" რუსმა ველომრბოლმა, **ვლადიმირ ეფიმკინმა** მოირგო.

ალმართი, სახელად ლაგოს დე კოვადონგა, ისევეა ცნობილი, როგორც ტურის ალპ დუზი, თუმცა ვუელტას მარშრუტში ის სულ 15-ჯერ იყო შეტანილი. ამ ალმართზე თავის დროზე გამარჯვება მოუპოვებიათ ისეთ სახელოვან ველომრბოლებს, როგორებიც არიან **პედრო დელგადო** და **ლორან ჟალაბერი**. ალმართის სრული სიგრძე 12.6 კილომეტრია, დახრის საშუალო მაჩვენებელი კი - 7.3%, ზოგიერთ ადგილას, დახრის ხარისხი 13%-საც კი აღწევს. სწორედ ამ ალმართის პიკზე იყო განთავსებული გუშინდელი ეტაპის ფინიში.

გუშინ, ველომრბოლებს საქმე იმ გარემოებამაც გაურთულა, რომ სქელი ნისლის მიღმა ახლო მანძილზეც კი პრაქტიკულად არაფერი ჩანდა. ასეთ პირობებში კი ყველაზე უკეთ სწორედ ეფიმკინმა იასპარეზა, რომელმაც სწორედ კოვადონგას ალმართზე შეძლო დაწინაურებულთა ჯგუფის უკან ჩამოტოვება და კარიერაში პირველად მოიგო ველომარათონის ეტაპი.

*"აქ გამარჯვებაზე ოცნებაც არ შემეძლო. ამიერიდან კი ყველაფერია მოსალოდნელი. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი ასეთ რთულ ეტაპზე გასამარჯვებლად. უბრალოდ, ჯგუფს გავყევი, მერე კი ვიგრძენი, რომ აჩქარება შემეძლო და შანსი გამოვიყენე"*, - განაცხადა ეფიმკინმა, ვისაც ორი წლის წინათ პორტუგალიის ტური აქვს მოგებული, ამ სეზონის დასაწყისში კი სერიოზულ ინციდენტში მოყვა და ლავიწის ძვალი ორ ადგილზე მოიტეხა.

მე-4 ეტაპი. ლანგრეოდან ლაგოს დე კოვადონგამდე (182 კმ)

1. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 4:39.56; 2. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალი) 1.06; 3. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 1.06; 4. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.06; 5. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, კოფიდისი) 1.06; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 1.06; 7. კედელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 1.28; 8. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 1.33; 9. ეზეკილ მოსკრა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 1.36; 10. ლეონარდო ბერტანიოლი (იტალია, ლიკიგაზი) 1.49...

კლასიფიკაცია 4 ეტაპის შემდეგ

1. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 16:02.50; 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.06; 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 1.06; 4. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, კოფიდისი) 1.06; 5. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 1.06; 6. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალი) 1.06; 7. კედელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 1:28; 8. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 1:33; 9. ეზეკილ მოსკრა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 1:36; 10. ლეონარდო ბერტანიოლი (იტალია, ლიკიგაზი) 1:49...

## TV სპორტი

**5 სექტემბერი. ოთხშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
07:35 მინი-მოედანი.
08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:12 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი-იტალია. ესპანეთი.
12:10 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
12:35 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი.
14:32 მინი-მოედანი.
14:59 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. საბერძნეთი-სერბეთი. ესპანეთი.
17:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. გუნდური ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:28 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:00 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ლიტვა-გერმანია. ესპანეთი (LIVE).
22:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:10 სპორტის ისტორია.
22:30 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. რუსეთი-საბერძნეთი. ესპანეთი (LIVE).
00:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:42 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:41 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:52 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
02:19 ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი. ლუგანო. შვეიცარია.
03:51 სპორტის ისტორია.
04:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:03 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი-იტალია. ესპანეთი.

**EUROSPORT**

07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).
09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე.
10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
11:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ესპანეთი-განა. ს. კორეა (LIVE).
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. აზერბაიჯანი-იტალია. თურქეთი.
16:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. ბულგარეთი-გერმანია. თურქეთი (LIVE).
18:30 ველოსპორტი. ვუელტა. V ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი (LIVE).
20:00 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი (LIVE).
05:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი (LIVE).

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-სერბეთი. თურქეთი.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/4 ფინალი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
17:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ესპანეთი-განა. ს. კორეა.
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-რუსეთი. თურქეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. აზერბაიჯანი-სერბეთი. თურქეთი (LIVE).
23:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ლონდონი. ინგლისი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-რუსეთი. თურქეთი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| კონფერენსი | |
|---|---|
| ქემბრიჯი-გრეისი | 1:0 |
| დროილსდენი-სტივენეიჯი | 0:3 |
| ფარსლი-კიდერმინსტერი | 1:1 |
| ფორესტ გრინი-ალდერშოტი | 2:3 |
| გრეივსენდი-ჰისტონი | 0:1 |
| ნორთვიჩი-ბარტონი | 0:2 |
| ოქსფორდი-ექსეტერი | 2:2 |
| რაშდენი-ქროული | 1:1 |
| ტორკი-სალისბერი | 4:0 |
| უოკინგი-უეიმაუთი | 1:1 |
| იორკი-ალტრინჩემი | 2:2 |

| League Trophy | |
|---|---|
| სუონსი-მილუოლი | 3:2 |
| სუინდონი-ბრენტფორდი | 4:1 |
| ტრანმერი-მორეკამბი | 0:1 |
| ჩესტერი-კრიუ | 1:1, პენ. 4:3 |
| ნოტინგემი-პიტერბრო | 2:3 |
| ჩესტერფილდი-ჰარტლპული | 1:3 |
| აკრინგტონი-ოლდჰემი | 2:3 |
| ბორნმუთი-უოლსოლი | 2:0 |
| დონკასტერი-ბრედფორდი | 5:1 |
| გრიმსბი-ჰადერსფილდი | 4:1 |
| ლუტონი-ნორტჰემპტონი | 2:0 |
| მენსფილდი-როტერჰემი | 0:1 |
| საუთენდი-დაგენჰემი | 2:2, პენ. 6:7 |
| იეოვილი-შრიუსბერი | 1:0 |

| შოტლანდიის ლიგის თასი | |
|---|---|
| ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი | 1:0 |
| ეირდრი-არბროა | 5:1 |
| ფორფარი-ეირი | 0:2 |
| მონროუზი-ბრეჩინი | 0:0, დ.დ. 1:2 |
| პარტიკი-ბირუიკი | 3:1 |
| პიტერჰედი-მორტონი | 0:1 |

**შვედეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ლანდსკრონა-ბუნკეფლო | 0:1 |
| იორგრიტე-სილვია | 1:0 |
| სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1:0 |

**კალათბურთი**

| ევროპის ჩემპიონატი | |
|---|---|
| ლიტვა-ჩეხეთი | 95:75 |
| რუსეთი-ისრაელი | 90:56 |
| საფრანგეთი-იტალია | 69:62 |
| ხორვატია-პორტუგალია | 90:68 |
| თურქეთი-გერმანია | 49:79 |
| ესპანეთი-ლატვია | 93:77 |
| სლოვენია-პოლონეთი | 70:52 |
| საბერძნეთი-სერბეთი | 68:67 (ო) |

**ჰოკეი**

| რუსეთი | |
|---|---|
| ამური-აკ ბარსი | 3:2 |
| მეტალურგი (ნ)-სევერსტალი | 1:3 |
| სიბირი-ლოკომოტივი | 3:6 |
| ავანგარდი-დინამო | 1:3 |
| ტრაქტორი-სკა | 2:3 |
| მეტალურგი (მ)-ხიმიკი | 3:0 |
| ს. იულაევი-ცსკა | 4:2 |
| ლადა-ტორპედო | 2:3 |
| ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი | 1:4 |
| სპარტაკი-მვდ | 3:6 |

**ჩოგბურთი**

| ATP. აშშ-ის ღია | |
|---|---|
| ვავრინკა-ჩელა | 6:4, 2:6, 6:7, 6:1, 4:6 |
| მოია-გულბისი | 7:5, 6:2, 6:7, 6:4 |

ველოსპორტი

### სპონსორი კარპინი

რუსეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ვალერი კარპინი** ველოსპორტით დაინტერესდა. მოთამაშე გალისიური ველოსაჯინიბო "კარპინ-გალისიას" სპონსორი გახდა. როგორც ესპანური პრესა იტყობინება, გუნდის ბიუჯეტი 3.7 მილიონი ევროა. "სელტას" ყოფილი მოთამაშე ამ თანხის 50 პროცენტს იხდის, დანარჩენ ხარჯებს კი, გალისიის მთავრობა გაიღებს.

სხვათა შორის, კარპინი ვიგოში ფრენბურთისა და რაგბის გუნდების სპონსორიცაა.

კალათბურთი

## ალვერტისი პაოში რჩება

ევროლიგის წლევანდელმა გამარჯვებულმა პანათინაიკოსმა", ცნობილ ფორვარდ **ფრაგისკოს ალვერტისს** ახალი კონტრაქტი შესთავაზა.

ეს კალათბურთელი ევროლიგის ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშეა - მას ეს პრიზი უკვე ოთხჯერ აქვს მოგებული. სულ კი, ალვერტისმა კარიერაში 16 ჯილდო მოიგო და აქედან ცხრა ტიტული საბერძნეთის ჩემპიონატზე მოდის.

ცურვა

## ახალი მსოფლიო რეკორდი

მელბურნში ცურვაში ავსტრალიის ჩემპიონატი მიმდინარეობს, სადაც 25-მეტრიანი აუზისთვის ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. თავი გამოიჩინეს 4x100 თავისუფალი სტილით ცურვაში ავსტრალიის ნაკრების ქალმა მოცურავეებმა. მათ მიერ ნაჩვენები დრო - 3.31,66 1,66 წამით უკეთესია წინა მსოფლიო რეკორდზე, რომელიც ჰოლანდიის ნაკრებს ეკუთვნოდა.

ჩოგბურთი

## შარაპოვა ფინალში არ იქნება

ზუსტად 10 დღეში, მოსკოვში ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ფინალური შეხვედრა დაიწყება, რომელშიც რუსეთის ნაკრები იტალიას უმასპინძლებს.

რუსების კაპიტანი **შამილ ტარპიშჩევი** უკვე ჩამოყალიბდა თავისი გუნდის საბოლოო შემადგენლობასთან დაკავშირებით. მთავარი ამბავი ის არის, რომ კვლავ გადაიდო **მარია შარაპოვას** დებიუტი. მსოფლიოს მეორე ჩოგანი არც ამჯერად ითამაშებს ფედერაციის თასზე. მის არყოფნაში, იტალიელების წინააღმდეგ თამაში **ანა ჩაკვეტაძეს, სვეტლანა კუზნეცოვას, ნადეჟდა პეტროვას** და **ელენა ვესნინას** მოუწევთ.

ალპინიზმი

## საფინი 8-ათასიანზე ასვლას აპირებს

11 სექტემბერს, ნეპალში რუსული ექსპედიცია მიემგზავრება, რომელიც პლანეტის მეექვსე მწვერვალის - ჩო-ოიუს (8201 მ) დაპყრობას შეეცდება. ალპინისტები ტიბეტის მხრიდან, კლასიკური მარშრუტით დაიწყებენ ალმასვლას.

ამ ამბავში მთავარი ის არის, რომ ექსპედიციის რვა წევრს შორის არის ცნობილი რუსი ჩოგბურთელი **მარატ საფინი**, რომლისთვისაც ეს ასვლა სადებიუტო იქნება.

ოლიმპიზმი

## პანასონიკი ოლიმპიურ მოძრაობაში დარჩა

გუშინ, კომპანია "პანასონიკმა" ოფიციალურად გამოაცხადა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან პარტნიორული ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ. ცნობილი კონცერნი ოლიმპიურ მოძრაობაში კიდევ რვა წელიწადი (2016 წლამდე) დარჩება.

"პანასონიკი" სოკ-თან აუდიო და ვიდეოტექნიკის თვალსაზრისით თანამშრომლობს. სწორედ ამ ფირმის ტექნიკით აქვს მილიონობით ტელემაყურებელს ოლიმპიური თამაშების ხილვის საშუალება.

ხელშეკრულების გაფორმების საზეიმო ცერემონია ლონდონში, უაიტჰოლის საბანკეტო დარბაზში ჩატარდა. მას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგე** დაესწრო, რომელმაც შემდეგი განაცხადა: *"ჩვენ ძალიან ვაფასებთ "პანასონიკთან" თანამშრომლობას. კომპანიის შესაძლებლობათა მასშტაბები, გამოცდილება და ყველაზე თანამედროვე ტექნიკა ამტკიცებს, რომ 10 წლის წინათ გაკეთებულ არჩევანში არ შევმცდარვართ. "პანასონიკის" გარეშე წარმოუდგენელია ოლიმპიური თამაშების მაღალ დონეზე ორგანიზება".*

ინტერვიუ ლუკა დი მონტეძემოლოსთან

# იახტები, რბოლები და ფეხბურთი

**"ფიატის" შეფმა ლუკა დი მონტეძემოლომ თავის 60-წლიან იუბილეზე ინტერვიუ მისცა "გაძეტა დელო სპორტს". ცნობილმა ფუნქციონერმა საუბარში ხაზი გაუსვა ბედის საჩუქარს, რომელმაც ის "ფერარისთან" დააკავშირა, გვიამბო ავტორალიში თავის კარიერაზე, კრივისადმი და აფროსნობისადმი სიყვარულზე, "ბოლონიაზე", "ლაციოსა" და "იუვენტუსზე". მონტეძემოლო 1947 წლის 31 აგვისტოს ბოლონიაში დაიბადა. 1973-76 წლებში ის "ფერარის" სპორტული დირექტორი იყო, სადაც 1991 წლის ნოემბერში პრეზიდენტის რანგში დაბრუნდა. 2004 წლიდან მოყოლებული, ის მთავარი კაცია "ფიატში" და იტალიელ მეწარმეთა კონფედერაციაში.**



მიხაელ შუმახერი და ლუკა დი მონტეძემოლო

**- წლეულს თქვენ და "ფერარი" 60 წლის გახდით. გიფიქრიათ ოდესმე ამ დამთხვევაზე?**

- ამისთვის დიდი მნიშვნელობა არასოდეს მიმიქცევია იქამდე, სანამ წელიწადის დასაწყისში ჩემთან არ მოვიდნენ და არ მითხრეს, რომ ჩვენ სათანადოდ უნდა აგვეღნიშნა "ფერარის" 60 წლისთავი. "ფერარისთან" ერთად იუბილეს აღნიშვნა ჩემთვის უდიდესი პატივია. ოჯახთან ერთად, "ფერარი" ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სრულიად ცხადია, რომ ეს ბედის საჩუქარი გახლავთ.

**- ბავშვობაში სპორტის რომელ სახეობას ანიჭებდა მონტეძემოლო უპირატესობას?**

- რა თქმა უნდა, ფეხბურთს, რა თქმა უნდა, ავტოსპორტს. ცალკე გამოვყოფ ნენჩინის, პოლიდორასა და ბალდინის ეპოქის ველოსპორტს.

**- რა უფრო პრიორიტეტული იყო - ბურთი თუ მანქანა?**

- ფეხბურთს სერიოზულად ვთამაშობდი, მარჯვენა თავდამსხმელი ვიყავი. მეტსახელად "ნეკნიც" კი შემარქვეს, ისეთი გამხდარი ვიყავი.

**- და ბუნებრივია, "ბოლონიას" გულშემატკივრობდით.**

- სტადიონებზე სიარულს მამამ მიმაჩვია. ძალიან კარგად მახსოვს "ბოლონია", რომელშიც ბერნარდინი, ჰალერი, პასკუტი, ნილსენი და ბულგარელი თამაშობდნენ. და ისიც მახსოვს, რომ ჩემმა "ბოლონიამ", ერთ-ერთ სეზონში ქულათა ერთნაირი რაოდენობისას, დამატებითი მატჩი მოუგო "ინტერს".

**- ერთი პერიოდი "ლაციოს" გულშემატკივარიც იყავით.**

- როცა რომში გადავედი საცხოვრებლად, იქ მთელი ქალაქი "რომას" ქომაგობდა, მე კი, უმრავლესობაში რომ არ ვყოფილიყავი, "ლაციო" ავირჩიე.

**- საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენი გულის დიდი ნაწილი "იუვენტუსს" ეკუთვნის.**

- ჩემი "იუვე" - პირველი რიგში, სივორი, ჩარლზი და ბონიპერტია, და შემდეგ პლატინი, შირეა, ჯენტილე, ტარდელი, ძოფი და ტრაპატონი. შესაძლოა, ეს ადამიანები გასახდელში ბუცებს ესროდნენ პარტნიორებს, მაგრამ რას აკეთებდნენ შემდეგ, როცა მინდორზე გადიოდნენ!

**- შემდეგ იყო ადვოკატ ანიელის გვერდით გატარებული წლები.**

- ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა. მე და ანიელი "იუვენტუსის" გასახდელში შევდივართ და ვხედავთ, რომ მიშელ პლატინი სიგარეტს ეწევა. ანიელი ეკითხება: "რას აკეთებ?" პლატინი პასუხობს: "ადვოკატო, გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ფურინო არ ეწეოდეს ("იუვენტუსის" ლეგენდარული მოთამაშე ჯუზეპე ფურინო - რედ.)".

**- სიმართლე თქვით, ადვოკატი ანიელი ენცო ფერარის უფრო ხშირად სპორტზე ესაუბრებოდა თუ ქალებზე?**

- ერთზეც და მეორეზეც თანაბრად. გამიმართლა, რომ ბედმა ასეთ საინტერესო და მრავალმხრივ განვითარებულ ადამიანებს შემახვედრა, რომლებსაც ძალიან უყვარდათ იტალია.

**- ცნობილია, რომ ფეხბურთის გარდა, კრივიც ძალიან გიტაცებთ. მართალია, რომ საქორწინო მოგზაურობის დროს, რომანტიკულ ვახშამს კრივის ორთაბრძოლა ამჯობინეთ?**

- დიახ, ეს გახდა ჩემს ოჯახურ ცხოვრებაში კრიზისის დასაწყისი... ყველაფერი პარიზში, სასტუმრო "ლანკასტერში" მოხდა, სადაც დაბინავება ადვოკატმა მირჩია და ეს იმით დაასაბუთა, რომ სასტუმრო რეზიდენციის მიზნით, წარსულში, ლეგენდარულმა მოკრივემ, "შუგარ" რეი რობინსონმა აირჩია, რომელიც იქ პროფესიონალ მოკრივეებს შორის ბრძოლებს უწევდა ორგანიზებას. პირველ საღამოს ვიხილე მონცონასა და ბოტიეს ორთაბრძოლა. მოგვიანებით, ადვოკატთან ერთად, მონტე კარლოში, საშუალო წონაში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის, ნინო ბენვენუტის ჩხუბს დავესწარი. მოკლედ, კრივის გამო ბევრ რამეზე ვიტყვი უარს.

**- ნუ დავივიწყებთ პილოტი მონტეძემოლოს ეპოქას.**

- ეს ახალგაზრდობაში იყო, თბილი შემოდგომა იდგა, სტუდენტები გაფიცულები იყვნენ... კარგად მახსოვს, რამდენიმე რალიში Fiat 500-ით გამოსვლა ჩემმა მეგობარმა კრისტიანო რატაციმ მთხოვა. მოგვიანებით კი, შტურმანის რანგში, Lancia-თი დანიელე აუდეტისთან ერთად გამოვდიოდი.

**- ასპარეზობა Fiat 500-ით, იტალიის რალის ჩემპიონატზე Lancia-თი გამოსვლა, Sanremo-ს, l'Elba-ს, Mille Laghi-ის ტრასებზე ქროლა... მაინც როგორი პილოტი იყო ლუკა დი მონტეძემოლო?**

- ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი, რომელიც არასოდეს იღებდა ფეხს აქსელეტორიდან და არ იყო ფრთხილი და წინდახედული ტრასაზე.

**- თქვენ იყავით იტალიაში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი. რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ მაშინ გაწეული სამუშაოსგან?**

- ეს ფანტასტიკური გამოცდილება იყო. პროექტზე სამმა ადამიანმა დავიწყეთ მუშაობა, დასასრულს კი, უკვე 400 კაცი ვიყავით.

**- აი, "იუვენტუსთან" მიმართებაში კი, საქმეები არც ისე კარგად აგეწყოთ.**

- დიახ, ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი წარუმატებლობა იყო. ასეთი რამ მხოლოდ ერთი მიზეზით მოხდა: როცა საქმეს შენი სურვილის საწინააღმდეგოდ ეჭიდები, არაფერი გამოგივა. "იუვეს" ხელმძღვანელობას უფრო სამსახურებრივი ვალის გამო დავთანხმდი. როცა კლუბს ვიბარებდი, როგორც გულშემატკივარი, ფეხბურთისგან მთვრალი ვიყავი, მაგრამ როცა საქმეში გავერკვიე, უკვე გვიანი აღმოჩნდა. ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

**- აფროსნობაში ამერიკის თასის გათამაშება, იტალიამ თქვენი ნავის - Azzurra-ს წყალობით გაიცნო, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს აიგო...**

- რამდენი ბავშვი გამოდიოდა მაშინ ნაპირზე და ყვიროდა: Azzurra! ადამიანები ქუჩებში შეხვედრისას აუცილებლად ეკითხებოდნენ ერთმანეთს - როგორ არის ჩვენი ნავი. სწორედ მაშინ მივხვდი, რამდენად დიდია ჩემი თანამემამულეების ენთუზიაზმი, თუ მათ ახალ გამოწვევას შესთავაზებ. იტალია - ეს ისეთი ქვეყანაა, რომელსაც მუდმივად სჭირდება ახალი გამოწვევები, ამოცანები და მოტივაციები.

**- ე.ი. მოგწონთ ძრავიანი ნავებით ცურვა...**

- აფრების ქვეშ ჯერ კიდევ სამხედრო კოლეჯში დავდექი. მაგრამ ამ საქმისთვის დიდი დრო და ვარჯიშია საჭირო. სანამ პენსიაში არ გავალ, არც ერთი მექნება და არც მეორე. მჯერა, რომ პენსიაში გასვლის ჟამი მალე არ დადგება...

**- სპორტის რომელ სახეობაში ისურვებდით ჩემპიონობას?**

- სიამოვნებით ვიქნებოდი ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონი, დიდი ფეხბურთელი და მსოფლიოში საუკეთესო შკიპერი...

**- დაგვისახელეთ თქვენი საყვარელი ფეხბურთელები.**

- ჩემთვის ნომერ პირველი დიეგო მარადონაა, მეორე - მიშელ პლატინი. სამწუხაროა, რომ თითქმის არ მინახავს საქმეში პელე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის დიეგოს დონის ფეხბურთელი იყო.

**- თანამედროვე ფეხბურთელებიდან ვის გამოყოფდით?**

- ტოტისა და კაკას. და კიდევ დელ პიეროს.

**- როგორია თქვენი ოცნების "ფერარი"?**

- კოკპიტში ნიკი ლაუდათი და მიხაელ შუმახერით - ეს პილოტების განსაკუთრებული წყვილი იქნებოდა.

**- ფორმულა 1-ში "ფერარის" რომელ ჩემპიონობას იხსენებთ სიამოვნებით?**

- მიხაელ შუმახერის პირველ და ბოლო გამარჯვებებს. ნიკი ლაუდას ტრიუმფს 1975 წელს, მონცაში, როცა რბოლა რეგაცონიმ მოიგო, საბოლოოდ ჩემპიონი კი, ნიკი გახდა.

**- რა არ მოგწონთ იტალიურ სპორტში?**

- მას თაობათა ცვლა ესაჭიროება, ძალიან ბევრნი არიან ასაკში შესული მმართველები. მადლობა ღმერთს, საფეხბურთო არბიტრებს მაინც დაუნიშნეს უფროსად ისეთი პროფესიონალი, როგორიც კოლინაა.

**- რამდენიმე დღეში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იტალიას შინ გადამწყვეტი მატჩი აქვს საფრანგეთთან. ვინ მოიგებს?**

- ამ დაპირისპირებაში იტალია ფავორიტი არ არის, მაგრამ ჩვენს გუნდს არასოდეს აუგდია გადამწყვეტი შეხვედრა. ამიტომაც, ფსონს იტალიაზე ჩამოვდივარ.

**- წლეულს სკუდეტო ვის დარჩება?**

- ძალიან მომწონს "რომას" თამაში, ახალგაზრდა, სიმპათიური გუნდია, სადაც ბევრი ადგილობრივი ფეხბურთელი ირიცხება. რა თქმა უნდა, "ინტერს" ჩემპიონობისთვის ყველაფერი აქვს. "მილანი" არასოდეს ნებდება. ძალიან კარგი ინვესტიციები განახორციელა "ფიორენტინამ". ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მისი პრეზიდენტის, დელა ვალეს მეგობარი ვარ. წლევანდელი ჩემპიონატი საინტერესო იქნება.

**- "იუვენტუსი" დაგავიწყდათ?**

- თუ "იუვე" დაცვაში სტაბილურობას შეიძენს, ვფიქრობ, საგაისოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს.

**- ვინ მოიგებს იტალიის გრან-პრის მონცაში?**

- ჯერ იქაური ტესტების შედეგები არ გამიანალიზებია. მაგრამ მჯერა, რომ "ფერარი" საშინაო ტრასაზე ბოლო კილომეტრებამდე იბრძოლებს.

**- მთლიანად ჩემპიონატში ვის უწინასწარმეტყველებთ გამარჯვებას?**

- ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ დასრულდება ჯაშუშური სკანდალი. ეს ძალიან ცუდი ისტორია მთლიანად ფორმულა 1-სთვის და ჩემი აზრით, სიტუაცია ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო უარესდება.

სპორტული გაზეთი
განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი ალადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10[а],
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა